

**ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ლეილა ქველიძე

ქალის სახე სუად აღ-საბაძის შემოქმედებაში

**სპეციალობა: ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა
10.01.06**

**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი**

**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მურმან ქუთელია**

**თბილისი **

2006

შესავალი 3

თავი I – ქალთა ემანსიპაციის საკითხი არაბულ სამყაროში

1. 1. მუსლიმური რეფორმაცია და ქალთა
ემანსიპაციის პრობლემები 17

1. 2. ქალთა ემანსიპაციის პრობლემები თანამედროვე
არაბულ სამყაროში 26

1. 3. ქალთა მოძრაობა და არაბი მწერალი ქალები 36

**თავი II – ქალთა ემანსიპაციის საკითხი თანამედროვე არაბულ
ლიტერატურაში**

2. 1. განმანათლებლებთან და რომანტიკოსებთან 63

2. 2. “ახალი ქალი” და თანამედროვე
არაბული ლიტერატურა 75

თავი III – ქალის სახე სუად ალ-საბაჰის შემოქმედებაში

3. 1. სუად ალ-საბაჰის ცხოვრება და მოღვაწეობა 85

3. 2. ქალი სუად ალ-საბაჰის შემოქმედებაში 90

3. 3. სიყვარული და თავისუფლება
სუად ალ-საბაჰის პოეზიაში 102

3. 4. ტრადიცია და ნოვაცია სუად ალ-საბაჰის პოეზიაში 114

დასკვნები 127

ლიტერატურა 134

შესავალი

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არაბულმა სამყარომ აღმოაჩინა მისთვის სრულიად უცნობი ღირებულება ადამიანის პიროვნული თავისუფლებისა. არაბული საზოგადოება უკვე ამ პერიოდიდან იწყებს დისკუსიას პიროვნების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, აგრეთვე მისი როლის ზრდის შესახებ საზოგადოებაში, განიხილება პიროვნული თავისუფლების მიღწევის გზები. სწორედ ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუსლიმურ სამყაროში ქალთა საკითხს. ქალთა თავისუფლების საკითხი განიხილება ახალი ღირებულებების შეფასების ფონზე. ითვლება, რომ მხოლოდ ემანსიპირებული არაბი ქალი შეძლებს გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი და აქტიური წევრი, ჩამოყალიბდეს პიროვნებად. ეს არის არაბულ საზოგადოებრივ აზროვნებაში პიროვნების თავისუფლების ახალი მსოფლგაგება, რომელიც განპირობებული იყო არაბულ ქვეყნებში ამ პერიოდში მიმდინარე მძლავრი პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი გარდაქმნებით (48, 346). ბუნებრივია, ახალი მიდგომა საკითხისადმი, ახალი აღქმა ინდივიდუალიზმის პრიმატისა არაბულ სამყაროში მოითხოვდა მის ადეკვატურ ასახვას ახალ არაბულ ლიტერატურაში. ამიტომაც ჩნდება ახალი თემები: ქალთა საკითხი, სიყვარულისა და თავისუფლების პრობლემა არაბულ სამყაროში, რაც წინა პლანზე დგას სუად ალ-საბაჰის შემოქმედებაში.

მთელი რიგი ფაქტორებით განპირობებული ქალთა ემანსიპაციის პრობლემა არაბული სამყაროსათვის აქტუალური გახდა XIX ს.-ის მეორე ნახევრიდან. არაბულ ქვეყნებში საზოგადოებრივი ყოფარეგლამენტირებული იყო ყურანისა და შარიათის დოგმებით.

როგორც აღვნიშნეთ, ქალთა საკითხი, თუ რა ადგილი ეკავა ქალს არაბულ საზოგადოებაში და ოჯახში, თუ რიგორ არის

შესაძლებელი მისი სრული ემანსიპაცია და დისკრიმინაციის აღმოფხვრა, როგორ შეიძლება ქალი არაბულ საზოგადოებაში გაუთანაბრდეს მამაკაცს სამოქალაქო და სოციალურ უფლებებში და ბოლოს, თუ როგორ შეიძლება ქალთა ინტერესების დაცვა არაბულ სამყაროში, საერთოდ XX საუკუნის არაბულ ლიტერატურაში ერთ-ერთი აქტუალური თემაა.

ქალთა ემანსიპაციის საკითხი არაბულ ქვეყნებში მჭიდროდ უკავშირდება თავად არაბული ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საკითხს. აგრეთვე იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ ტრადიციული შეხედულებების შეცვლა, რომლითაც განსაზღვრულია ქალის როლი და ადგილი მუსლიმურ საზოგადოებაში.

საუკუნეთა განმავლობაში ისლამი განიცდიდა ევოლუციას და ბუნებრივია, ხდებოდა მისი შეთავსება ცვალებად გარემოსთან. შესაბამისად, ისლამური ინსტიტუტების მიერ განიხილებოდა ქალთა საკითხიც.

ქალთა ემანსიპაციის საკითხი არაბულ სამყაროში პირველად XIX ს.-ის ბოლოს და XX ს.-ის დასაწყისში არაბმა განმანათლებლებმა და მუსლიმმა რეფორმატორებმა დააყენეს.

არაბულ სამყაროში საგანმანათლებლო მოძრაობა და რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ცნობილია მუსლიმური მოდერნიზმის ან მუსლიმური რეფორმაციის სახელით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არაბული სამყაროთი განსაკუთრებული დაინტერესება იწყება ეგვიპტეზე ნაპოლეონ ბონაპარტეს ლაშქრობის შემდეგ. მკვლევართა უმრავლესობა, მათ შორის არაბებიც, ნაპოლეონის ლაშქრობას მიიჩნევენ უდიდეს ბიძგად ახალი ყოფის წინსვლის საქმეში (28, 9). XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში არაბული სამყარო დასავლეთისათვის ეკონომიკური ინტერესების სფერო გახდა.

ამ პროცესს ბუნებრივია, არაბულ ქვეყნებში მოჰყვა ეკონომიკური ძვრები. არაბულ ქვეყნებში იწყება კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება, რომელსაც თავისი წინაპირობები ჰქონდა. სხვა ფაქტორებთან შედარებით მნიშვნელოვანი იყო დასავლეთის აღმოსავლეთით დაინტერესება, ეგვიპტეში მუჰამად ალის მმართველობა და აგრეთვე, მისიონერთა მოღვაწეობა (21, 203).

ამ პერიოდში ისლამში მწიფდება გადატრიალება, რომელიც გამოწვეული იყო XIX საუკუნის დასაწყისში არაბულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებით. “ნაჰდა” - ე. წ. არაბული აღორძინება ვითარდება იმ ნიშნით, რომ მოხდეს ფეოდალური გადმონაშთების ლიკვიდაცია და დაიწყოს არაბულ ქვეყნებში ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა, რათა არაბული აღმოსავლეთი განვითარდეს ევროპული გამოცდილების საფუძველზე. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის იდეური საფუძველი ორთოდოქსალური ისლამი იყო, რომელიც შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა და დროთა განმავლობაში ვეღარ პასუხობდა თანამედროვეობის მოთხოვნებს. XIX საუკუნეში ისლამი განვითარების, სულიერი და მატერიალური პროგრესის შემაფერხებლად იქცა. რელიგიის კუთხით გაშუქებული ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო და სოციოლოგიური შეხედულებები, საკითხები პოლიტიკური მოწყობისა და ადამიანთა უფლებების შესახებ, საოჯახო სამართალი მთლიანად გადასახედი იყო.

ამრიგად, წინსვლა ახალი იდეოლოგიის გარეშე შეუძლებელი იყო. ახალი იდეოლოგია არაბულ ქვეყნებში კი მხოლოდ ისლამის ფარგლებში შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო. ამოტომაც, წარმოიშვა ამის საჭიროება, რომ რელიგია შეეთავსებინათ ახალი ეპოქის მოთხოვნებისათვის; ასე წარმოიშვა მოდერნიზმი ისლამში.

ქალთა ემანსიპაციის საკითხი მუსლიმი რეფორმატორებისათვის მნიშვნელოვან საკითხად იქცა.

სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ საკითხს ქალთა ემანსიპაციასთან დაკავშირებულ ისლამის ევოლუციის კვლევა წარმოადგენს. მხედველობაში ვიღებთ რა თავად ისლამის განვითარების ეტაპებს, აგრეთვე თანამედროვე პირობებში ისლამის პოლიტიკური მიმდინარეობების ტიპოლოგიას, ვცდილობთ, ქალთა ემანსიპაციის პრობლემებთან დაკავშირებით მუსლიმი იდეოლოგიების შეხედულებანი კრიტიკულად იქნას განხილული; ასევე, ვაჩვენოთ და განვსაზღვროთ ისლამის თანამედროვე მოდერნიზაციის მნიშვნელობა ქალთა საკითხთან დაკავშირებით; წარმოვაჩინოთ მუსლიმი მოდერნისტების პოზიცია საწყის ეტაპზე და შემდგომ პერიოდში, რითაც შევძლებთ გამოვაველინოთ ის პრინციპები, რომლითაც თანამედროვე ისლამური ინსტიტუტები ახერხებენ პოზიციების განმტკიცებას და არაბთა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაზე გავლენის შენარჩუნებას. ასევე, საინტერესოა საკითხი, თუ როგორ ყალიბდება ქალთა მოძრაობა არაბულ სამყაროში და ვითარდება საზოგადოებრივი აზრი ქალთა ემანსიპაციის საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ განხილულია არაბულ სამყაროში ქალთა ემანსიპაციის საკითხი საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ჭრილში, ისე, რომ მისი საშუალებით გამოვაველინოთ თუ რამდენად არის არაბული საზოგადოება დაინტერესებული ქალთა საკითხით თანამედროვე ეტაპზე.

მთელი რიგი ისტორიული და ლიტერატურული ხასიათის გამოკვლევები, რომლებშიც განხილულია ისლამის ნორმები ქალთა საკითხთან დაკავშირებით, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მუსლიმი იდეოლოგთა დამოკიდებულება აღნიშნულთან მიმართებაში. აქ იგულისხმება როგორც ტრადიციონალისტები, ასევე ახალი და უახლესი პერიოდის მოდერნისტები.

ისლამის დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი თანამედროვე ეტაპზე სულაც არ არის ერთგვაროვანი. მასში ორი ტენდენცია შეიმჩნევა: რეაქციული ან კონსერვატიული, რომელიც გულისხმობს მისწრაფებას, რომ ქალის ემანსიპაცია შეიზღუდოს ისლამის ჩარჩოებით. მეორე - რადიკალური, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქალის განთავისუფლება არაბულ სამყაროში, მისი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება, მისი ჩართვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სულაც არ ეწინააღმდეგება ისლამის ნორმებს.

ეს ტენდენციები სხვადასხვაგვარად ელინდება სხვადასხვა ტიპის იდეოლოგიურ მიმდინარეობებში. იქმნება სპეციალური ისლამური კონცეფციები, რომლებშიც ხდება რადიკალური ან კონსერვატიული ისლამური არგუმენტაციების შემუშავება ქალთა საკითხთან დაკავშირებით.

ქალთა საკითხის დროულად მოგვარება და პრობლემის სწორად გადაწყვეტა განსაზღვრავს არაბულ სამყაროში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნების დემოკრატიულობის დონეს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოვიყენეთ ლიტერატურა, რომელშიც განხილულია ქალთა საკითხი არაბულ სამყაროში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ შრომები, რომლებიც მუსლიმ იდეოლოგიებს ეკუთვნით, რომლებშიც სპეციალურადაა განხილული ეს პრობლემები. ასეთია მაგალითად რიფა'ა ატ-ტაჰტავის "تحرير امرأة مسلمية, كتاب المرشد الأمين في تربية البنات والبنين".

ცალკე უნდა გამოვეყოთ აჰმად მუჰამად სალიმის მონოგრაფია "المرأة في الفكر العربي الحديث", რომელშიც განხილულია თანამედროვე მუსლიმი რეფორმატორების შეხედულებანი. მასში მოცემულია ყველა არაბი იდეოლოგის თვალსაზრისი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე XX საუკუნის ბოლომდე. ესენი არიან როგორც ლიბერალური,

ასევე კონსერვატიული მიმართულების წარმომადგენლები: ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი, მუჰამად აბდო, მუჰამად რაშიდ რიდა. არაბულ სამყაროში ქალთა საკითხის მოგვარებას, მათი უფლებების დაცვას გარკვეული სიძნელეები ახლავს და ეს განპირობებულია არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ ისლამური ინსტიტუტების ძლიერი გავლენით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირად ცხოვრებაზე. ქალის არათანასწორუფლებიანობა მამაკაცთან შედარებით მუსლიმურ საზოგადოებაში სწორედ ყურანით და შარიათით იყო განმტკიცებული. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა გარკვეული ცვლილებები, ისლამის დოგმები მაინც გარკვეულწილად აფერხებდა ამ საკითხში რადიკალურ ცვლილებებს. ქალთა საკითხთან დაკავშირებული ყურანისა და შარიათის კანონთა მოდერნიზაციის იდეა პირველად სწორედ მუსლიმმა რეფორმატორებმა წამოაყენეს XIX ს.-ის დასასრულსა და XX ს.-ის დასაწყისში.

ნაშრომში თანამედროვე მოდერნიზტები წარმოდგენილია მაჰმუდ შალთუთის, საიდ კუტბის, მუჰამად დარუზის სახით. აღნიშნული ავტორების მოსაზრებათა საფუძველზე, შესაძლებელია, ქალთა ემანსიპაციის საკითხზე მუსლიმი იდეოლოგიების შეხედულებათა ანალიზი.

აღნიშნულ საკითხზე უადრესად საინტერესო და მრავალფეროვანი მასალის შემცველი გამოდგა ვეროპელი და არაბი ავტორების შრომები და ცალკეული სტატიები. მათში დახასიათებულია თანამედროვე ისლამში გავრცელებული ძოდერნიტული ტენდენციები ქალთა საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე განხილულია ქალთა განათლებისა და საოჯახო სამართლის პრობლემები, მაგ.: ა. ანდრეევის "О некоторых новых тенденциях в исламском мире" (1967), ან-ნაიმის "На пути к исламской реформации" (Перевод с английского О. Феединой, 1999), ფადლ ან-ნაჯარის "Проблема

женщины в арабской журналистике” (Сб. Женщина в массовой коммуникации, Штрихи к социальному портрету, СПб.1998, ст. 19-21), მ. ვ. ვაგაბოვის “Ислам и Женщина” (1968), ბ. აბოტის “Women and the State in Early Islam” (Jornal of Near Eastern Studies, 1, 1942), ჰ. ა. ჯავადის “The Rights of Women in Islam.” (An Authentic Approach. Palgrave, 1998), ა. ენგინერის “The Rights of Women in Islam” (London, 1992) და ჯ. სმიტის “Women, Religion and Social Change” (New York, 1985).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული თვალსაზრისით, მუსლიმი იდეოლოგიები იყოფიან ტრადიციონალისტებად (კონსერვატორებად) და მოდერნისტებად, მაგრამ ასეთი დახასიათება ყოველთვის არ არის ზუსტი და არ ასახავს რეალურ სიტუაციას. ზოგჯერ ძნელია განსაზღვრო რომელ ბანაკს მიეკუთვნება ესა თუ ის ავტორი. მთავარი რაც მათ აერთიანებთ არის ის, რომ ისლამი აღიარებულია ყველა დროის იდეოლოგიად. რაც შეეხება უშუალოდ ქალთა საკითხს, აქ ისლამი, მათი აზრით, ქალს ანიჭებს ისეთ უფლებებს, რომელიც სხვა ცივილიზებული საზოგადოებისთვისაც კი მიუღწეველია. ამდენად, მუსლიმი იდეოლოგიების დაყოფა მოდერნისტებად და ტრადიციონალისტებად გარკვეულწილად პირობითია და გარკვეულ სიძნელებებთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქალთა საკითხთან დაკავშირებით არსებობს ისეთი პრობლემები, რომლებიც საერთოა, როგორც არაბული, ასევე, დასავლური სამყაროსათვის (განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლეილა აჰმადის გამოკვლევა “Women and Gender in Islam” (Historical Roots of a Modern Debate. New Haven and London. 1992), ასევე აზიზა ალ-ჰიბრის სტატია “A study of Islamic History or How did we ever get into this Mess?” (Women and Islam, Women’s Studies International Forum Magazines, 5, 1982).

ქალთა საკითხი თანამედროვე არაბულ სამყაროში ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობაში მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

ქართველ ავტორთაგან საყურადღებოა ნ. გელოვანის მონოგრაფია ქალი ისლამში (VII-X სს.), რომელშიც შესწავლილია ქალის რელიგიური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური როლი ისლამში (VII-X); ქალის სტატუსი წინაისლამურ ხანაში, ქალი ყურანსა და ჰადისებში, ქალის ფაქტობრივი მდგომარეობა მუსლიმურ საზოგადოებაში, ქალის უფლებები და ვალდებულებები. ნაშრომში ასევე საგანგებოდ არის განხილული ქალისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების საკითხი, რომელიც მუსლიმურ აღმოსავლეთში დღესაც აქტუალურია.

რაც შეეხება რუსულ არაბისტიკას, ჩვენ გავეცანით მონოგრაფიებს, ცალკეულ სტატიებს, დისერტაციებს, რომლებიც არაბულ სამყაროში ქალთა ემანსიპაციის საკითხებს უკავშირდება ან საზოგადოების განვითარების სხვა საკითხებთან ერთად განიხილავს არაბი ქალის მდგომარეობასაც. XX ს.-ის დასაწყისში აღნიშნული საკითხის კვლევას თავიანთი შრომები მიუძღვნეს ვ. ბარტოლდმა, ე. კრაჩკოვსკიმ; მოგვიანებით გამოჩნდა მ. ვაგაბოვის, ლ. კლიმოვიჩის და ზ. ლევინის გამოკვლევები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლ. შაიდულინას მონოგრაფია “Арабская женщина и современность” (Москва, 1978), რომელშიც XX საუკუნის 70-იან წლებამდე ქალთა საკითხის განვითარების ისტორია და მისი გადაწყვეტის გზებია განხილული. ავტორის მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით ზოგიერთ შემთხვევაში ტენდენციურია.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე არაბულ სამყაროში ქალთა პრობლემების დასახასიათებლად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის იმ კონფერენციებისა და სემინარების მასალები, რომლებიც განსაკუთრებით ინტენსიურად XX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან ტარდება. ეს მიანიშნებს, რომ არაბული საზოგადოების ინტერესი ქალთა საკითხისადმი იზრდება და საჭიროა მისი გადაჭრის რადიკალური გზის მოძიება. ამასთანავე ეს იმასაც ადასტურებს, რომ

თავად არაბი ქალის თვითშეგნებაში ფსიქოლოგიური გარდაქმნები ხდება და იწყება მისი აქტიური ბრძოლა საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებები მხოლოდ რეკომენდაციებს გულისხმობს და მათ არ აქვთ სავალდებულო ხასიათი; ერთგვარად მაინც ახერხებს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ამ მნიშვნელოვანი პრობლემისადმი.

არაბმა განმანათლებლებმა პირველებმა აღნიშნეს ქალის უდიდესი როლი ერის ცხოვრებაში. მათი მოღვაწეობა, ქალთა ემანსიპაციის პრობლემასთან დაკავშირებული ახალი იდეები იმის მტკიცებულებაა, რომ მუსლიმი ქალის მდგომარეობა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს და იქცეს მთელი საზოგადოების ხელახალი აღმავლობის საწინდრად. განმანათლებელთა მოღვაწეობის, ქალთა საკითხის დასმისა და ამასთან დაკავშირებით არაბული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მათი როლის ჩვენებას ეძღვნება როგორც ქართველი, ისე ევროპელი და არაბი მკვლევრების ნაშრომები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსი მეცნიერის ა. დოლინინას სტატიები არაბი განმანათლებლების და მათი მოღვაწეობის შესახებ: "О некоторых характерных чертах просвещения на арабском востоке", "Очерки истории арабской литературы нового времени (Египет и Сирия)"; ასევე, ე. კრაჩკოვსკის გამოკვლევა კასიმ ამინის, როგორც არაბულ სამყაროში ქალთა ემანსიპაციის საკითხის განხილვის პიონერის შესახებ; ქართველ ავტორთაგან საყურადღებოა მ. ქუთელიას სტატიები: "ქალთა ემანსიპაციის პრობლემები არაბ განმანათლებლებთან და რომანტიკოსებთან" და "საგანმანათლებლო მოძრაობა ეგვიპტესა და სირია-ლიბანში".

მუსლიმი რეფორმატორების მოღვაწეობამ, საერთოდ, პროგრესული არაბული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებამ, შექმნეს პირობები შემდგომში ქალთა მოძრაობის განვითარებისათვის.

სულ უფრო აქტიურად დაიწყეს ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად არაბმა ქალებმაც.

გამოჩნდნენ ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი მწერალი ქალები, რომელთა შემოქმედებაში ქალთა განთავისუფლების საკითხი სხვადასხვა ასპექტით იყო წარმოდგენილი. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად მუსლიმი ქალები სულ უფრო აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას მასში. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული არაბი მწერალი ქალები ხმას იმაღლებენ საკუთარი ინტერესების დასაცავად, იბრძვიან ისლამურ სამყაროში ქალთა განათლების უფლებისათვის, ქმნიან ქალთა საზოგადოებებს, ქალთა პრესასა და რა თქმა უნდა, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან.

ქალთა ლიტერატურის განვითარება არაბულ სამყაროში XIX ს.-ის ბოლოდან იწყება. ის ამავე დროს ემთხვევა არაბულ ქვეყნებში ქალთა მოძრაობის დასაწყისს. ჩვენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მონოგრაფიული გამოკვლევა ვერ მოვიძიეთ. მიუხედავად ამისა, კვლევისას ვეყრდნობით ჩვენ ხელთ არსებულ მკვლევართა სტატიებსა და გამოკვლევებს, რომლებიც ცალკეული მწერალი ქალების ან ცალკეული საკითხის შესახებ არსებობს. მათ შორის აღსანიშნავია მ. კუკის "War's Other Voices" (:Women Writers on the Lebanese Civil War, Cambridge University Press, 1988) და ს. ჰაფეზის "Womens Narrative in Modern Arabic Literature" (From Love and Sexuality in Modern Arabic Literature. 1995).

არაბულ სამყაროში ქალთა მოძრაობის განვითარების, მწერალი ქალების მოღვაწეობის კვლევის საქმეში უაღრესად საინტერესო მასალის შემცველი აღმოჩნდა ცნობილი არაბი მწერალი ქალის ნავალ სა'დავის გამოკვლევა "The Hidden Face of Eve-Women in the Arab World". ნაშრომი გარკვეულწილად დაზღვეული მანც არ არის ტენდენციურობისაგან. ავტორი განიხილავს არაბი ქალის პრობლემებს

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წარმოადგენს საკითხის განვითარების ისტორიას, ამავე დროს არაბულ სამყაროში ქალთა მოძრაობის მიზეზებს; აქვე მოცემულია არაბი მწერლების დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი. ავტორის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ირანის 1978-79 წლების რევოლუცია და მისი დამოკიდებულება ქალთა ემანსიპაციის პრობლემისადმი.

არაბულ სამყაროში ქალთა მოძრაობის განვითარების საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესო მასალას შეიცავს რუსი მკვლევრის ი. სოკოლოვას სტატია “Новое поколение писательниц в современной египетской прозе”. ევროპელი მკვლევრის ბ. ბარონის ნაშრომი “The Women’s Awakening in Egypt: Culture, Society and the Press.” არაბი ავტორებიდან უნდა გამოვყოთ საბრი ჰაფეზის “Womens Narrative in Modern Arabic Literature”, რომელშიც ავტორი განსაკუთრებით საყურადღებო მოსაზრებებს გვთავაზობს ქალთა მოძრაობისა და ქალთა მწერლობის განვითარების ეტაპების შესახებ, თუმცა ეს მოსაზრებები ხშირ შემთხვევაში საკამათოა.

დიდი ადგილი ეთმობა ქალთა საკითხს ახალ არაბულ ლიტერატურაში. თითქმის ყველა თაობის და ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელმა გამოხატა პოზიცია ქალთა საკითხისადმი. შეიქმნა ქალთა საინტერესო სახეები. “ახალი ქალის” და მისი ლიტერატურაში ჩამოყალიბებისა და ასახვის საკითხი ძირითადია ჩვენს საკვლევ თემაში. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს არაბ და ევროპელ მეცნიერთა რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი. მათ შორის უნდა გამოვყოთ არაბი მკვლევრის ტაჰა ვადის “سورة المرأة في الرواية المعاصرة”. რაც შეეხება ქალის სახეს თანამედროვე არაბულ პოეზიაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაბ ან ევროპელ ავტორთა ნაშრომებს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. ასევე, ვერ მოვიპოვეთ მონოგრაფიული ტიპის გამოკვლევა საკვლევ თემის შესახებ.

სუად ალ-საბაჰის შემოქმედების შესახებ საინტერესო მასალების შემცველია ცალკეული არაბი ავტორების გამოკვლევები, მაგალითად: მუჰამად ანანის "التماس من الشعر لسعاد الصباح" (2000), მაჰმუდ ჰიდრის "غفة التماس" (1993), "عزف على أوتار مشوادة" ნაბილ რაღიბის (1995), "مطالعة في شعر سعاد الصباح" ფადლ ამინის "سعاد الصباح شاعرة الانتماء الحميم" (1994), ფადილ ხალაფის "سعاد الصباح الشعر و الشاعرة" (1992) და სხვ. მიუხედავად ნაშრომთა სიმრავლისა, უნდა აღინიშნოს, რომ აკლიათ დამაჯერებლობა. თუმცა, ამ გამოკვლევებმა ჩვენი პოზიციის ჩამოყალიბებაზე გარკვეული გავლენა იქონია. ვერ მივაკვლიეთ ვეროპელ და სხვა ავტორთა ნაშრომებს სუად ალ-საბაჰის შემოქმედების შესახებ. რაც შეეხება არაბი ავტორების ნაშრომებს, შეიძლება ითქვას რომ, მათი ღირებულება სამეცნიერო თვალსაზრისით მეტნაკლებად საკამათოა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქალთა საკითხისადმი არაბული საზოგადოების მოწინავე ნაწილის დამოკიდებულების ჩვენება არაბული საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

სუად ალ-საბაჰის შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესწავლის საფუძველზე იმ როლისა და ადგილის განსაზღვრა, რომელიც არაბი ქალების საუკეთესო და პროგრესულად მოაზროვნე წარმომადგენლებს მიუძღვით ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლასა და თანამედროვე ეტაპზე არაბული საზოგადოების განვითარებაში. ასევე, სუად ალ-საბაჰის ლიტერატურული ესთეტიკისა და მისი სიახლის განსაზღვრა.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს ის, რომ მასში პირველადაა მოცემული სუად ალ-საბაჰის საზოგადოებრივი საქმიანობისა და პოეტური შემოქმედების ანალიზი, გამოვლენილია მისი იდეების მასაზრდოებელი წყაროები, განსაზღვრულია პოეტი ქალის როლი და ადგილი ახალი არაბული ლიტერატურის ისტორიაში.

სუად ალ-საბაჰი თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ახალ არაბულ ლიტერატურაში. მისი შემოქმედება აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების მიღწევათა სინთეზის ნიმუშია; მისი

პოეზია ფართოდაა ცნობილი და დაფასებული, როგორც არაბული, ასევე დასავლურ სამეცნიერო წრეებში. მიუხედავად ამისა, ქართული საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია პოეტი ქალის შემოქმედება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ-ერთი მცირე მოცულობის კრებულის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს. მართალია, სუად ალ-საბაჰს არასდროს მოკლებია არაბული საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების ყურდღება, მაგრამ მისი შემოქმედება ჯერ კიდევ არ გამხდარა ყოველმხრივი შესწავლის ობიექტი.

ჩატარებული კვლევით მიღებული შედეგები ვფიქრობთ, საყურადღებოა არა მარტო სუად ალ-საბაჰის შემოქმედების, არამედ მთელი ახალი არაბული ლიტერატურის, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო მოძრაობის შესწავლის თვალსაზრისით. ამავე დროს, იგი გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მკითხველს არაბი განმანათლებლების, რომანტიკოსებისა და რეალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლების როლზე ქალთა ემანსიპაციის საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, შესაძლოა, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგებმა გარკვეული სამსახური გაუწიეს თანამედროვე არაბული ლიტერატურით დაინტერესებულ პირებს.

ნაშრომის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველია

არაბისტთა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომა, ლიტმცოდნეობითი ხასიათის სამეცნიერო ლიტერატურა, რომლებშიც განხილულია ზოგადად თანამედროვე არაბული ლიტერატურის სპეციფიკა და კონკრეტულად, სუად ალ-საბაჰის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, ასევე პოეტის შემოქმედებითი მეთოდისა და მისი სტილის ძირითადი თავისებურებანი.

ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია, ფაქტობრივად, რამდენიმე სხვადასხვა კვლევითი მეთოდის კომბინირების შედეგია (ისტორიული მეთოდი, შედარებით-ტიპოლოგიური შესწავლა და

კონტექსტუალური ანალიზი). ამის აუცილებლობას თავად საკვლევი მასალის მასშტაბები და სპეციფიკა განაპირობებს.

1. 1. მუსლიმური რეფორმაცია და ქალთა ემანსიპაციის პრობლემები

მუსლიმური რეფორმისტული მოძრაობა XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო არაბულ ქვეყნებში და ემთხვევა კულტურული აღორძინების (“ნაჰდას”) პერიოდს. ეს არის არაბულ სამყაროში საერთო კულტურული აღმავლობის ხანა, როცა ყალიბდება ახალი იდეოლოგია.

მუსლიმური რეფორმაცია ანუ მოდერნიზმი წარმოადგენდა რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელსაც სათავეში მუსლიმი სასულიერო პირები ჩაუდგნენ და მიზნად დაისახეს რელიგიის განახლება, მისი შეთავსება თანამედროვეობის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ამოცანებთან. იგი გამოწვეული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებით (66, 31).

ამ პერიოდში მწვავედ დადგა ევროპულ კულტურისა და ისლამური მემკვიდრეობის ურთიეთ შეთავსების საკითხი. ერთი მხრივ, საჭირო იყო არაბული ენის, კულტურული ტრადიციის შენარჩუნება და ამავე დროს, ფეხი უნდა აეწყოთ დასავლური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის. ამასთანავე, მუსლიმურ სამყაროში მწვავედ დადგა ქალთა ემანსიპაციის საკითხი. არაბულ ქვეყნებში პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, საერთო დემოკრატიულმა აღმავლობამ განაპირობა ქალთა საკითხის აქტუალობა. ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში საგრძნობლად შეიცვალა (58, 7).

არაბულ სამყაროში ქალთა საკითხის მოგვარებას, მათი უფლებების დაცვას გარკვეული სიძნელეები ახლავს და ეს განპირობებულია არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური პირობებით,

არამედ ისლამური ინსტიტუტების ძლიერი გავლენით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ პირად ცხოვრებაზე. მამაკაცთან შედარებით ქალის არათანასწორუფლებიანობა მუსლიმურ საზოგადოებაში სწორედ ყურანით და შარიათით იყო განმტკიცებული. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა გარკვეული ცვლილებები, მაინც ისლამის დოგმები გარკვეულწილად აფერხებდა ამ საკითხში რადიკალურ ცვლილებებს. ყურანისა და შარიათის კანონთა მოდერნიზაციის იდეა, რომელიც ქალთა საკითხთან იყო დაკავშირებული, პირველად მუსლიმმა რეფორმატორებმა წამოაყენეს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ესენი იყვნენ მუჰამად აბდო, რაშიდ რიდა და სხვა (77, 108).

რელიგიის მოდერნიზაციის პროცესი გარდაუვალი იყო და იგი განაპირობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ძირეულმა ცვლილებებმა.

მუსლიმ იდეოლოგთა შეხედულებანი ამ საკითხთან დაკავშირებით არ იყო ერთგვაროვანი. ისინი იყოფიან ე. წ. ტრადიციონალისტებად და მოდერნისტებად. ამავე დროს მოდერნისტებს შორისაც ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით არის აზრთა სხვადასხვაობა. ეს განსაკუთრებით შეეხება ქალთა ემანსიპაციის საკითხს.

ტრადიციონალისტები ქალს აღიქვამენ, როგორც დედას, ცოლს, ოჯახური ტრადიციების დამცველს, მოდერნისტები კი მხარს უჭერენ ქალთა ემანსიპაციას, აღიარებენ მისთვის განათლების აუცილებლობას და თვლიან, რომ ისინი უკეთ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. გმობენ ქალთა უუფლებობას, კარჩაკეტილობას და ჩადრის ტარების აუცილებლობას. თუმცა ტრადიციონალისტებისა და მოდერნისტებისათვის საერთოა ის, რომ ყურანისა და შარიათის მოთხოვნები სავალდებულოდ მიაჩნიათ და ისლამს აღიარებენ ყველა დროის იდეოლოგიად. ასევე თვლიან, რომ ეროვნული

თვითმყოფადობის შენარჩუნება შესაძლებელია ისლამის დოგმების შესრულებით ქალთა საკითხთან დაკავშირებით (58, 9).

მთავარი პრობლემები, რომელთაც მუსლიმი მოდერნისტები განიხილავდნენ ქალთა საკითხთან დაკავშირებით, არის ქორწინებისა და განქორწინების, პიჯაბის ტარების, საოჯახო სამართლის და სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუსლიმი ქალის მონაწილეობის საკითხი (70, 138).

მუსლიმური რეფორმაციის დაწყებამდე არაბულ სამყაროში ქალთა უფლებების დასაცავად პირველმა ხმა აღიმალლა ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ რიფა'ა ატ-ტაჰტავიმ (1801-1873). მან განათლება მიიღო ალ-აჰკარსა და საფრანგეთში, მომხრე იყო საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობისა. მან პირველმა დაიწყო ფრანგი განმანათლებლების იდეების პროპაგანდა. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ის იყო "არაბული აღორძინების პიონერი და მისი სიმბოლო, უდავოდ თავისი ეპოქის უთვალსაჩინოესი მოაზროვნე" (87, 18). მისი დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელეს მუჰამად აბდომ, ადიბ ისჰაკმა, კასიმ ამინმა და სხვ. განმანათლებლების ძირითად მიზანს შეადგენდა ეროვნული კულტურის აღორძინება და ხალხის მასების განათლება. ფრანგი განმანათლებლების მსგავსად, ისინი მთავარ საზოგადოებრივ ბოროტებად თვლიდნენ ხალხის გაუნათლებლობას. ამავე დროს გამოდიოდნენ ფეოდალური ინსტიტუტების წინააღმდეგ, აკრიტიკებდნენ მოქველებულ ტრადიციებსა და ადათ-წესებს, დიდი ადგილი დაუთმეს ქალთა საკითხს, დასაველეთისა და აღმოსაველეთის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას (20, 205). რიფა'ა ატ-ტაჰტავი ისწრაფოდა აღმოსაველეთისა და დასაველეთის მიღწევათა გონივრული სინთეზისაკენ. მან 1872 წელს გამოსცა წიგნი "გზამკვლევი მოსწავლე გოგონებისა და ვაჟებისათვის" და გამოთქვა მოსაზრება მათი ერთად სწავლების აუცილებლობის შესახებ. იგი თვლის, რომ ქალთა

განათლება და მათი ერთობლივი აღზრდა ხელს შეუწყობს ქალის განვითარებას და მის ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განათლება ქალს მისცემს საშუალებას თავად განაგოს საკუთარი ბედი (89, 325).

1873 წელს ეგვიპტეში ქალთა პირველი სკოლა გაიხსნა.

ატ-ტაჰტავეი გამოდის ქალთა საკითხთან დაკავშირებით ისლამური დოგმების გადასინჯვის მოთხოვნით, ილაშქრებს რა ჰიჯაბისა და კარჩაკეტილობის წინააღმდეგ. ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს ოჯახისა და ქორწინების პრობლემებს და მიაჩნია, რომ ქალი თავისუფალი უნდა იყოს და ქონდეს არჩევანის უფლება (89, 327).

ითვლება რა არაბული განმანათლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენლად, იგი ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ მუსლიმური მოდერნიზმის წინამორბედად, თუმცა აშკარად არასოდეს დაპირისპირებია ორთოდოქსალურ ისლამს (72, 41).

მუსლიმური რეფორმაციის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი გახლავთ ჯამალ ად-დინ ალ-აფლანი (1839-1897). იგი ახდენდა ისლამური დოგმების ახლებურ ინტერპრეტაციას. აღიარებდა, რომ ყველა მუსლიმს ჰქონდა ყურანის თავისუფალი ინტერპრეტაციის უფლება. ეს განსაკუთრებით შეეხებოდა ქალთა საკითხს, საოჯახო და საქორწილო სამართალს. ალ-აფლანი თვლიდა, რომ ერის ჩამორჩენილობის მიზეზი შეიძლება იყოს რელიგიური ფანატიზმი და ტირანია. ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობისათვის უპირველესია ქალის გათავისუფლება ჩადრისაგან; ქალის სახის გამოჩენა სულაც არ ნიშნავს ზნეობის დაცემას (82, 170).

ალ-აფლანი სპეციალურად ქალთა საკითხს არ შეეხებია, მაგრამ განიხილავდა რა პიროვნების თავისუფლების საკითხს, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრობლემას, თვლიდა რომ განათლება ის ძალაა, რომელიც წარმართავს საზოგადოებას პროგრესისაკენ. ყოველივე ეს კი მისი მიმდევრებისათვის გარკვეულწილად ორიენტირს წარმოადგენდა შემდგომში არაბულ

სამყაროში ქალთა ემანსიპაციის საკითხის წინა პლანზე წამოსაწვეად (56, 59).

ალ-აფლანის მიმდევრად და მოწაფედ ითვლება მუჰამად აბლო (1849-1905). მკვლევარები მას მიიჩნევენ ალ-აფლანის იდეების პრაქტიკაში გამტარებლად (77, 93).

მან მთელი თავისი მოღვაწეობა შეაღწია მცდელობას, რათა ისლამის ნორმები შეეთავსებინა თანამედროვეობის მოთხოვნებისათვის. 1898 წელს მისი ინიციატივით დაარსდა მუსლიმ მოდერნისტთა ჟურნალი “ალ-მანარა”, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სწორედ ამ იდეის განვრცობასა და რეალიზაციას. მუჰამად აბლო – ეგვიპტის მთავარი მუფთი ცდილობდა თავისი მოდერნისტული იდეები ცხოვრებაში გაეტარებინა. მისი მრავალრიცხოვანი ფეთვეები სწორედ ლიბერალიზმის სულით იყო გაჟღენთილი (58, 61).

მუჰამად აბლო, რაშიდ რიდა (1865-1935) და სხვები თვლიდნენ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ საჭიროა ქალთა საკითხისადმი ახლებური მიდგომა და სამაგალითოდ მოჰყავდათ მრავალცოლიანობის საკითხი. მათი აზრით, ოჯახი საზოგადოების საყრდენია და პოლიგამია ამდენად თანამედროვე ცხოვრებისათვის სრულიად მიუღებელია. თუმცა იგი უნდა მოგვარდეს შარიათის კანონების შესატყვისად (56, 63).

აბლომ თავის დროზე გამოსცა ფეთვა, რომელშიც იგი ცნობს ქალის უფლებას განქორწინების საკითხში. ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმ დროისათვის და აბლოს ამ ფეთვამ დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ეგვიპტის, არამედ სხვა არაბული ქვეყნების საზოგადოებრივ აზრზე. მუსლიმი რეფორმატორის ამ გადაწყვეტილებამ ცხადჰყო, რომ ისინი უდავოდ პროგრესის გზით მიდიოდნენ ქალთა ემანსიპაციის საკითხთან დაკავშირებით.

მუსლიმ რეფორმისტთა გვერდით აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ კასიმ ამინი (1863-1908), წარმოშობით ქურთი, ეგვიპტელი

მწერალი, ავტორი წიგნებისა „ქალთა განთავისუფლება“ და „ახალი ქალი.“ იგი კარგად იცნობდა განმანათლებელთა იდეებს, ასევე მუსლიმურ მოდერნიზმს და სწორედ მათ საფუძველზე ყოველმხრივ შეისწავლა ქალთა საკითხი არაბულ სამყაროში და მათი უფლებების დაცვა აქცია თავისი ცხოვრების მიზნად. მისი სიტყვები - “არ შეიძლება ერი იყოს თავისუფალი, თუ მასში ქალი დაჩაგრულია”, იქცა არაბულ სამყაროში მოწინავე დემოკრატიული საზოგადოების სულისკვეთების გამომხატველად ქალთა ემანსიპაციის პრობლემასთან დაკავშირებით.

კასიმ ამინი მთავარ ყურადღებას უთმობდა ქალთა განათლების საკითხს და მიუთითებდა, რომ ოჯახი და საზოგადოება უფრო მოგებულნი იქნებიან, თუ ქალი იქნება კარგად აღზრდილი და განათლებული. ქალთა განათლების საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება, უნდა ვივარაუდოთ, განპირობებული იყო იმით, რომ ეგვიპტის საზოგადოება სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენდა დასავლეთ ევროპის სამეცნიერო და კულტურული მიღწევებისადმი. კასიმ ამინის მოწინააღმდეგეები, სწორედ, ამაში სდებდნენ ბრალს და მკვეთრად აკრიტიკებდნენ (82, 171).

კასიმ ამინი ქალთა ემანსიპაციის სხვა პრობლემებსაც ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ქალი და ერი, ქალი და ოჯახი, ქორწინებაში მისი თანასწორუფლებიანობა. ეს ის პრობლემებია, რომელთა გადაჭრა თავად მუსლიმური საზოგადოების შემდგომი განვითარების ინტერესებში შედიოდა.

კასიმ ამინი, როგორც იურისტი, კატეგორიულად მოითხოვდა ქალის უფლებების დაცვას ქორწინების საკითხში და თავად აღგენდა განქორწინების პროექტს.

თავისი მთავარი პრინციპები ქალთა განთავისუფლების შესახებ კასიმ ამინმა განავრცო წიგნში „ახალი ქალი“. მასში იგი თავისუფლების ასეთ განმარტებას იძლევა: „თავისუფლება

გულისხმობს ადამიანის დამოუკიდებლობას აზროვნებაში, ნებასა და მოქმედებაში, როდესაც თავისუფლება რჩება კანონის ფარგლებში, ზნეობრიობის პრინციპები დაცულია.” (114, 432). სწორედ ასეთი თავისუფლებაა საჭირო მუსლიმი ქალისთვის. იქვე იგი მიუთითებდა: „ჩვენი კანონები დაწერილია თავისუფალი ერისათვის, ხოლო ზნეობრივი ნორმები კი ისეთივე რჩება, როგორც დამონებულ ერს შეეფერება.” აქ იგი უპირველესად გულისხმობდა მუსლიმი ქალის განთავისუფლებას ჩადრისაგან, რამეთუ მისი ტარება არის „სიმბოლო უმეცრებისა და ქალის დამცირებისა.” (114, 489).

კასიმ ამინის ნაწარმოებებმა და საერთოდ მისმა მოღვაწეობამ, ქალთა გათავისუფლებისათვის ისლამურ სამყაროში, გამოიწვია გარკვეული ძალების გააფთრებული წინააღმდეგობა, რომლებიც თვლიდნენ, რომ ქალთა საკითხთან დაკავშირებით ისლამის ინსტიტუტების შენარჩუნება წარმოადგენს რელიგიის საყრდენს და რომ კასიმ ამინი ამის წინააღმდეგ გამოდიოდა. განსაკუთრებით აქტიური მოწინააღმდეგეები იყვნენ: აბდუ ლ-მაჯიდ ხეირი, აბდა ლ-ლაჰ ჯამალ ედ-დინი და სხვ. ისინი კასიმ ამინს ადანაშაულებდნენ ეროვნული ინტერესების უგულებელყოფაში (82, 172).

კასიმ ამინმა ჩამოაყალიბა ქალთა ემანსიპაციის საკითხთან დაკავშირებით შემდეგი მოთხოვნები: 1. მრავალცოლიანობის აკრძალვა, 2. განქორწინების უფლება ქალთათვის, 3. ქალთა განათლების აუცილებლობა, 4. ქალის უფლება სამუშაოს შესახებ, 5. ჩადრის გადაგდების აუცილებლობა. ამავე დროს მიიჩნია, რომ ქალის განთავისუფლება თავისთავად გახდება მიზეზი საზოგადოების ზნეობრივი სრულყოფისა.

კასიმ ამინის მოღვაწეობამ ცხადყო, რომ მისი ახალი იდეები, არის მტკიცებულება იმისა, რომ მუსლიმი ქალის მდგომარეობა ძირფესვიანად უნდა შეცვლილიყო და ეს უნდა ქცეულიყო მთელი საზოგადოების ხელახალი აღმავლობის საწინდრად.

კასიმ ამინმა არაბული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში პირველმა ქალთა საკითხი განსაზღვრა, როგორც მეცნიერული და სოციალური პრობლემა.

მუსლიმური რეფორმატორების მოღვაწეობამ, საერთოდ, პროგრესული არაბული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებამ, შექმნეს პირობები შემდგომში ქალთა მოძრაობის განვითარებისათვის. ამასთანავე სულ უფრო აქტიურად დაიწყო ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად არაბმა ქალებმა.

გამოჩნდა ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი ლიტერატორი ქალები, რომელთა შემოქმედებაშიც ქალთა განთავისუფლების საკითხი სხვადასხვა ასპექტით იყო წარმოდგენილი. ვითარდებოდა რა საზოგადოებრივი ურთიერთობები, მუსლიმი ქალები სულ უფრო აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას მასში.

1912 წელს ეგვიპტეში გაიხსნა ქალთა სამასწავლებლო სემინარია; 1908 წელს კაიროს უნივერსიტეტში ქალთა სპეციალური ფაკულტეტი დაარსდა, სადაც იკითხებოდა ლექციები ფსიქოლოგიასა და მორალში, ფემინიზმში, ბავშვთა მედიცინასა და პიგიენაში. თავად ასეთი ფაკულტეტის გახსნის ფაქტი მიუთითებდა იმაზე, რომ მუსლიმურ საზოგადოებაში ქალთა განათლების საკითხისადმი მიდგომა შეიცვალა. გამოჩნდნენ პირველი არაბი ლექტორი ქალები. მაგ.: მაღქე პიფნი ნასიფა, ლაბიბა ჰაშიმი და სხვ. (58, 75).

XIX საუკუნის ბოლოს გაჩნდა ქალთა პირველი საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საზოგადოებები.

მუსლიმი რეფორმისტების მოღვაწეობამ XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა ისლამის მოდერნიზაციის შემდგომ პროცესს და რაც მთავარია, ქალთა ემანსიპაციის საკითხთან დაკავშირებით, სწორედ მან განსაზღვრა ის პოზიცია, რომ არაბულმა საზოგადოებამ ქალი აღიქვა, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი,

რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული მომავალი თაობის, საერთოდ
ერის ბედი მომავალში.

1. 2. ქალთა ემანსიპაციის პრობლემები თანამედროვე არაბულ სამყაროში

არაბული სამყაროსათვის დღესაც აქტუალურია ქალთა ემანსიპაციის საკითხი. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაინტერესდა მუსლიმური საზოგადოება ამ პრობლემით. ამ წლების არაბული აღმოსავლეთისათვის საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო მისული ქალთა პოლიტიკური უფლებების აღიარებამდე, არამედ ლაპარაკი იყო ქალის უფლებებზე ოჯახსა და ქორწინებაში, სიყვარულსა და ბედნიერებაზე (36, 283).

თანამედროვე ეტაპზე, არაბულ ქვეყნებში არნახული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში, მოხდა რა ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, მუსლიმი ქალი სულ უფრო აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა აუცილებლობა, რომ დაკანონებულიყო მათთვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თავისუფლებანი, გარანტირებული ყოფილიყო შრომისა და განათლების უფლება. ამრიგად, ქალთა ემანსიპაციის საკითხი იქცა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში არაბი განმანათლებლების და მუსლიმი რეფორმატორების მოღვაწეობამ მოამზადა ნიადაგი ისლამის რეფორმაციისათვის თანამედროვე ეტაპზე ქალთა საკითხთან დაკავშირებით. სწორედ მათი მოღვაწეობის შედეგია, რომ არაბულმა საზოგადოებამ ქალი აღიქვა მის სრულუფლებიან წევრად.

აღსანიშნავია ის, რომ მუსლიმ იდეოლოგთა ნაწილი თანამედროვე ეტაპზე ქალთა პრობლემას აბსურდულად მიიჩნევდა. მუსლიმი იდეოლოგები მიუთითებენ ყურანის რამდენიმე სურაზე (4 : 1, 126; 66 : 10, 11; 33 : 35) და ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივ

ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარუფლებიანობა სწორედ ყურანით იქნა აღიარებული, ამასთანავე, მათი აზრით, საზოგადოებაში ქალის სოციალური როლი განისაზღვრება იმით, რომ ის არის დედა და ცოლი, რომ ქალს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს არ უშლის მას შეასრულოს მისი მთავარი ფუნქცია. მამაკაცმა კი უნდა უზრუნველყოს იგი.

ამავე თვალსაზრისს იზიარებს საიდ კუტბი (1906-1966) – “ასოციაცია მუსლიმი ძმების” იდეოლოგი და თეორეტიკოსი. იგი მიუთითებდა, რომ მამაკაცი და ქალი არიან ალაჰის შექმნილი და ალაჰი არასოდეს განიზრახავს დაჩაგროს ვინმე თავის შექმნილთაგან. ქალის უპირველესი მოვალეობაა ბავშვის გაჩენა. მამაკაცის მოვალეობაა უზრუნველყოს ქალი ეკონომიურად, რათა მან შეძლოს თავისი უპირველესი მოვალეობის შესრულება. ამასთან არსებობს მოსაზრება, რომ ქალის საშინაო საქმეები ეკონომიკურად პროდუქტიულია. თუ მამაკაცები გამოიმუშაებენ, ქალები ასრულებენ საშინაო საქმეებს და ამდენად ორივე ავსებენ ერთმანეთს (25, 27).

ამავე დროს იგი მიუთითებდა ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ განსხვავებულობაზე და თვლიდა, რომ აქედან გამომდინარე, ქალს არ შეუძლია შეასრულოს საზოგადოებაში იგივე ფუნქცია, რაც მამაკაცს. ასე მაგალითად, ქალი, თავისი ემოციურობის გამო ვერ იქნება ობიექტური მსაჯული ან მოწმე (58, 57).

მუსლიმი იდეოლოგები ქალთა საკითხთან დაკავშირებით ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათის მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ერთის მხრივ ცდილობდნენ ფეხი აეწყოთ საზოგადოებრივი განვითარების პროცესისათვის და ამასთანავე შეენარჩუნებინათ ყურანისა და შარიათის ნორმები, ეჩვენებინათ, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ პროგრესსა და განვითარებას (73, 145).

როგორც ადრე აღვნიშნეთ, თანამედროვე არაბულ სამყაროში საოჯახო და საქორწინო ურთიერთობების მოგვარება მჭიდროდაა დაკავშირებული ისლამთან და აქ ყველაზე მეტად ვლინდება საზოგადოების კონსერვატიულობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თანამედროვე არაბულ ოჯახში ქალი ინარჩუნებს ტრადიციულ ფუნქციას და ისლამი კი ცდილობს ამით შეინარჩუნოს თავისი გავლენა საერთოდ ოჯახზე. მუსლიმი იდეოლოგიები ცდილობენ მოახდინონ აღნიშნულთან დაკავშირებით ისლამური დოგმების მოდერნიზაცია და ამით ქალთა ყურადღება მიიპყრონ. მაგალითად, არაბულ სამყაროში დღევანდელ ეტაპზე სრულიად ახალი მოვლენაა ოჯახის დაგეგმვა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. მუსლიმი მიდერნისტები მხარს უჭერენ აღნიშნულ პოლიტიკას და ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში გამოიცა შესაბამისი ფეთვაც (59, 26). ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ისლამი ვითარების შესაბამისად ცდილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს უპასუხოს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მაჰმუდ შალთუთის მოღვაწეობა, რომელიც ალ-აზჰარის შეიხი იყო და ცდილობდა როგორც ოფოციალურ პირს, ჩამოეყალიბებინა საზოგადოებრივი აზრი სოციალურ-ეკონომიკური თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე ყურანისა და შარიათის კანონთა გათვალისწინებით და მიესადაგებინა იმ სიახლეებისათვის, რომელიც ინერგებოდა ცხოვრებაში.

მისმა შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინა, როგორც ეგვიპტის, ისე სხვა არაბული ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე ქალთა საკითხთან დაკავშირებით და ასევე ისლამის შემდგომი მოდერნიზაციის პროცესებზე.

არაბულ ქვეყნებში იზრდებოდა მოთხოვნილება ქალთა შრომაზე. ამასთან დაკავშირებით მაჰმუდ შალთუთი იმოწმებდა ყურანს (4 : 123) და განმარტავდა, რომ საკუთარი შრომით ქონების შექმნა მუსლიმურ საზოგადოებაში ერთნაირად არის შესაძლებელი როგორც მამაკაცის,

ასევე ქალისათვის. ეს არ არის მხოლოდ მამაკაცის პრივილეგია. თუმცა იქვე მიუთითებდა, რომ ქალმა არ უნდა იტვირთოს ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც მის ბუნებრივ შესაძლებლობებს აღემატება. ამავე დროს იგი არ ეწინააღმდეგება ქალის უფლებათა აღიარებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან თვლიდა, რომ ქალს ისეთივე პასუხისმგებლობა ენიჭება საკუთარ ქმედებათა გამო, როგორც მამაკაცს (58, 178).

მართალია, მისი შეხედულებები ქალთა საკითხთან დაკავშირებით არ გამოირჩეოდა რადიკალიზმით, რაც გარკვეულწილად ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული, მაგრამ ოფიციალური პირის ეს განცხადებები ხელს უწყობდა მუსლიმურ საზოგადოებაში ქალთა საკითხის შესახებ პროგრესული იდეების ჩამოყალიბებას და განვითარების პროცესს.

ქალთა ემანსიპაციის პრობლემასთან დაკავშირებით საყურადღებოა ალ-აზჰარის პოზიცია. ეს ინტერესი უპირველესად განპირობებულია მისი, როგორც მუსლიმთა მთავარი რელიგიური ცენტრის როლით არაბულ საზოგადოებაში. სწორედ მას ენიჭება წამყვანი როლი ისლამის ტრადიციული ინსტიტუტების შენარჩუნების საქმეში. აქედან გამომდინარე ხდებოდა ქალთა საკითხის განხილვაც.

XX საუკუნის 50-იან წლებში ეგვიპტეში ფართოდ გაჩაღდა დისკუსია ქალთათვის პოლიტიკური უფლებების მინიჭების შესახებ. ამ დროს ეგვიპტის სასულიერო ლიდერმა გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით, რადგან ითვლებოდა, რომ ქალის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ეწინააღმდეგებოდა მუსლიმი ქალის სოციალურ ფუნქციას (82,165). ამავე დროს, იმოწმებდნენ მოციქულ მუჰამედის სიტყვებს: “ხალხი, რომელიც თავის საქმეებს მიანდობს ქალს, წარმატებას ვერ მიაღწევს.” აღსანიშნავია, რომ ისლამის ისტორიაში იყვნენ ქალები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში მყოფი ქმრების ან ვაჟების საშუალებით აქტიურად

ეროდნენ სახელმწიფო საქმეებში, მაგრამ ქალები, რომლებიც თვითონ ახორციელებდნენ ხელისუფლებას, ყოველთვის წარმოადგენდნენ კრიტიკის ობიექტს (5, 30).

1953 წელს ეგვიპტის საკონსტიტუციო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მომავალ კონსტიტუციაში ქალებს მისცემოდათ მამაკაცთა თანაბარი უფლებები. აღ-აზჰარმა მკვეთრად გაილაშქრა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. 1957 წელს კი გამოიცა ფეთვა, რომლითაც ქალებს ეკრძალებოდათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, აგრეთვე დასწრება საზოგადოებრივ შეკრებებზე. მაგრამ მოგვიანებით დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი შეიცვალა, რადგან თვალსაჩინო გახდა, რომ არაბულ ქვეყნებში ქალთა ემანსიპაციის პროცესის შეჩერება შეუძლებელი იყო და უმჯობესი იქნებოდა ეს პროცესი მათ მიერ ყოფილიყო მართული. საჭირო გახდა გარკვეულ დათმობებზე წასვლა. ასე მაგალითად, 1961 წელს აღ-აზჰარის უნივერსიტეტში ქალთა ფაკულტეტი გაიხსნა. მისი მსმენელები რელიგიურთან ერთად სამეცნიერო საგნებსაც სწავლობდნენ.

საყურადღებოა მუსლიმ იდეოლოგთა პოზიცია ქალთა განათლების საკითხთან დაკავშირებით. ისინი მიუთითებდნენ, რომ ყურანის მიხედვით, ყველა მუსლიმი განათლებისაკენ უნდა ისწრაფვოდეს და ამაში, უდაოდ, რელიგიურ განათლებას გულისხმობდნენ. მათი აზრით, მხოლოდ ისლამის საშუალებით იყო შესაძლებელი "არაბთა ეროვნული სულის" შენარჩუნება. მათ ამასთანავე კარგად ესმოდათ, რომ საზოგადოებაში ქალის როლის ზრდა მჭიდროდაა დაკავშირებული განათლებასთან. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ არაბული ქვეყნების წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის უმრავლესობას სწორედ ქალები შეადგენენ.

თანამედროვე ეტაპზე არაბულ ქვეყნებში ქალთა ემანსიპაციის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ისინი

დაადგენენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის გზას. რეგიონის მოდერნიზაცია, რაც არსებითად გულისხმობს მის დაახლოებას თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურად და სოციალურად ყველაზე წინ წასულ ქვეყნებთან კარგა ხანია მიმდინარეობს, მაგრამ ამ პროცესს ბევრი პრობლემა ახლავს თან. ისინი ძირითადად უკავშირდება არსებულ სოციალურ და კულტურულ სიტუაციას. ავიღოთ მაგალითად ქალთა უფლებები. ძნელი წარმოსადგენია, რომ არაბული ქვეყნების ქალებმა ახლო მომავალში მიიღონ ისეთივე (რეალური და არა ქალაქებზე არსებული) უფლებები, რაც დასავლეთში მცხოვრებ ქალებს აქვთ. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ სეკულარიზაციის პროცესი, რაც ასევე უკავშირდება მოდერნიზაციას ახლო აღმოსავლეთში, გარკვეულ ეტაპზე მკვეთრ სოციალურ რეაქციას შეიძლება წააწყდეს. ამის მკაფიო მაგალითია ირანი, სადაც 1979 წლამდე შაჰის სეკულარული რეჟიმი თრგუნავდა რელიგიას. ამას მოჰყვა ისლამური რევოლუცია და რამდენიმე ათეული წლის წინ საკმაოდ ემანსიპირებული ირანელი ქალი XXI საუკუნის დამდეგს პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა (2, 253).

სხვადასხვა დროს ქალთა ემანსიპაციის საკითხს მიექლენა სემინარები და კონფერენციები, რომელთა მიზანი იყო არაბულ ქვეყნებში ქალთა მდგომარეობის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება, საკანონმდებლო გზით მათი მოგვარება. ძირითადად განიხილებოდა სამი პრობლემა: ქალი და კანონი, ქალი და შრომა, ქალი და პოლიტიკა. აღნიშნულ საკითხებზე მიიღეს რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოგვარებულიყო ქალთა საკითხი იმ არაბულ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ არ მოიპოვებოდა ქალთა სამოქალაქო მდგომარეობის დამარეგულირებელი კანონები. ისინი უნდა შემუშავებულიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო შეთანხმების ფონზე. დაცული უნდა ყოფილიყო ქალთა უფლებები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ

საქმიანობაში. მაგალითად, უმნიშვნელოვანესი იყო 1952 წლის კონფერენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ. 1957 წლის კონფერენცია ქალთა საქორწინო ასაკის განსაზღვრისა და რეგისტრაციის შესახებ. 1967 წლის გენერალური ანსამბლის დეკლარაცია ქალთა ჩაგვრის შესახებ, 1974 წლის დეკემბრის დეკლარაცია შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს რეკომენდაციები არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს, მათ საფუძველზე არაბულ სამყაროში შეიქმნა გარკვეული საზოგადოებრივი აზრი ქალთა საკითხთან დაკავშირებით.

დიდი ყურადღება ქალთა პრობლემებისადმი გაეროს მხრიდან გამოიხატა იმითაც, რომ 1975 წელი გამოცხადებულ იქნა ქალის წლად. შემდგომში ეს გაგრძელდა 1985 წლამდე. ამ პერიოდში ორი უმნიშვნელოვანესი კონფერენცია ჩატარდა: 1980 წელს კოპენჰაგენში, 1985 წელს ნაირობში ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. 1993 წელს კი მიღებულ იქნა დეკლარაცია ნებისმიერი ფორმით ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ. ქალთა უფლებები არაბულ სამყაროში დაცული იქნება იმ შემთხვევაში თუ ყველა არაბული ქვეყანა ცნობს ამ შეთანხმებებსა და დეკლარაციებს.

არაბულ ქვეყნებში, რომლებიც პოლიტიკურად დამოუკიდებლები გახდნენ, ამჟამად ღრმა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები მიმდინარეობს. ქალთა საკითხის სწორად მოგვარება კი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემაა და ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებისა (71, 193).

ქალთა ემანსიპაციის პრობლემისადმი ამგვარმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ არაბული ქვეყნების კონსტიტუციებში აღიარებულ იქნა თანაბარუფლებიანობის პრინციპი, ქალთა სოციალური და

პოლიტიკური უფლებები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი საკანონმდებლო აქტი ქალთა საკითხთან დაკავშირებით არ იყო სრულყოფილი და არსებობდა გარკვეული წიანა აღმდგომები მათი ამოქმედებისათვის. ეს კი განპირობებული იყო რელიგიური ინსტიტუტების მხრიდან შეზღუდვებით. ამიტომ ბევრი ღონისძიება ქალთა ემანსიპაციის საკითხთან დაკავშირებით ვერ განხორციელდა. იმ არაბული ქვეყნების კონსტიტუციაში, სადაც ისლამი აღიარებულია სახელმწიფო რელიგიად, ოჯახის საფუძვლად კი გამოცხადებულია რელიგია, ტრადიცია და პატრიოტიზმი, ქალის მდგომარეობა რეგლამენტირებულია ისლამის ტრადიციული ნორმებით.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აღიარებდა ქალთა უფლებებს და აძლევდა მათ საშუალებას შეეთავსებინათ საზოგადოებრივი საქმიანობა ოჯახურ მოვალეობებთან, ზემოთაღნიშნული შეზღუდვები მიუთითებენ, რომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ქალთა უფლებები შელახული იყო და ბევრი დეკლარირებული ღონისძიება ქალთა საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ქალაღდზე რჩებოდა.

ისლამი დღესაც აღიარებულია ბევრი არაბული ქვეყნის სახელმწიფო რელიგიად და წარმოადგენს გაბატონებულ იდეოლოგიას, რომელიც არეგულირებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, XX საუკუნის ბოლოსათვის განსაკუთრებული წარმატებები ქალთა ემანსიპაციის საკითხთან დაკავშირებით აშკარაა არაბულ ქვეყნებში. მაგალითად, ეგვიპტის კონსტიტუციით აღიარებულია ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებიანობა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. მასში აღნიშნულია, რომ უნდა მოისპოს ყველა პირობა, რომელიც ხელს შეუშლის ქალის თავისუფალ განვითარებას.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საზოგადოების პროგრესი წარმოუდგენელია თუ ქალი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის დამოუკიდებელი. მხოლოდ პოლიტიკური უფლებების მინიჭებით არ შეიძლება ქალთა საკითხის მოგვარება. ქალის ჩაბმა შრომაში მისი ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარანტიაა. ეს უკანასკნელი კი იწვევს იმას, რომ ქალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდება.

არაბულ ქვეყნებში ქალთა ემანსიპაციის პრობლემის განხილვისას აუცილებელად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ყველაზე ძნელად გადასალახავი აღმოჩნდა ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რომლითაც მუსლიმ ქალს ეკრძალებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.

ქალთა ემანსიპაციის საკითხის და მასზე ისლამის გავლენის შესწავლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა აზრი, რომ არაბი ქალის ფსიქოლოგია გამოირჩევა ტრადიციებისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებით. ქალთა ემანსიპაციის პრობლემის მოგვარება არა მარტო აღნიშნული საკითხისადმი რელიგიური ინსტიტუტების დამოკიდებულებაზე ან საერთო სეკულარიზაციის პროცესია დამოკიდებული, არამედ თავად მუსლიმი ქალის ფსიქოლოგიის ცვლილებებზე. აქედან გამომდინარე მუსლიმი ქალის პრობლემათა მოგვარება არაბულ სამყაროში საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია.

თანამედროვე პირობებში, როდესაც არაბულ ქვეყნებში არნახული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მომსწრენი ვხდებით და ხდება ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, აგრეთვე დრომოჭმული შეხედულებების გადაფასება, მუსლიმი ქალი სულ უფრო აქტიურად ტოვებს ოჯახის კედლებს და ერთეება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თანამედროვე ეტაპზე არაბულ სამყაროში ქალთა ემანსიპაციის პრობლემების მოგვარება

მიმდინარეობს საკანონმდებლო გზით. მიუხედავად ამისა ქალთა საკითხი ჯერ კიდევ აქტუალურია, რადგან მართალია შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ ძნელად მიმდინარეობს საზოგადოებრივ შეხედულებათა ცვლილებები. რთულია იმ ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა მუსლიმურ სამყაროში.

1. 3. ქალთა მოძრაობა და არაბი მწერალი ქალები

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბულ ქვეყნებში დიდ როლს თამაშობს განმანათლებლობისა და ისლამის რეფორმაციის იდეები. იწყება ახალი ეპოქა არაბულ საზოგადოებრივ აზროვნებაში. ეს დაკავშირებულია პიროვნების როლის ზრდასთან ახალ საზოგადოებაში და სწორედ ეს არის არაბული განმანათლებლობისა და რელიგიური რეფორმაციის მთავარი საკითხი XIX საუკუნეში.

არაბული განმანათლებლობის, როგორც იდეური მოძრაობის, ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად ზ. ლევინი თვლიდა იმას, რომ “გაჩნდა სურვილი უსახური მორჩილთა მასები, რომლებიც მმართველთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, გაერთიანებულიყვნენ და ჩამოყალიბებულიყვნენ პიროვნებებად, რათა ეცხოვრათ თავიანთი ჭკუით და მისწრაფებებით და არა ავტორიტეტთა განგებით.” (50, 33). მუსლიმური რეფორმაციის წარმომადგენლები, განმანათლებელთა მსგავსად, ისწრაფოდნენ გაეთავისუფლებინათ “ადამიანური გონი ღოგმათა ბატონობისაგან”, ომს უცხადებდნენ სქოლასტიკას, როგორც ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდს (50, 34). სწორედ მუსლიმმა რეფორმატორმა ალ-აფლანიმ წამოაყენა განახლების ლოზუნგი – “მუსლიმთა უფლება ყურანის თავისუფალი ინტერპრეტაციის შესახებ და თაკლიდის წინააღმდეგ, რომ უსიტყვოდ არ დამორჩილებოდნენ ტრადიციას.” (50, 108).

პიროვნების როლის ამაღლება საზოგადოებაში გამოწვეული იყო დროის მოთხოვნებით. ამრიგად, XIX საუკუნეში არაბულ სამყაროში ახალი ღირებულებები ჩნდება. ეს არის პიროვნების ინდივიდუალური სამყარო, ინდივიდუალიზმი.

არაბი იდეოლოგები უკვე მსჯელობდნენ პიროვნების როლზე საზოგადოებაში, მის უფლებებსა და მოვალეობებზე. სწორედ ამ პერიოდში მიექცა უდიდესი ყურადღება არაბულ სამყაროში ქალთა

საკითხს პიროვნების როლის ამაღლებასთან დაკავშირებით. ემანსიპირებული ქალი უნდა გამხდარიყო საზოგადოების სრულუფლებიანი და აქტიური წევრი. ეს სიახლე განპირობებული იყო არაბული ქვეყნების ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მატერიალური კულტურის სფეროში მიმდინარე ძირეული ცვლილებებით. სწორედ ამის შესახებ წერდა ა. დოლინინა არაბული განმანათლებლობის ფორმირების აღწერისას: “მათთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზოგიერთ სოციალურ, პირველ რიგში – ქალთა ემანსიპაციის საკითხს.” (36, 24).

ქალთა მოძრაობა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაიწყო. ამ მოძრაობას არაბული ქვეყნები შეუერთდნენ XIX საუკუნის ბოლოდან. იგი ფართო ხასიათს იღებს არაბი განმანათლებლების ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ. XX საუკუნის დასაწყისში უკვე განმანათლებელთა გვერდით მოღვაწეობას იწყებენ არაბი რომანტიკოსები, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვას ასევე დიდ ყურადღებას უთმობდნენ.

არაბულ სამყაროში, როგორც უკვე აღინიშნა, ქალთა საკითხის მოგვარებას გარკვეული სიძნელეები ახლავს. ეს განპირობებულია როგორც სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, ასევე ისლამური ინსტიტუტების ძლიერი გავლენით საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ პირად ცხოვრებაზე. მუსლიმი ქალს არ ჰქონდა ის უფლებები, რითაც მამაკაცები სარგებლობდნენ. მას ეკრძალებოდა საზოგადოებაში გამოჩენა, არ ჰქონდა განათლების, ქორწინებაში თავისუფალი არჩევანის გაკეთებისა და სხვა უფლება. ასევე უუფლებო იყო ქალი ოჯახშიც. კასიმ ამინი ამის შესახებ წერდა: “მუსლიმი მამაკაცის თვალში ქალი არ წარმოადგენს ნამდვილ ადამიანს.” (98, 71). ქალი იმყოფებოდა ძველი ტრადიციებისა და ადათ-წესების ტყვეობაში. ამიტომაც იყო, რომ რიგი აქტუალური პრობლემების გვერდით

მძაფრად დადგა ქალთა ემანსიპაციის საკითხი მუსლიმურ საზოგადოებაში.

განმანათლებლებმა პირველებმა აღნიშნეს ქალის უდიდესი როლი ერის ცხოვრებაში. ქალთა უფლებებისათვის მებრძოლნი არაბულ ქვეყნებში, დასაუფლეთისაგან განსხვავებით, მამაკაცები იყვნენ. მოგვიანებით შეუერთდნენ ქალები.

1894 წელს გამოვიდა ეგვიპტელი ადვოკატის მურკოს ფაჰმის წიგნი “ქალი აღმოსავლეთში”, რომელშიც უკვე იყო მსჯელობა საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ, ასევე მოთხოვნები ჰიჯაბის ტარების აკრძალვის, მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ქორწინების შესაძლებლობის შესახებ, მრავალცოლიანობის აკრძალვისა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის გამოსვლას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია (45, 126).

1899 წელს კი გამოდის ეგვიპტელი მწერლის კასიმ ამინის წიგნი “ქალის განთავისუფლება”, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქალთა საკითხის დასმისა და ქალთა უფლებების დაცვის საქმეში. როგორც, ე. კრაჩკოვსკი აღნიშნავს, კასიმ ამინმა “ქალთა უფლებების დაცვა აქცია თავისი ცხოვრების მიზნად, სპეციალურად მიუძღვნა მას თავისი სამწერლო საქმიანობა.” (46, 27). კასიმ ამინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერის აღორძინება და პროგრესისათვის ბრძოლა უნდა დაწყებულიყო ქალთა საკითხის მოგვარებით. გარდაუვლად მიიჩნევდა ქალისათვის განათლების უფლებას და ასევე მოითხოვდა ქალის თანასწორუფლებიანობას ქორწინებაში (37, 72-73)

არაბი ქალისათვის განათლების მიღების აუცილებლობას ხაზს უსვამდა ბუტრუს აღ-ბუსთან, რომელიც ევროპული ცივილიზაციის წარმატებების მთავარ ფაქტორად თვლიდა იმას, რომ ქალმა დაიკავა საზოგადოებაში უფრო მაღალი მდგომარეობა და ზრუნავდნენ მის აღზრდაზე. იგი ჯერ კიდევ 1948 წელს წარსდგა მოხსენებით სირიულ სამეცნიერო-ლიტერატურულ საზოგადოებაში, რომელშიც

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ქალთა განათლების საკითხს. მწერალი აღნიშნავდა რა არაბული საზოგადოების ჩამორჩენილობის შესახებ, ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად თვლიდა იმას, რომ არაბულ საზოგადოებაში ქალი არ წარმოადგენდა მის სრულუფლებიან წევრს. ქალი იყო გაუნათლებელი და იმყოფებოდა ცრურწმენების ტყვეობაში. მისი აზრით გაუნათლებელი ქალი ვერ იქნებოდა კარგი დედა და მეუღლე. იმისათვის, რომ არაბული საზოგადოება განვითარებულიყო პროგრესის გზით აუცილებელი იყო ქალთა განათლების საკითხის მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ ალ-ბუსთანის ეს მოხსენება ქალთა საკითხთან დაკავშირებით სულაც არ იყო რადიკალური გარკვეულწილად იმ პერიოდში ასეთი მოწოდება თავისთავად დიდ რადიკალიზმად ითვლებოდა. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალ-ბუსთანი ამ შემთხვევაში გულისხმობდა როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი არაბი ქალის უფლებო მდგომარეობას საერთოდ არაბულ საზოგადოებაში (47, 460).

განმანათლებლების მიერ დაწყებული საქმე განაგრძეს მომდევნო თაობის არაბმა მწერლებმა, ხალილ ჯებრანმა, ალ-მანფალუტიმ, არ-რეიჰანმა, მ. ნუაიმემ, მ. ჰაიქალმა და სხვებმა.

მუსლიმი რეფორმატორების და განმანათლებლების მოღვაწეობამ, საერთოდ, პროგრესული არაბული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებამ, შექმნეს პირობები შემდგომში ქალთა მოძრაობის განვითარებისათვის. ამასთანავე არაბმა ქალებმა სულ უფრო აქტიურად დაიწყეს ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად.

გამოჩნდნენ ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი მწერალი ქალები, რომელთა შემოქმედებაშიც ქალთა განთავისუფლების საკითხი სხვადასხვა ასპექტით იქნა წარმოდგენილი. ვითარდებოდა რა საზოგადოებრივი ურთიერთობები, არაბი ქალები სულ უფრო აქტიურად იღებდნენ მასში მონაწილეობას.

საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული არაბი მწერალი ქალები ხმას იმაღლებენ საკუთარი ინტერესების დასაცავად, იბრძვიან ისლამურ სამყაროში ქალთა განათლების უფლებისათვის, ქმნიან ქალთა საზოგადოებებსა და ქალთა პრესას (65, 41).

XIX საუკუნის ბოლოდან იწყება ქალთა მოძრაობის პირველი ეტაპი, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებამდე გრძელდება და მისთვის დამახასიათებელია უპირველესად ის, რომ ამ თაობის წარმომადგენელი მწერალი ქალები და მოღვაწეები უმთავრესად მაღალი წრის წარმომადგენლები არიან.

ამ თაობის წარმომადგენელთა უპირველესი მოთხოვნა ქალთა საკითხთან დაკავშირებით იყო არაბი ქალისათვის განათლების უფლების მოპოვება. 1873 წელს ეგვიპტეში ქალთა პირველი სკოლა გაიხსნა. 1912 წელს კი ქალთა სამასწავლებლო სემინარია და სკოლა. 1908 წელს კაიროს უნივერსიტეტში იხსნება სპეციალური ფაკულტეტი ქალებისათვის, სადაც ისწავლება ფსიქოლოგია, მორალი, ფემინიზმი, პიგიენა და მედიცინა. აღნიშნულ ფაკულტეტზე თავდაპირველად ლექციებს ფრანგი და ინგლისელი მეცნიერი ქალები კითხულობდნენ. პირველი არაბი ლექტორი ქალი იყო მალექ ჰიფნი ნასეფი, ასევე ცნობილი მწერალი და სახელგანთქმული ლიტერატორი ლაბიბა ჰაშიმი, რომელიც ქალთა ჟურნალ “ფათათ აშ-შარკის” რედაქტორი იყო. აქვე მოღვაწეობდნენ ნაბავია მუსა, რომელიც ეგვიპტის ისტორიას კითხულობდა და რამჟე სარუფი, რომელიც ეკონომიკას ასწავლიდა. ამავე დროს ისინი დირექტორთა საბჭოს წევრებიც იყვნენ (58, 75).

პროგრესი ქალთა განათლების საკითხში არაბი განმანათლებლებისა და მუსლიმი რეფორმატორების მოღვაწეობის წყალობით უდავოდ იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კაიროს უნივერსიტეტის ქალთა ფაკულტეტზე პროგრამა ითვალისწინებდა არა მკვლევართა და მეცნიერთა, არამედ სამაგალითო ოჯახის დიასახლისების მომზადებას (58, 74). მიუხედავად ამისა, თავად ფაქტი

ქალთა სპეციალური ფაკულტეტის გახსნისა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. ამ მხრივ ქალთა მოძრაობის პროგრესი თვალსაჩინოა და ამის დასტურია ის, რომ ქალისათვის განათლების მიღების აუცილებლობა იქცა საყოველთაოდ გაზიარებულ აზრად და ეს არაბულ სამყაროში თვით ყველაზე კონსერვატულ წრეებშიც კი ეჭვს აღარ იწვევდა (58, 75). ამავე დროს ქალთა თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალებად და პირველ ნიშნად ე. კრანკოვსკის ქალთა ჟურნალების გამოსვლა მიაჩნია. ძირითადად ქალთა პრესის განვითარება სირიელ მწერელ ქალებს უკავშირდება. თუმცა გამოცემა ძირითადად ეგვიპტეში ხდებოდა.

გამოჩნდა პირველი ჟურნალები, რომლებიც აშუქებდნენ რა ქალთა ემანსიპაციის საკითხს, ამავე დროს აღვივებდნენ მისადმი საზოგადოების ინტერესს არაბულ ქვეყნებში. ასეთი იყო მაგალითად, ჟურნალი “ალ-ფათათი”, იგი წარმოშობით ლიბანელმა პინდი ნაუფალმა დაარსა 1889 წელს კაიროში და არსებობდა 1908 წლამდე. “ანის ალ-ჯალისი” 1898 წელს გამოვიდა ალექსანდრიაში და რედაქტორობდა ავერინო. “ალ-ხავანიმი” გამოიცა 1900 წელს. “ფათათ აშ-შარკი” 1906 წელს გამოვიდა, რედაქტორობდა ლაბიბა ჰაშიმი. 1908 წელს სირიაში გაუქმებულ იქნა ცენზურის შეზღუდვები და შეიქმნა პირობები ქალთა პირველი ჟურნალების გამოსაცემად. ამ პერიოდში ბეირუთში 1909 წელს გამოვიდა “ალ-ჰასნა”, მისი რედაქტორი იყო ჯირჯი ნიკულა ბაზი. აქ თითქმის ყველა სირიელი მწერალი ქალი თანამშრომლობდა ვარდა იაზიჯის გარდა. ესენი იყვნენ სილვა სალამე, ასმათ საიური, ანასტასია ბარაქათი და სხვ. 1901 წელს დამასკოში მარია აჯიმი (مريم عجمي) აარსებს საკუთარ ჟურნალს “ალ-არუსი”. ამერიკაში არაბულ დიასპორას მართალია არ ჰქონია საკუთარი სპეციალური ჟურნალი, რომელიც ქალთა მოძრაობასთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ ნიუ-იორკის გაზეთ “ალ-ჰუდა“-ში

იყო ქალთა სპეციალური განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა მწერალი ქალი აფიფა ქარამი (1883-1924).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ახალი არაბული ლიტერატურის აღმავლობას წინ უძღოდა მწერალ-პუბლიცისტთა მოღვაწეობა, რომლებმაც შეძლეს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ამ პერიოდში არაბული სამყაროს უმნიშვნელოვანესი პრობლემისადმი. ამგვარად, ვითარდება სირიასა და ეგვიპტეში ქალთა პრესა და ამ მიმართულების წარმომადგენლები ძირითადად ქალები არიან. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი შეიძლება დავახასიათოთ არაბულ ლიტერატურაში ისეთ პერიოდად, როდესაც სწრაფად ვითარდება პუბლიცისტიკა და ძირითადად მიმდინარეობს მთარგმნელობითი საქმიანობა. ფაქტიურად, მწერალი პუბლიცისტები უდიდეს გავლენას ახდენენ არაბული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე და მათი შემოქმედების დიდი დამსახურებაა, რომ ყალიბდება თანამედროვე ლიტერატურული ენა და იქმნება მკითხველთა ფართო წრე. ამ პერიოდის მწერალთა შემოქმედება უფრო საინტერესოა არაბული ლიტერატურის ისტორიის განვითარების თვალსაზრისით და მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულება მათ ნაკლებად გააჩნიათ. ე. კრანკოვსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ამ ეპოქას შეიძლება განმანათლებლობის ეპოქა ეწოდოს, ვიდრე ლიტერატურული შემოქმედების ეპოქა (45, 70). ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ახალი არაბული ლიტერატურის განვითარება XX საუკუნის 20-იან წლებში შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მათ წინამორბედ მწერალთა მოღვაწეობა, რომლებმაც შეძლეს არაბული საზოგადოების ყურადღება მიემართათ იმ პერიოდში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი, რომელთა შორის იყო ქალთა საკითხიც. პირველი ქალი, რომელმაც პერიოდულ პრესასთან დაიწყო თანამშრომლობა, ვარდა ათ-თურქისა და ვარდა იაზიჯის უმცროსი

თანამედროვე მარიანა მარაში (1848-1922), ასევე მწერალი ქალები, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ქალთა სპეციფიკური პრესის განვითარებაში, ძირითადად სირიელები და ქრისტიანები იყვნენ, მაგ: ავერინო, ლაბიბა ჰაშიმი და ნიუ-იორკში მოღვაწე მწერალი და ჟურნალისტი აფიფა ქარამი.

XIX საუკუნის ბოლოს არაბული საზოგადოების განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, გასაგებია, რომ ქალთა ლიტერატურა განსაკუთრებული ინტერესის საგანი ხდება. ამრიგად, ახალ არაბულ ლიტერატურაში ქალთა მოძრაობის დასაწყისს ემთხვევა მწერალი ქალების გამოსვლა შემოქმედებით ასპარეზზე. ორივე კი ემთხვევა “ნაჰდას” და ძირითადად ქალთა ლიტერატურის განვითარება იმ გზით მიდის, რა გზითაც ახალი არაბული ლიტერატურა ვითარდება. ქალთა საკითხის განვითარებასთან დაკავშირებით, მისი ფაზებისა და მახასიათებლების კლასიფიკაციის თვალსაზრისით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მაგალითად, რუსი აღმოსავლეთმცოდნე სოკოლოვა თვლის, რომ აქ გამოიყოფა სულ ორი ეტაპი. რაც შეეხება არაბ და ევროპელ ავტორებს, ისინი ქალთა ლიტერატურისა და ქალთა მოძრაობის სამ ეტაპს გამოყოფენ. XIX საუკუნის ბოლოს საფუძველი ეყრება ქალთა განთავისუფლების პრობლემის განხილვას. ამ პერიოდში ქალთა საკითხი არაბული საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად იქცევა. ქალთა საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ იგი საერთოდ არაბული სამშობლოს განთავისუფლების რანგშია აყვანილი. ამ დროს წარმოთქვამს კასიმ ამინი, რომ “ერი მაშინაა დაჩაგრული, თუ მასში ქალი დაჩაგრულია.” ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს არაბულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ერისა და ქალის განთავისუფლების საკითხი. ამ პერიოდში მოღვაწეობას იწყებენ არაბი მწერალი ქალები. ისინი პირველები გამოვიდნენ არაბულ სამყაროში ქალთა უფლებების დასაცავად, იბრძოდნენ განათლების

უფლებისათვის, ქმნიდნენ ქალთა პრესას და ქალთა ორგანიზაციებს. იწყება არაბულ ქვეყნებში ქალთა ლიტერატურის განვითარების პირველი ეტაპი, რომელიც ემთხვევა ქალთა მოძრაობის დასაწყისს. ეს პერიოდი გრძელდება XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე. ცნობილი მკვლევარი ე. შოვალტერი თვლის, რომ ეს პერიოდი შეიძლება დაეახასიათოთ ლიბერალური ფემინიზმის ნიშნით. ამ პერიოდში მიუხედავად იმისა, რომ ისლამის გავლენით არაბულ ქვეყნებში ქალთა მდგომარეობა მძიმეა, მაღალი წრის წარმომადგენელი ქალები ახერხებენ განათლების მიღებას და იწყებენ მამაკაცი მწერლების გვერდით მოღვაწეობას და მათი შემოქმედებისა და მოღვაწეობის მთავარი თემა ქალთა საკითხია. აღნიშნული საკითხი ამ პერიოდში განიხილება არა მხოლოდ, როგორც წმინდა ქალური პრობლემა, არამედ ის იქცა იმ დისკუსიის საგნად, რომელიც გულისხმობდა ურთიერთობებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, დასავლური ტენდენციების მისადაგებას არაბული სამყაროსათვის, მისი ტრადიციისა და ცხოვრების წესისათვის, ისე რომ მიღწეული ყოფილიყო პროგრესი და ამავე დროს შენარჩუნებულიყო ეროვნული თვითმყოფადობა (72, 41).

როგორც ვხედავთ, ქალთა საკითხი ამ პერიოდში უშუალოდ დაუკავშირდა ერის სოციალურ-კულტურულ და საზოგადოებრივი განვითარების საკითხებს. საკითხის გადაწყვეტასთან იყო დაკავშირებული საზოგადოებრივი განვითარების დონე (83, 119). ამ პერიოდში დაისვა საკითხი – როგორი იყო მიდგომა ამ პრობლემისადმი მამაკაცების და ქალი მწერლების მხრიდან. როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოდიან არაბი მწერალი ქალები, რომლებიც ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში იწყებენ მოღვაწეობას. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არაბული ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონის არაერთგვაროვნება განაპირობებდა ამ ქვეყნებში ლიტერატურის

განვითარების უთანაბრობას. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მწერალი ქალი სირიაში ქრისტიანულ წრეებში გამოჩნდა. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ სირიაში ევროპელ მისიონერთა მოღვაწეობის შედეგად ქალთა განათლების დონე უფრო მაღალი იყო და პირველ ეტაპზე ვითარდება პუბლიცისტიკა.

როდესაც ვსაუბრობთ ქალთა მწერლობის განვითარებაზე არაბულ სამყაროში უპირველესად საჭიროა გამოვავლინოთ განსხვავება და მსგავსება მამაკაც მწერლებსა და ქალიტერატორებს შორის. მსგავსება არის პრობლემატიკის თვალსაზრისით, რომელიც განსაზღვრულია ეპოქით და იმ საზოგადოებით, რომელშიც ცხოვრობს მწერალი და განმასხვავებელი კი არის მიდგომა საკითხისადმი. ლაბიბა ჰაშიმი წერდა 1906 წელს თურა განსხვავება იყო არაბ მწერალ ქალებსა და მამაკაცებს შორის და აღნიშნავდა: “მამაკაცი წერს ქალის შესახებ, რაც იცის და რასაც ფიქრობს. რაც შეეხება ქალს, იგი წერს ქალის შესახებ, როგორც წარმოდგენია და გრძნობს. სინამდვილეში მხოლოდ მან იცის ქალის ღირსებაც და სისუსტეც.” (123, 10).

როდესაც არაბი მწერალი ქალები XIX საუკუნის ბოლოს სამწერლო ასპარეზზე გამოდიოდნენ, მათ არ დახვედრიათ გარკვეული ტრადიცია ახალი არაბული ლიტერატურის განვითარებისა, არამედ არაბულ ლიტერატურაში მიმდინარეობდა უდიდესი გარდაქმნები. მწერალ ქალებს მოუწიათ ყოფილიყვნენ პირველ გამკვლევთა შორის და ამავე დროს გაეთვალისწინებინათ ის სპეციფიური, ტრადიციული რისი უარყოფაც სასურველ შედეგს არ გამოიღებდა.

ლიტერატურულ ასპარეზზე, როგორც უკვე აღინიშნა, არაბი ქალები (განსაკუთრებით კი მუსლიმი ქალები) მოგვიანებით ჩნდებიან, უმცირესობას შეადგენენ და ხშირად ლიტერატურის მხოლოდ ერთ განსაზღვრულ სფეროში მოღვაწეობენ და ძირითადად ქალთა ინტერესების დამცველებად გვევლინებიან. უნდა აღინიშნოს, რომ

ქალები თავდაპირველად დუნედ ჩაერთვნენ ამ მოძრაობაში, მაგრამ მოგვიანებით გააქტიურდნენ და აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ლიტერატურულ პროცესებში (65, 47). მაგ. არაბ ქალთა მოძრაობის ერთ-ერთ პიონერად გვევლინება, როგორც აჰმად ტაჰა აჰმადი აღნიშნავს, აიშა თეიმურია (عائشة التيمورية) (1840-1902), (მაჰმუდ და მუჰამად თეიმურების და). ბევრს იგი ახალი ეპოქის აღ-ხანსად მიაჩნია. არაბი კრიტიკოსები თვლიან, რომ იგი აღ-ხანსას შემდეგ ყველაზე გამოჩენილი და ნიჭიერი პოეტი ქალია არაბულ პოეზიაში. აიშა თეიმურია ეგვიპტეში ერთ-ერთი პიველი მწერალი ქალი იყო. წარმოშობით თურქ ქურთთა გამოჩენილ გეარს ეკუთვნოდა. ლექსებს წერდა არაბულ, თურქულ, სპარსულ ენებზე (8, 76). წერდა კასიდებს, ასევე ლექსებს ხალხურ სტილში: მუეაშშაჰებს, ზაჯალებს და მავალებს. მის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად ითვლება არაბი ქალებისადმი მიძღვნილი “ჭეშმარიტად ქალური მიმზიდველობა” (47, 528). თავის დროზე მან საფუძვლიანად შეისწავლა როგორც არაბული ლიტერატურა, ასევე ყურანი და ფიკჰი. ახალ ეპოქაში თავისი ლექსებითა და პროზაული ნაწარმოებებით არაბი მწერალი ქალებისათვის სანიმუშოდ იქცა. მან პირველმა შეძლო აესახა არაბი ქალის სულიერი სამყარო. მის შესახებ მეი ზიადე წერდა: “ის ერთ-ერთი პირველია, ვინც ქალთა თემა დაამკვიდრა თავის შემოქმედებაში, ქალის გრძნობათა თავისუფლება გამოხატა თავის ლექსებში. მის პოეტურ შემოქმედებაში ასახულია მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა არაბულ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე და ამან გარკვეულწილად ბიძგი მისცა, რომ მიდგომა ქალთა საკითხისადმი შეცვლილიყო.” მეი ზიადე ასევე აღნიშნავდა აიშა თეიმურიას დიდ პოეტურ ოსტატობას და თვლიდა რომ მწერალმა ქალმა შეძლო ტრადიციული ენის გამოყენებით შეექმნა ჭეშმარიტად თანამედროვე ლიტერატურა. ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია მისი მეგობრობა სირიელ ქრისტიან მწერალ ქალთან ვარდა იაზიჯთან. თავის მხრივ

ვარდა იაზიჯმა უძღვნა მას კასიდა “ნილოსის ღიმილი”. იგი ჯერ კიდევ 1896 წელს გამოვიდა მუსლიმი ქალების ემანსიპაციის მოთხოვნით, რათა არაბი ქალის ცხოვრება ფრანგი ქალის ყოფის მსგავსი გამხდარიყო (123, 12).

აიშა თეიმურია მაკამის სტილში წერდა ლექსებს, ნოველებს, ასევე, სპეციალურ სტატიებს სოციალურ საკითხებსა და ქალთა მოძრაობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი მწერალი ქალები სირიაში გამოჩნდნენ, ქრისტიანულ წრეებში, მათ შორის იყო ვარდა ალ-იაზიჯი (وردة ناصف اليازجي) (1838-1924). იგი ბეირუთში დაიბადა და ზოგადი განათლება ამერიკულ სასწავლებელში მიიღო ბეირუთშივე. მის ლიტერატურულ განათლებას მამა, ცნობილი მწერალი თავად უძღვებოდა. ცამეტი წლის ასაკში უკვე წერდა ლექსებს და 1860 წელს გამოსცა კრებული სათაურით: “ვარდნარი”, რომელიც შემდგომში რამდენიმეჯერ გამოიცა. სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ქალთა საკითხებზე ჟურნალებში “ფათათ აშ-შარკ” და “ფირდოუსი” იგი პოპულარული პოეტი ქალი იყო სირიულ და ეგვიპტურ ლიტერატურულ წრეებში.

კასიმ ამინის იდეურ მემკვიდრედ მიჩნეულია ქალთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ცნობილი პოეტისა და მეცნიერის მუჰამად ჰიფნი ნასიფას ქალიშვილი მალექ ჰიფნი ნასიფა (ملاك حفني ناصف - باحثة البادية) (1886-1918), მწერალი ქალი მოღვაწეობდა “ბაჰისათ ალ-ბადია“-ის (მომომხილველი უდაბნოდან) ფსევდონიმით. 1910 წელს მან ეგვიპტის პარლამენტში წარადგინა მოხსენება, რომელშიც ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ იყო საუბარი და იგი ათი პუნქტისაგან შედგებოდა. მასში იყო მოთხოვნები ქალთა სავალდებულო დაწყებითი განათლების შესახებ, აგრეთვე ქორწინებასა და განქორწინებაში ქალთა უფლებების შესახებ და სხვ. მან 1911 წელს ჟურნალში “ალ-ჯარიდა” დაბეჭდა სტატია

სათაურით “ქალები”. მოგვიანებით მის მიერ ქალთა შესახებ გამოქვეყნებული სტატიები გააერთიანა ამავე სახელწოდების წიგნში (1910) და ეს წიგნი “ბაჰისათ აღ-ბადიას” ფსევდონიმით დაბეჭდა (109, 276).

უნდა აღინიშნოს, რომ თავად მწერალი ქალის პირადი ცხოვრება ვერ აეწყო და ამიტომაც ე. კრანკოვსკი თელის, რომ შეიძლება ამანაც განაპირობა, რომ მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის უმთავრესი თემა იყო ქალის ადგილი და როლი საზოგადოებაში (45, 60-61).

პირველი თაობის მწერალი ქალებიდან განსაკუთრებით უნდა გამოვეყოს ლაბიბა ჰაშიმი (لبیبة ماضی هاشم) (1882-1952) – ქალთა მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. წარმოშობით ლიბანელი 1900 წლიდან საცხოვრებლად კაიროში გადავიდა და იქ ლიტერატურულ სალონში გაეცნო ცნობილ მწერალ ქალს ვარდა აღ-იაზიჯს. 1906-1935 წლებში ლაბიბა ჰაშიმი გამოსცემდა ჟურნალს “ფათათ აშ-შარკს”. იგი ერთ-ერთი პირველი არაბი ლექტორი ქალი გახდა. 1911-1912 წლებში კითხულობდა ლექციებს ეგვიპტის უნივერსიტეტში. ამავე დროს, 1919 წელს ხელმძღვანელობდა ქალთა სემინარიას. გამოსცა ჟურნალი “აღმოსავლეთი და დასავლეთი” 1921 წელს, როდესაც იმყოფებოდა ჩილეში ემიგრაციაში. მას ეკუთვნის 1904 წელს გამოსული რომანი “კაცის გული”. ეს არის თანამედროვე სიყვარულის ისტორია. რომანი შექმნილია არაბული ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი პრინციპებით და იგი იქცა თავის დროზე არაბულ საზოგადოებაში დისკუსიის საგნად. რომანი უპირველესად იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ახალ არაბულ ლიტერატურაში ამ ჟანრის პირველი ნაწარმოებია (122, 151).

როგორც ვხედავთ, უკვე XX საუკუნის დასაწყისში არაბი ქალები გამოდიოდნენ თავიანთი ინტერესების დასაცავად, იბრძოდნენ განათლების უფლებებისათვის და ქმნიდნენ ქალთა საზოგადოებებსა და ჟურნალებს. მაგ. ვარდა ათ-თურქი (1797-1894), ვარდა აღ-იაზიჯი (1838-

1924), აიშა თეიმურია (1840-1902), მალექ პიუნე ნასეფი (1886-1918) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ბეერი მათგანი მაღალი წრის წარმომადგენელი იყო. თუმცა მათ შორის იყვნენ ისეთები, როგორცაა ზეინაბ ფავაზი (كاف بياز) (1846-1914), რომელიც სამხრეთ ლიბანის პროვინციაში დაიბადა, კულტურული ცენტრებიდან მოშორებით, შემდეგ გადავიდა ეგვიპტეში და იქ თვითგანათლების წყალობით შეძლო გამხდარიყო მწერალი და პუბლიცისტი. იგი ითვლება ისლამის დიდ მცოდნედ. აქვეყნებდა სტატიებსა და ნარკვევებს პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე. განსაკუთრებით აქტიურად გამოდიოდა ქალთა განათლების საკითხთან დაკავშირებით და იბრძოდა არაბი ქალის გამოფხიზლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი აქტიურად ჩაბმისათვის. მისი შემოქმედების მთავარ თემად ქალთა საკითხი იყო არაბულ საზოგადოებაში. 1904 წელს მან შეკრიბა სტატიები და გამოსცა წიგნად სათაურით “ზეინაბის წერილები”. მან დიდი როლი შეასრულა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქალთა ლიტერატურის განვითარებაში. მას ეკუთვნის რამდენიმე რომანი და დრამატული ნაწარმოებები. განსაკუთრებული კვალი კი დააჩნია არაბული პუბლიცისტიკის განვითარებას. აქვე უნდა აღინიშნოს მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან შეკრიბა და თარგმნა სტატიები და ნარკვევები უცხოელ მოღვაწე ქალთა შესახებ. შემდგომში ისინი გამოიყენა არაბულ სამყაროში ქალთა პრობლემების გასაშუქებლად (108, 142).

ქალთა მოძრაობა განსაკუთრებით აქტიურდება XX საუკუნის 20-იან წლებში. ამ პერიოდში უკვე გარკვეული შედეგებია მიღწეული არაბულ საზოგადოებაში ქალთა საკითხთან დაკავშირებით. არაბმა ქალმა შეძლო მოეხსნა ჰიჯაბი, ასევე მას უკვე აქვს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა და ქალები იწყებენ პედაგოგიურ მოღვაწეობას უნივერსიტეტებში. ქალი მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 30-იან წლებში ყალიბდება ახალი თაობა მწერალი

ქალებისა და საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებმაც მოიპოვეს გარკვეული უფლებები და ახლა იწყებენ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იწყება ქალთა მოძრაობის მეორე ეტაპი. არაბი მწერალი ქალების წარმომადგენლები აქტიურად იწყებენ არაბი მწერალი მამაკაცების გვერდით დამკვიდრებას. ეს პერიოდი ე. შოვალტერის აზრით, რადიკალური ფემინიზმის ნიშნით ხასიათდება.

ამ პერიოდში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეი ზიადე (مى زيادة) (1886-1941). დაიბადა ნაზარეთში. იყო ცნობილი სირიელი ჟურნალისტის ქალიშვილი. მან ცხოვრების დიდი ნაწილი ეგვიპტეში გაატარა. მანვე მალექ ჰიფნი ნასიფას ტენდენციები ლიტერატურულ სფეროში გადაიტანა, თუმცა მეი ზიადე იღეურად უფრო ახლოს კასიმ ამინთანაა, რადგან ქალთა საკითხთან დაკავშირებით მალექ ჰიფნი ნასიფას შეხედულებები, როგორც აღვნიშნეთ, უფრო კონსერვატიული იყო. მეიმ თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვნად გააფართოვა თავის წინამორბედთა დიაპაზონი. იგი კარგად იცნობდა უცხოურ ლიტერატურას. თავის მრავალრიცხოვან ნარკვევებში ეხებოდა სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებს, იქნებოდა ეს ლიტერატურისა თუ სოციალური სფეროები, ან ქალთა მოძრაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი ის, რომ მან შეძლო კარგად შეეხამებინა ერთმანეთისათვის პუბლიცისტიკის, ლიტერატურული კრიტიკის და ლირიკული განწყობილებანი. იგი ძირითადად მიმართავდა ლექსს პროზად. თავის დროზე იგი არაბულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი ქალი იყო, რომელსაც ქონდა თავისი ლიტერატურული სალონი (65, 27). ე. კრანკოვსკი განსაკუთრებით გამოყოფს მის კრიტიკულ სტატიებს ლიტერატურაზე და ყველზე საინტერესოდ მიიჩნევს მის მიერ დაწერილ გამოკვლევას “ბაჰისათ ბადი“-ის შემოქმედების შესახებ (45, 244-245).

ბინთ აშ-შატი'ი (بنيت الشاطي) (1912-1997) აიშა აბდ არ-რაჰმანი (عاشق
عبد الرحمن), ეგვიპტელი მწერალი ქალი, რომელმაც თავის დროზე
კარგად შეისწავლა ისლამი, ბავშვობიდან ეცნობოდა ყურანს. 1920
წელს ქალთა მედრესეში დაიწყო სწავლა და 1934 წელს გააგრძელა
კაიროს უნივერსიტეტში. 1950 წელს იგი უკვე დოქტორი გახდა და
თავად კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში. 13 წლის ასაკიდან
დაიწყო სტატიების გამოქვეყნება პრესაში. იგი გაეცნო ცნობილ
ჟურნალისტ ლაბიბა აჰმადს და მათ ერთად დაიწყეს მოღვაწეობა
ჟურნალში “ან-ნაჰდათ ან-ნისა'იათში”. შემდგომში ამავე ჟურნალს იგი
თავად რედაქტორობდა 1933 წლიდან. იგი ასწავლიდა არაბულ
ლიტერატურასა და თაფსირს აინ შამსის უნივერსიტეტში (1962-1972).
ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და იყო ქალთა
სხვადასხვა ორგანიზაციების წევრი.

ძირითადად წერდა ქალთა საკითხებზე, თუმცა ამავე დროს
აქვეყნებდა ნარკვევებსა და სტატიებს არაბული საზოგადოებრივი
აზრის, ასევე ისლამური კულტურის შესახებ. მის კალამს ეკუთვნის
რამდენიმე რომანი და ნოველა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია
რომანი “ამბავი ცოდვილი ქალისა” (1944), “ფარაონის დაბრუნება”
(1949) და ავტობიოგრაფიული რომანი “ხიდზე” (1967) (123, 260).

არაბულ სამყაროში ქალთა მოძრაობის და ქალთა მწერლობის
ერთ-ერთ პიონერად ითვლება ნაბავია მუსა (نبوية موسى) (1886-1951),
მწერალი ქალი და ჟურნალისტი, რომელმაც დაიწყო თავდაპირველად
პედაგოგიური მოღვაწეობა, ასწავლიდა კაიროს უნივერსიტეტის ქალთა
ფაკულტეტზე. კაიროსა და ალექსანდრიაში მისი ხელმძღვანელობით
დაარსდა ქალთა სკოლები, რომელსაც შემდგომ თავად
ხელმძღვანელობდა. დიდი როლი შეასრულა ქალთა მოძრაობის
განვითარებაში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის
პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1923 წელს მან დაარსა პროგრესისათვის
მებრძოლ ეგვიპტელ ქალთა კავშირი და ეგვიპტელ ქალთა

წარმომადგენელი იყო ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე რომში (1923). სისტემატიურად აქვეყნებდა სტატიებს მისი თანამედროვე საზოგადოების საჭირობოროტო საკითხებზე და განსაკუთრებით ქალთა განათლებაზე. მისი სტატიები და ნარკვევები ქვეყნდებოდა ჟურნალებში “ას-სიასა”, “ალ-ჯარიდა”, “ალ-ფათათ”, რომელიც თავად დაარსა 1937 წელს და გამოდიოდა 1943 წლამდე. ამავე დროს წერდა ლექსებს. კასიდა უძღვნა მალაქ ჰიფნი ნასიფას. გამოაქვეყნა მოგონებები იმ პერიოდის ცნობილი ქალი მწერლებისა და მოღვაწეების შესახებ. კრებულს უწოდა “ჩემი კალმით შექმნილი ისტორიები” (123, 280).

30-იანი წლების ბოლოს იწყება ახალი მოძრაობა არაბულ საზოგადოებაში და იგი ემთხვევა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას არაბულ სამყაროში. სწორედ ეს პერიოდი ითვლება ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპად ახალი არაბული ლიტერატურის განვითარებაშიც.

ეს პერიოდი ახალი ეტაპია მწერალ ქალთა შემოქმედებითი განვითარების თალსაზრისითაც. თუ XX საუკუნის დასაწყისში მწერალი ქალების შემოქმედების მთავარი თემა იყო ბრძოლა ქალთა განთავისუფლებისათვის, მეორე ეტაპზე იწყება ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის, დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისათვის. XX საუკუნის 40-50-იანი წლები არაბული ქვეყნების ისტორიაში გამოირჩევა პოლიტიკური გარდაქმნებით. არაბულ ქვეყნებში კოლონიალური სისტემის მსხვერვეა ხდება. დიდი ცვლილებებია საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაშიც. არაბი მწერლები აქტიურ მინაწილეობას იღებენ არაბულ ქვეყნებში მიმდინარე გარდაქმნებში. ამ პერიოდში ბეირუთში გამოდის ლიტერატურული ჟურნალი “ალ-ადაბი”, რომელშიც ბეჭდება ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სტატიები, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავისუფლების საკითხს. ამ

პერიოდში არაბი ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. თანდათან მწვერალი ქალები უფრო აქტიურად ჩნდებიან ლიტერატურულ ასპარეზზე და ასევე პოლიტიკურ ფრონტზეც. არაბულ ლიტერატურაში მკვიდრდება სახე ქალისა, რომელიც მამაკაცის გვერდით იბრძვის საკუთარი ქვეყნის ინტერესების დასაცავად. ახალი მოძრაობა ყველაზე მასობრივ ხასიათს იღებს ეგვიპტეში. 1942 წელს ფატჰმა რაშიდი აარსებს ქალთა პარტიას. 1951 წელს დარია შავფიკი არაბ ქალთა ორგანიზებულ მსვლელობას აწყობს ეგვიპტის პარლამენტთან და ითხოვენ ქალთა უფლებების აღიარებას. 1954 წელს ამინა საიდი აარსებს ჟურნალს “ევა”, რომელშიც სისტემატურად განიხილებოდა არაბულ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობა და პრობლემები. ახალ არაბულ ლიტერატურაში მკვიდრდება რეალიზმის პრინციპები. ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტიურობენ მწვერალი ქალები.

როგორც აღვნიშნეთ, არაბი მწვერალი ქალები არა მხოლოდ იღწვიან ქალთა უფლებების დასაცავად, არამედ თავიანთ ნაწარმოებებში წარმოაჩენენ მოღვაწე არაბი ქალის სახეს. ამ პერიოდის ერთ-ერთი თვალსაჩინო ეგვიპტელი მწვერალი ქალია ამინა საიდი (أمينة السعيد) (1910-1990). მან კაიროს უნივერსიტეტში შეისწავლა ინგლისური ენა და ლიტერატურა და მოღვაწეობა დაიწყო არაბულ პრესაში 30-იან წლებში. ის იყო პირველი ქალი, რომელიც სათავეში ჩაუდგა “დარუ ლ-ჰილალის” (دار الحلال) გამომცემლობას 1976 წელს. ის იყო აგრეთვე ქალთა ჟურნალ “ევას” რედაქტორი. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო ეგვიპტელ მწვერალ ქალთა ასოციაციის თავჯდომარე და მწვერალთა კავშირის წევრი. იგი ამავე დროს ინტენსიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სტატიები, რომლებიც ეძღვნებოდა გამოჩენილ არაბ ქალთა შემოქმედებას. წერდა რომანებსა და მოთხრობებს, რომელთა ძირითადი თემა ქალთა პრობლემები იყო. ამ

მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი რომანი “უკანასკნელი გზა (1950). მისი ლიტერატურული შემოქმედება და საზოგადოებრივი აქტივობა აღინიშნა სხვადასხვა ჯილდოებითა და პრემიებით (109, 231).

ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდის ლატიფა აზ-ზაიათი (لطيفة الزيات) (1923-1996) - ეგვიპტელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. მან კაიროს უნივერსიტეტში შეისწავლა ინგლისური ენა და ლიტერატურა. ლექციებს კითხულობდა აინ შამსის უნივერსიტეტში (კაირო) ქალთა ფაკულტეტზე 1952 წლიდან გარდაცვალებამდე. იყო ეგვიპტის ხელოვნებისა და ლიტერატურის უმაღლესი საბჭოს წევრი, ხელმძღვანელობდა ხელოვნების აკადემიას. XX საუკუნის ორმოციანი წლებიდან მოყოლებული აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო მსოფლიო მშვიდობის საბჭოს წევრი. ასევე პალესტინის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის საპატიო წევრი. 1996 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, მას მიენიჭა სახელმწიფო პრემია ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. წერდა კრიტიკულ წერილებსა და ნარკვევებს. მას ეკუთვნის გამოკვლევა “ქალის სახე არაბულ ნოველებსა და რომანებში”, რომელიც 1979 წელს გამოვიდა. ქალთა პრობლემებს ეხება მისი გახმაურებული რომანი “ღია კარი” (1960) და ავტობიოგრაფიული რომანი “ფურცლები დღიურიდან” (1992). მისი რომანი “ღია კარი” არაბულ ლიტერატურაში საეტაპო ნაწარმოებადაა მიჩნეული, რომელმაც განაპირობა ამ ჟანრის შემდგომი განვითარება. იგი არის ფიქრი და განსჯა სამშობლოსა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებაზე. მისი მთავარი გმირები საშუალო ფენის წარმომადგენლები არიან და საზოგადოების ფართო ფენების ინტერესებს გამოხატავენ (123, 32).

აქტიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა ახალი თაობის მწერალ ქალთა თვალსაჩინო წარმომადგენელი საჰირ ალ-კალმაჯი (سهير القلمجي) (1911-1997). სწავლობდა კაიროს

უნივერსიტეტში იმ პერიოდში, როდესაც იქ მოღვაწეობდა ტაჰა კუსეინი. შემდგომში მწერალი ქალი თავად გახდა ამ უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი დოქტორი ქალი. ქალთა მოძრაობის აქტიური წარმომადგენელი და ქალთა სხვადასხვა ორგანიზაციების წევრია. ამავე დროს ეწეოდა აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას, რაც თავის დროზე ლიტერატურული პრემიებით აღინიშნა. განსაკუთრებით ქალთა პრობლემებს აშუქებდა თავის მოთხრობებში (123, 253).

განსაკუთრებით უნდა გამოეყოთ ერაყელი პოეტისა და კრიტიკოსის ნაზიქ ალ- მალაიქას (نازك كحلان) (1923-) მოღვაწეობა. დაიბადა ერაყში და პოეზია და ლიტერატურა ბავშვობიდანვე შეიყვარა. ისწავლა მუსიკა და თავად შესანიშნავად უკრავდა უღზე. დაამთავრა ხელოვნების ინსტიტუტი. ამასთანავე შეისწავლა ლათინური, ფრანგული და ინგლისური ენები. ამერიკაში სრულყო განათლება. ლექციებს კითხულობდა ბალდადის, ბასრის, ქუვეითის უნივერსიტეტებში. იგი ახალი არაბული ლექსის პიონერია, ამავე დროს დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა პრობლემებს. მისი ბევრი კრიტიკული სტატია სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება. მაგალითად პოეტისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების, ასევე ქალისა და მამაკაცის ინტელექტუალური ურთიერთშეთავსების საკითხს. ძირითადად წერს ლექსებს და გამოვიდა მისი 7 დივანი(66,205). ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ 1999 წელს კაიროში გაიმართა კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა არაბ ქალთა განთავისუფლების 100 წლისთავს და აქ განსაკუთრებით აღინიშნა მწერალი ქალების მეი ზიადეს, ნაზიქ მალაიქას და დარია შაფიკის დამსახურება ქალთა მოძრაობისა და ქალთა ლიტერატურის განვითარების საქმეში. სამაგალითოდ მოიყვანა აღნიშნულ მოძრაობაში მათი ავანგარდულობა და პროგრესულობა ცნობილმა კრიტიკოსმა და პოეტმა სალმა ხადრა ალ-ჯუჟიუსიმ (76, 649).

60-იანი წლები განსაკუთრებით საინტერესოა არაბული ლიტერატურის ისტორიაში მწერალ ქალთა მოღვაწეობის თვალსაზრისით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ თაობის მწერალთა ნახევარზე მეტს სწორედ არაბი მწერალი ქალები შეადგენენ. ამ პერიოდში ქალთა მოძრაობა არაბულ სამყაროში განვითარების ახალ ეტაპზეა, რომელიც აღარ გულისხმობს ბრძოლას მხოლოდ ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებებისათვის. არაბი ქალი უკვე დამკვიდრებულია სოციალურ გარემოში. მათი შემოქმედების მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ქალთა საკითხია, ოღონდ ახლებურია დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. მათ შემოქმედებაში უკვე საზოგადოებრივი თვალსაზრისით მამაკაცთა და ქალთა პრობლემები ერთ სიბრტყეზე განიხილება (123, 30).

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქალთა მოძრაობაში ახალი ეტაპი იწყება და არაბი მკვლევარი საბრი ჰაფეზი ამ პერიოდს ქალთა ლიტერატურის განვითარების ახალ ფაზასთან აკავშირებს. ამ თაობის მწერალი ქალები უკვე აქცენტს აკეთებენ ქალის შინაგანი სამყაროს ასახვაზე. ქალის მიერ სიყვარულის თავისუფლად გამოხატვის აუცილებლობაზე საუბრობენ. საბრი ჰაფეზი ამ თაობის მწერალ ქალებს ახასიათებთ როგორც წმინდა ქალური პრობლემებით დაინტერესებულ თაობას (83, 23).

ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ნაეალ სა'დავი (نوال السعدوي) (1931-), ეგვიპტელი მწერალი ქალი, რომელიც პროფესიით ექიმია. მან თავდაპირველად განათლება მიიღო ეგვიპტეში და სწავლა განაგრძო ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში. სადაც კვლევა განაგრძო ფსიქოლოგიასა და სამედიცინო სფეროში. განსაკუთრებით დაინტერესდა ქალთა პრობლემებით და თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი სწორედ მას მიუძღვნა. მასში მთავარი ადგილი ეთმობა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებისა და მათი ფსიქოლოგიის კვლევას. წლების განმავლობაში იგი

ხელმძღვანელობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ქალთა პროგრამებს ადის აბებასა და ბეირუთში. ამავე დროს ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა ამერიკულ უნივერსიტეტებში. აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მრავალი პრემია და ჯილდო აქვს მიღებული. მათ შორის ჯებრანის სახელობის პრემია ლიტერატურის დარგში. იგი არის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი ადამიანთა უფლებების დამცველი არაბული ლიგის, აგრეთვე არის არაბ ქალთა სოლიდარობის ასოციაციის თავმჯდომარე. რედაქტორია და თავად გამოსცემს ქალთა ჟურნალს “ნუნი” (نوني). მისი ყველაზე გახმაურებული რომანებია: “ექიმი ქალის მოგონებანი” (1969) და “იმამის დამხობა” (1987). ქალთა თავისუფალი სიყვარულის თემას ეძღვნება მისი ერთ-ერთი ბოლო რომანი “სიყვარული ნავთობის ეპოქაში” (123, 284).

ქალთა მწერლობის წარმოშობა და განვითარება არაბული სამყაროს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა და ეს უშუალოდ იყო დაკავშირებული აქ ქალთა განათლების განვითარებასთან. XX საუკუნის დასაწყისში სპარსეთის ყურის რეგიონში თითქმის არ არიან მწერალი ქალები და თუ გვხვდებიან პოეტი ქალები, მათი შემოქმედება მხოლოდ ზეპირმეტყველების გზით ვრცელდება. ამ რეგიონში განათლების განვითარება არათანაბრად მოხდა, მაგალითად ქუვეითში ქალთა განათლების დაწყების თარიღად 1937 წელია მიღებული, როდესაც ქალთა პირველი სკოლა გაიხსნა. ომანში კი ქალებმა განათლების უფლება მხოლოდ 1970 წელს მიიღეს. რაც შეეხება ქალთა მწერლობას, ამაზე საუბარიც კი არ იყო XX საუკუნის 50-იან წლებამდე. ქალთა მწერლობა აქ უშუალოდ უკავშირდება პუბლიცისტიკის განვითარებას და ესეც 50-იან წლებს ემთხვევა., მაგალითად ქუვეითელი ჰადია სულტან სალიმი სტატიებს 1948 წლიდან აქვეყნებდა პალესტინის საკითხებზე. აღსანიშნავია

აგრეთვე იბთისამ ალ-ლაჰ აბდ ალ-ლატიფის მოღვაწეობა ამ რეგიონის ქალთა ლიტერატურის ჩასახვასა და განვითარებაში.

რაც შეეხება 60-იან წლებს, უკვე ჩნდებიან მწერალი ქალები, რომლებიც პრესაში მოღვაწეობასთან ერთად აქვეყნებენ ლიტერატურულ ნარკვევებსაც. ერთ-ერთი პირველი მწერალი ქალი, რომელიც პირველ პოეტურ კრებულს გამოსცემს სათაურით “უდაბნოს გადავლა” (1956წ.) არის საუდიელი სულტანა სადირია, ხოლო ქუვეითში პირველი მწერალი ქალი, რომელმაც თავისი პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1961 წელს, სუად ალ-საბაჰია.

უნდა ითქვას, რომ უფრო მეტად ამ რეგიონის მწერალი ქალები პოეზიაში მოღვაწეობენ, ვიდრე პროზაში. თითქმის არ გვხვდება დრამატურგია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუვეითში ძირითადად ნოველის ჟანრი განვითარდა.

არაბ მწერალ ქალთა ახალი თაობის წარმომადგენელია ცნობილი ქუვეითელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სუად ალ-საბაჰია. ის პირველი ქუვეითელი ქალია, რომელმაც სპარსეთის ყურის რეგიონში პოეზიის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. 60-იანი წლებიდან დღემდე მისი ლექსების ათზე მეტი კრებული გამოვიდა, რომლებიც მოგვითხრობენ ზოგადსაკაცობრიო და არაბთა ეროვნულ პრობლემებზე, ქალის როლზე არაბულ საზოგადოებაში. ქალთა პრობლემებს მიეძღვნა მისი კრებულები: “პირველად იყო ქალი”, “ქალი ნაპირების გარეშე”, “წამიყვანე მზისკენ” და სხვ. სწორედ ამ პერიოდში დაინტერესდა ქალთა საკითხით, ქალის როლით არაბულ სამყაროში. ადამიანთა და რა თქმა უნდა, არაბი ქალის უფლებების კვლევა მისი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ საკითხად იქცა. იგი არის სხვადასხვა საერთაშორისო საზოგადოებებისა და ორგანიზაციების წევრი. მათ შორისაა: ქუვეითის ემიგრანტ ქალთა და ჟურნალისტთა ასოციაცია, ადამიანთა უფლებების დაცვის არაბული ლიგა, ქუვეითში განათლების

გამაერთიანებელი საზოგადოება, მსოფლიო მუსლიმ ქალთა ორგანიზაცია და სხვ (125, 8-9).

90-იან წლებში საზოგადოებაში ღრმავდება კრიზისი, რომელიც თავს იჩენს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთდამოკიდებულებაში. ხდება ღირებულებების გადაფასება, ყალიბდება თვისობრივად ახალი ურთიერთობები ინდივიდსა და ერს, ქალსა და საზოგადოებას შორის. რეალობასა და წარმოსახვას შორის ზღვარი იზრდება. ეს კი გარკვეულწილად იწვევს გულგატეხილობასა და ნიჰილიზმს. საჭიროა ახალი იდეალები, რათა მოხდეს საზოგადოების გულგატეხილობის დაძლევა. ეს გარკვეულწილად ეხება ქალთა საკითხსაც. XX საუკუნის დასასრულს ქალთა მოძრაობა არაბულ სამყაროში განვითარების ახალ ფაზაში შედის და ეს ამ თაობის მწვერალი ქალების შემოქმედებაშიც ნათლად ვლინდება (83, 34).

ამ თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია ეგვიპტელი რომანისტი მეი თალმასანი (مي التلمسان) (1965), რომელიც ასევე ცნობილი მთარგმნელია. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მისი რომანი “დუნიაზადი” (دنيا) (1997), რომელიც თანამედროვე არაბი ქალის პრობლემებს შეეხება და განიხილავს ქორწინების გარეშე მამაკაცთან ურთიერთობის საკითხებს, სიყვარულის თავისუფლების პრობლემებს. ამავე საკითხებს ეხება მისი ნოველებიც (123, 279).

ამავე თაობის წარმომადგენელია ეგვიპტელი რომანისტი, ნოველისტი და კრიტიკოსი რადვა აშური (رضوى عاشور) (1946-), რომელმაც კაიროს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაიწყო აფრო-ამერიკული ლიტერატურის შესწავლა და წლების განმავლობაში მუშაობდა აღნიშნულ საკითხებზე მასაჩუსეტის უნივერსიტეტში, ასევე ლექციებს კითხულობდა აინ შამსის უნივერსიტეტში (კაირო). იგი სისტემატიურად აქვეყნებს სტატიებსა და ნარკვევებს არაბული ლიტერატურის შესახებ, მაგალითად მას ეკუთვნის გამოკვლევა

“ჯებრანი და ბლეიკი”. 1994 წელს მას მიენიჭა მწერალთა ორგანიზაციის პრემია საუკეთესო რომანისათვის “გრენადა” (“غرناطة”). აღნიშნული რომანი ასევე პრემირებულ იქნა არაბი მწერალი ქალების მიერაც (129, 272).

აქვე უნდა აღინიშნოს თანამედროვე ქუვეითელი მწერალი ქალის ლეილა ოსმანის (1945-) მოღვაწეობა. იგი არის ქალთა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. მათ შორის “ქალები ომისა და აგრესიის წინააღმდეგ”, ქუვეითის “ლიტერატორთა ასოციაცია”. მისი ნოველები და რომანები ქალთა პრობლემებს შეეხება. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანი “ვასშია გამოდის წყლიდან” (125, 103). მისი ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე და მათ შორის ქართულადაც (მაგ. “ღამით მოარული თვალები”).

ამრიგად, ქალთა მოძრაობა ევროპასა და ამერიკაში ბევრად უფრო ადრე დაიწყო და არაბული ქვეყნები მას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეუერთდნენ. იგი ფართო ხასიათს არაბი განმანათლებლების ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ იღებს და მისთვის დამახასიათებელია ის, რომ ქალთა უფლებებისათვის მებრძოლნი არაბულ ქვეყნებში, დასავლეთისაგან განსხვავებით, მამაკაცები იყვნენ. მოგვიანებით ამ მოძრაობაში უშუალოდ ქალებიც ჩაერთვნენ.

საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსული არაბი მწერალი ქალები ხმას იმაღლებენ საკუთარი ინტერესების დასაცავად, იბრძვიან ისლამურ სამყაროში ქალთა განათლების უფლებისათვის, ქმნიან ქალთა საზოგადოებებსა და ქალთა პრესას.

ქალთა მწერლობის განვითარების პირველ ეტაპზე არაბმა მწერალმა ქალებმა თავიანთ შემოქმედებაში დაამკვიდრეს ქალთა საკითხი, ასახეს მამაკაცისა და ქალის ურთიერთობა არაბულ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, საზოგადოება მოამზადეს, რომ მიდგომა ქალთა საკითხისადმი შეცვლილიყო.

XX საუკუნის 30-იან წლებში კიდევ უფრო აქტიურდება არაბულ სამყაროში ქალთა მოძრაობა და იწყება მეორე ეტაპი. ამას გარკვეული შედეგებიც მოჰყვა. არაბმა ქალმა შეძლო მოეხსნა პიჯაბი. ასევე არაბ ქალს უკვე აქვს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა და უნივერსიტეტში ქალები იწყებენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. პირველი არაბი ლექტორი ქალი მაღაქ ჰიფნი ნასუფი იყო.

ქალთა მოძრაობის განვითარების მეორე ეტაპზე, რომელსაც ე. შოვალტერი ახასიათებს როგორც ლიბერალური ფემინიზმის ხანას, არაბი მწერალი ქალების ახალი თაობის წარმომადგენლები უკვე აქტიურად იწყებენ დამკვიდრებას მწერალი მამაკაცების გვერდით.

რაც შეეხება ქალთა მდგომარეობას არაბულ სამყაროში, აქ ძირეული ცვლილებები ხდება. ქალთა უფლებები საზოგადოებაში აღიარებულია და არაბი ქალი ისევე იღებს მინაწილეობას ერის საჭირობოროტო საკითხების გადაწყვეტაში, როგორც მამაკაცი. XX საუკუნის შუა ხანებში არაბი მწერალი ქალები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ ცხოვრებაში (დარია შაეფიკი, ფატიმა რაშიდი, ნაბავია მუსა და სხვები). ამასთანავე ისინი თავიანთ ნაწარმოებებში გვიხატავენ არაბული საზოგადოების პრობლემებზე მზრუნველი ქალის სახეებს.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქალთა მოძრაობაში ახალი ეტაპი იწყება და არაბი მკვლევარი საბრი ჰაფეზი ამ პერიოდს ქალთა ლიტერატურის განვითარების ახალ ფაზასთან აკავშირებს. ამ თაობის მწერალი ქალები უკვე აქცენტს აკეთებენ ქალის შინაგანი სამყაროს ასახვაზე და ქალის მიერ სიყვარულის თავისუფლად გამოხატვის აუცილებლობაზე საუბრობენ. საბრი ჰაფეზი ამ თაობის მწერალ ქალებს ახასიათებთ "როგორც წმინდა ქალური პრობლემებით დაინტერესებულ" თაობას.

შეიძლება ითქვას, რომ ქალთა მოძრაობისა და ქალთა მწერლობის განვითარების სამი ეტაპი თავისთავად იყოფა ისტორიულ

პერიოდებად და თითოეული მათგანი მოცავს 40 წლიან ციკლს და არაბულ სამყაროში იგი პირდაპირ უკავშირდება ამ ქვეყნებში ეროვნული თვითშეგნების ზრდას. ამასთანავე იგი უთუოდ შთაგონებული იყო დასავლეთის. გავლენით, ევროპული კულტურისა და ლიტერატურის მიღწევათა ათვისებითა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით.

2. 1. ქალი განმანათლებლებთან და რომანტიკოსებთან

მართალია, შუა საუკუნეების არაბულ ლიტერატურაში გვაქვს ქალის კულტი, მაგრამ არა საერთოდ ქალისა, არამედ მამაკაცის სიყვარულის ობიექტისა – სატრფოსი, ქალის ყოველგვარ პიროვნულ თავისუფლებაზე და მის ემანსიპაციაზე ფიქრის გარეშე. ეს საკითხი დღის წესრიგში არაბმა განმანათლებლებმა დააყენეს, შემდგომ კი რომანტიკოსებმა განავითარეს.

არაბი განმანათლებლებისა და რომანტიკოსების მოღვაწეობის პერიოდში და რა თქმა უნდა მანამდეც, ქალს მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებაში არ გააჩნდა. იგი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას, ეკრძალებოდა საზოგადოებაში გამოჩენა, ზედმეტიც იყო ლაპარაკი მის საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. არ იყო აღიარებული ის დიდი როლი, რომელიც მას ჰქონდა როგორც დედას. ქალი იმყოფებოდა მოძველებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ტყვეობაში საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ დრო შეიცვალა. დასავლეთთან კონტაქტების გაძლიერებას კორექტივები შეჰქონდა არაბთა ყოფაში. ახალი ცხოვრება კი ახალ პრობლემებს აყენებდა არაბული საზოგადოების წინაშე; იგი ითხოვდა შარიათის მიერ საუკუნეების განმავლობაში დადგენილი, მაგრამ უკვე მოძველებული წეს-ჩვეულებების შეცვლას. არაბულ საზოგადოებას არ შეეძლო მომავალში დარჩენილიყო შუასაუკუნეობრივი ტრადიციების ტყვეობაში. ამიტომ განმანათლებლების მიერ დაყენებული სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გვერდით მწვავედ იდგა ქალთა პრობლემა.

განმანათლებლებმა პირველებმა აღნიშნეს ის უზარმაზარი როლი, რომელსაც ასრულებს ქალი ერის ცხოვრებაში. ბუტრუს აღ-

ბუსთანი ევროპული ცივილიზაციის წარმატებების უმთავრეს ფაქტორად თვლიდა, რომ ქალმა დაიკავა მაღალი ადგილი საზოგადოებაში და ზრუნავდნენ მის განათლებაზე. იგი თვლიდა, რომ არაბულ სამყაროში ასევე უნდა ამბავდებოდა ქალის როლი.

მართალია ქალთა საკითხისადმი ყურადღების მიპყრობას მანამდეც ცდილობდნენ, მაგრამ კასიმ ამინი პირველი იყო, ვინც კონკრეტულად დასვა საკითხი ქალთა ემანსიპაციის შესახებ. ამ პრობლემას მიუძღვნა მან თავისი ძირითადი ნაწარმოებები: „ქალის განთავისუფლება“ და „ახალი ქალი“. კასიმ ამინის აზრით, ის მდგომარეობა, რომელიც ქალს უკავია აღმოსავლეთში, დამღუპველია ერისათვის. ის მივიდა დასკვნამდე, რომ ერის აღორძინება, პროგრესისათვის ბრძოლა დაწყებულ უნდა იქნეს ქალის პირობების შეცვლით, ოჯახის გარდაქმნით, რადგან „არავითარი იმედი არ არის იყო ცოცხალი ერი, სარგებლობდუ ავტორიტეტით მოწინავე ერთა შორის, მიიღო ადგილი ცივილიზაციის სამყაროში, ვიდრე სახლი და ოჯახი არ გახდება ხელსაყრელი გარემო იმ თვისებების მქონე ადამიანთა მოსამზადებლად, რომელთა წარმატების იმედი შეიძლება გექონდეს“. მისი შეხედულებით ქალი არაფრით არ ჩამორჩება მამაკაცს თავისი შესაძლებლობებით. არაბ ქალს კი საზოგადოებაში აქვს მხოლოდ მოვალეობები და ასევე აუცილებელია ჰქონდეს მას უფლებებიც. ქალთა განთავისუფლების საკითხში მისი პრინციპები განათლებასა და აღზრდაზე იყო დაფუძნებული. მან დასვა ქორწინებისა და მრავალცოლიანობის საკითხები. მოითხოვა ქალისათვის მიეცათ თანასწორი უფლება განქორწინებაში, გაილაშქრა მრავალცოლიანობის წინააღმდეგ. კასიმ ამინი ძირითადად შემოიფარგლა ოჯახში ქალის უფლებების აღიარებით, მაგრამ გამოთქვა რწმენა, რომ დადგება დრო, როცა ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი ქალი „მოემზადება მამაკაცთან

საასპარეზოდ საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში" (37, 74-75).

XX საუკუნის მიჯნაზე კასიმ ამინის მოწოდებას ქალთა ემანსიპაციის "საკითხთან დაკავშირებით მხარს უჭერდა მისი თანამედროვე საზოგადოება, მისი იდეები და პუბლიცისტური სტილი აღფრთოვანებას იწვევდა, თუმცა არაბული საზოგადოება მათ განსახორციელებლად ჯერ კიდევ არ იყო მზად.

კასიმ ამინის დაწყებული საქმე გააგრძელა სხვა განმანათლებლებმა. არაბი ქალის მდგომარეობით შეშფოთებული ვალი ად-დინ იექუნში (1873-1921) ამბობდა: „დღეს შესაძლებელი რომ იყოს, ქალთა თავისუფლებისათვის მებრძოლი ბელადი აღდგეს და წაიკითხოს თუ რა დაწერეს ადამიანებმა მომავალი თაობების დედების კარჩაკეტილობისა და შევიწროების დასაცავად, იჩქარებდა დაბრუნებულიყო საფლავეში, დაეხუჭა თვალები, რომ არ ენახა, დაეხშო ყურები, რომ არაფერი გაეგონა". ისევე როგორც სხვა განმანათლებლები – კასიმ ამინი, სელიმ ალ-ბუსთანი, ფარახ ანტუნი, ვალი ად-დინ იექუნიც ძირითადად შემოიფარგლა ქალთა განათლების საკითხებით.

დიდი ადგილი დაუთმო ჯირჯი ზეიდანმა თავის სტატიებსა და ისტორიულ რომანებში სიყვარულის, ქორწინების, ოჯახის პრობლემებს. მას ძალიან მნიშვნელოვნად ესახებოდა ქალის როლი ერის წინსვლაში. იგი აუცილებლად თვლიდა ქალის ჩართვას საზოგადოებრივ საქმიანობაში, რის გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნდა საზოგადოების განვითარება და სხვა განმანათლებლების მსგავსად, ყურადღება მიაქცია ქალის განათლების საკითხს.

აღსანიშნავია ქალთა საკითხთან დაკავშირებით რომანტიკოსთა პოზიცია. თუ განმანათლებლები გამოსავალს ხედავდნენ განათლებაში და მათი ბრძოლა იფარგლებოდა ქალის უფლებების აღიარებით ოჯახში, რომანტიკოსებმა, განსაკუთრებით ჯებრანმა, რა თქმა უნდა,

აღიარეს განათლების მნიშვნელობა, მაგრამ ის მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებად ჩათვალეს. მათთვის ძირითადი იყო სიყვარული.

ჯებრანმა გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნია ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებები ქორწინებაში, ცხოვრების თანამგზავრის თავისუფალი არჩევა, თავისუფლება სიყვარულში. ჯებრანის შემოქმედებაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია ქალის ემანსიპაციის საკითხს. მისი პირველი პერიოდის მოთხრობები და ნოველები ამ აქტუალურ თემას ეძღვნება. მოგვიანო ხანის ნაწარმოებები კი იშვიათად თუ გაიხსენებს მისთვის ასე ახლობელ თემას.

ჯებრანის ნოველა „მართა ალ-ბანი“ (1906), მოთხრობა „დამსხვრეული ფრთები“ (1912), „ვარდა ალ-ჰანი“ (1908) და „საპატარძლო სარეცელი“ (1908) სწორედ ქალთა ემანსიპაციის საკითხებს ეძღვნება. „მართა ალ-ბანის“ მართას და „დამსხვრეული ფრთების“ სელმას ძალა არ აღმოაჩნდათ წინ აღდგომოდნენ სოციალურ უსამართლობას, მოძველებულ ადათ-წესებს, დაეცვათ საკითარი „მე“, საკუთარი უფლებები, თავისუფლება, სიყვარული და ენება. ბრძოლისა და წინააღმდეგობის უნარს მოკლებული სელმა, მიუხედავად დიდი სიყვარულისა, სხვისი ნება-სურვილის მორჩილი აღმოჩნდება, ქმრის სისასტიკის ტყვე ხდება და ბრძოლას სიკვდილს არჩევს. სელმა სენტიმენტალური ნაწარმოების ტიპური გმირია, რომლისთვისაც მოვალეობა ყველაზე უფრო დიდია და რომლის დარღვევაზე ფიქრიც ზედმეტია (19, 431). ჯებრანისათვის სელმას და მართას მსგავსი გმირები მიუღებელია, ამიტომ ისინი ნაწარმოების ბოლოს იღუპებიან, რითაც ავტორი თავის წილ პროტესტს გამოხატავს არსებული სინამდვილის მიმართ. საპირისპირო პოზიცია უკავიათ „ვარდა ალ-ჰანის“ და „პატარძლის სარეცელის“ გმირ ქალებს. ისინი ტიპური რომანტიკული პერსონაჟებია. მათთვის სიყვარული, ენება ყველაზე უფრო მაღლა დგას. მათი სიყვარული ვერავითარ კალაპოტში

ვერ ჯდება, ვერავითარი ზღვარი ვერ აკავებს. მათთან მოვალეობის გრძნობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მათ შეუძლიათ სიყვარულისათვის ყველაფრის გაწირვა, სიცოცხლის გაცემაც კი. ვარდა აღ-ჰანიმ იპოვა თავის თავში იმდენი ძალა, რომ ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მიპტოვა კანონიერი ქმარი, რომელსაც უსიყვარულოდ მიათხოვეს; ავტორი აღნიშნავს: „იგი განთავისუფლდა მორჩილებისგან, რათა წმინდა სიყვარულის კანონებს დამორჩილებოდა.“ „საპატარძლო სარეცლის“ გმირი ქალი კი, როცა შეიტყობს სხვაზე ათხოვებენ, ცდილობს შეყვარებულთან ერთად გაიქცეს. აღსანიშნავია, რომ ვაჟს უჭირს მოვალეობის გრძნობის დაძლევა. ქალი მასაც კლავს და თავსაც იკლავს. მოვალეობის ტრადიციულ გაგებაზე მაღლა ქალი სიყვარულს აყენებს, თუმცა ეს სიცოცხლის ფასად უჯდება. ჯებრანის გმირი ქალები არ კმაყოფილდებიან არსებულით. მათთვის სიცოცხლის მიზანი არის იმისადმი სწრაფვაში, რაც სიცოცხლეზე მაღლა დგას. ეს არის სიყვარული.

ჯებრანმა ქალის როლი საზოგადოებაში განმანათლებლებთან შედარებით კიდევ უფრო აამაღლა და მას მიანიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა ერის სიძლიერეში როცა განაცხადა: „...ქალი ერის ისეთი საზომია, როგორც სხივი ჩირაღდნისათვის“. სინამდვილეში კი ხედავდა, რომ თანამედროვე ქალს არ გააჩნდა საკუთარი „მე“ და მამაკაცის ხელში სათამაშოდ იყო ქცეული, „რომელსაც ყიდულობენ როგორც ნივთს სახლის მოსართავად“. ჯებრანმა გაილაშქრა აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ტრადიციის წინააღმდეგ, რომლის თანახმად საცოლეს ირჩევენ ქალის სურვილების გაუთვალისწინებლად. იგი წინააღმდეგი იყო ისეთი ქორწინებისა, რომელიც აიძულებდა ქალს გაყოლოდა ცოლად უცნობ კაცს უსიყვარულოდ: „ქორწინება ჩვენს დროში გარიგებაა სასიძოებსა და ქალიშვილების მამებს შორის, რაც სინანულისა და დაცინვის ღირსია. სასიძოები თითქმის ყოველთვის იგებენ, მამები ყოველთვის კარგავენ,

გოგონები კი, რომლებიც ნივთებივით გადადიან ერთი ხელიდან მეორეში, მოკლებულნი არიან ყოველგვარ სიხარულს. მათი ხეედრი სახლის ბნელ კუთხეებში ყოფნაა" - წერს მწერალი მოთხრობაში „დამსხვრეული ფრთები“.

თუ განმანათლებლები გამოსაეაღს ხედავდნენ განათლებაში და მათი ბრძოლა იფარგლებოდა ოჯახში ქალის უფლებების აღიარებით, ჯებრანმა აღიარა განათლების მნიშვნელობა, აღიარა, რომ თანამედროვე ცვილიზაციამ ხელი შეუწყო ქალის შეგნების ზრდას, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ამავე დროს არ მომხდარა მისი განთავისუფლება. მწერალი შენატრის იმ დღეს, როდესაც „ქალში შერწყმული იქნება სილამაზე ცოდნასთან, სინატიფე სათნობასთან, სხეულის სისუსტე სულის სიძლიერესთან." სჯერა ეს დღეც რომ დადგება, მაგრამ მისთვის განათლება მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება იყო მიზნის მისაღწევად.

ქალს უნდა მიეცეს საშუალება ცხოვრების თანამგზავრის თავისუფალი არჩევისა. თანასწორობა ქორწინებაში, თავისუფლება სიყვარულში ეს არის უმთავრესი, რადგან “სიყვარული ერთადერთი თავისუფლებაა ამ ქვეყანაზე". ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ როდესაც რომანტიკული გმირი ვერ ახერხებდა თავისი იდეალის განხორციელებას, იღუპებოდა. ამიტომაც ჯებრანი თავის უმეტეს ნაწარმოებს ამთავრებს ტრაგედიით. ამით პროტესტს აცხადებს იმ სინამდვილის წინააღმდეგ, რომელშიც ქალს სწორედ სიყვარულის, თავისუფალი ნების გამოხატვის უფლება აქვს აყრილი.

რომანტიკოსებთან ქალი უსიტყვოდ არ ემორჩილება ბედს, იგი გამოხატავს პროტესტს. შესაძლებელია ის დაიღუპოს და ვერ შეძლოს საკუთარი ნების ასრულება, მაგრამ მისთვის მოვალეობაზე მაღლა პირადი თავისუფლება დგას. რომანტიკოსებთან ქალი უკვე არის პირადი ბედნიერებისათვის მებრძოლი.

აქვე ვიტყვით, რომ არაბი რომანტიკოსების მიერ არჩეული ქალთა მდგომარეობის მოგვარების გზები კი არ უპირისპირდებოდა განმანათლებლებისას, არამედ გაგრძელება და განვითარება იყო მისი.

ჯებრანის გმირი ქალებისაგან რადიკალურად განსხვავდებიან ალ-მანფალუტის გმირები. მისი ნოველების: „ობოლი“, „ჩადრი“, „უფსკრული“ გმირთა სახეები უფრო სენტიმენტალური ნაწარმოებების პერსონაჟებს მოგვაგონებს, ვიდრე რომანტიკულის. აქ გმირები ცრემლს ღვრიან, მათში აკრძალულია დიდი ვნებებისა და სიყვარულის გამოვლენა, ყველაფერი ეწირება მოვალეობის ტრადიციულ გაგებას, უმაღლესს დონემდეა აყვანილი ადამიანის მოვალეობა საზოგადოებისა და ოჯახის წინაშე. მაგ.: მოთხრობაში „ობოლი“ მთავარი გმირები ამადლებული და ძლიერი სიყვარულით არიან შეპყრობილი, მაგრამ მათზე უდიდეს გავლენას ახდენს ტრადიციული ოჯახური წესები. არც ერთს არ შესწევს ძალა ჯებრანის გმირი ქალების მსგავსად გადალახონ იგი და სიყვარულს დაემორჩილონ. ისინი არ მოქმედებენ, მხოლოდ ღმერთს შესჩივიან და უმაღლეს ოცნებად წარმოუდგენიათ, რომ სატრფოს გვერდით დაასაფლავონ. ალ-მანფალუტიმ თავისი გმირების წინაშე დააყენა მოთხოვნა - მოვალეობა ყველაზე მაღლა. აქედან გამომდინარე „პატიოსანმა ქალმა არ უნდა მიატოვოს გზას აცდენილი კაცი“ (ნოველა „უფსკრული“). მწერალმა მკაცრად დაგმო „ჩადრის“ გმირის რომანტიკული მისწრაფება: „ერთადერთი ოცნება მაქვს, ეს არის ის, რომ დაეხუჭო თვალები, შემდეგ გაეახილო და ვერ ვპოვო ქალის სახეზე ჩადრი“. ალ-მანფალუტიმ თავის გმირებს აყარა უფლება ამ ქვეყნად ყველაზე უფრო რომანტიკულისა - სიყვარულის უფლება.

ალ-მანფალუტი მოთხრობით „ჩადრი“ გამოეხმაურა ქალთა საკითხს, რომელსაც არაერთი სტატია და ესსე მიუძღვნა. მწერალი შეეცადა თავისი მრწამსის შესაბამისად გადაეწყვიტა ეს მტკივნეული საკითხი. იგი მიზნად ისახავდა, უპირველესად, ევროპული

ცივილიზაციისაგან დაეცვა არაბი ქალი, შეენარჩუნებინა მისთვის რელიგიური კანონებისა და ტრადიციით განმტკიცებული პირვანდელი სახე. დასავლური ცივილიზაციის გაელენის ქვეშ მყოფი კაცის ერთადერთი ოცნება, იხილოს არაბი ქალი ჩადრის გარეშე მწერლისათვის მიუღებელია. იგი დაკანონებულის შეცვლის წინააღმდეგია და თელის, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის განვითარების დონის თვალსაზრისით დიდი სხვაობაა. ამიტომ დასავლეთის მიბაძვამ მხოლოდ უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიღოს. მოთხრობის ფინალი შეესატყვისება მწერლის თვალსაზრისს. ახალგაზრდა კაცი მოაშორებს ცოლს ჩადრს და საზოგადოებაში გამოიყვანს. შედეგი ტრაგიკულია. ცოლი უღალატებს ქმარს, ქმარი გააძეევებს სახლიდან ცოლს და კვდება. სიკვდილის წინ კაცი აღიარებს თავისი შეხედულების მცდარობას. მართალია აღმანფალუტიმ არ გაიზიარა ქალთა საკითხის გადასატრელად ჯგერანისეული გზა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ვერ ხედავდა არაბი ქალის მძიმე ხვედრს და ვერ ხვდებოდა მის გამომწვევ მიზეზებს. მისი აზრით, ქალის უბედურება მდგომარეობს იმაში, რომ უარყოფილია მისი როლი ოჯახში და შვილების აღზრდაში. იგი გამოსავალს ხედავდა შემდეგში: მამებმა (და არა დედებმა) ასწავლონ თავიანთ ქალიშვილებს ოჯახის საქმეები, ხოლო ქმრები მოეპყრან მათ როგორც ადამიანებს. ის წინააღმდეგი იყო ქალის განათლებისა ზოგადი გაგებით, წინააღმდეგი იყო ისეთი განათლებისა, რომელიც ცდებოდა ოჯახისა და შვილების აღზრდის ფარგლებს, წინააღმდეგი იყო ქალიშვილების შეყვანისა სკოლებში. სკოლა, მისი აზრით, ხრწნის ქალის ბუნებას. ესევე „გუშინ და დღეს“ აღმანფალუტი წერს, რომ მოდაში შემოვიდა ქალთა სწავლა-განათლება. ის სწავლობს რათა მიიღოს განათლება, თითქოს გახდა ცივილიზებული, კითხულობს წიგნებს, განსაკუთრებით ევროპულს, ბაძავს ევროპელს, მან თითქმის იცის და ეხერხება კიდევ ყველაფერი გარდა მთავარისა - ოჯახის

საქმეებისა და შეილებების აღზრდისა. როგორც ეხედავთ ჯებრანისაგან განსხვავებით ალ-მანფალუტის შეხედულებები უფრო კონსერვატიულ ხასიათს ატარებდა. ალბათ მიზეზი უპირველესად იყო ის, რომ მას განათლება მიღებული ჰქონდა კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტში. მისი შეხედულებები ხშირად ეკრძნობოდა რელიგიურ დოგმებს. ამასთანავე ის უფრო სენტიმენტალისტი იყო, ვიდრე რომანტიკოსი. ალ-მანფალუტისთან დაუშვებელია ლაპარაკი ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებზე არა მარტო საზოგადოებაში, არამედ ოჯახშიც. ოჯახში აუცილებლად უნდა იყოს უპირველესობა მამაკაცისა, ცოლი კი მასზე უნდა იყოს დამოკიდებული (მოთხრობა „ჩადრი“). ალ-მანფალუტიმ, ჯებრანისაგან განსხვავებით, არ მისცა ქალს ქმრის დამოუკიდებლად არჩევის უფლება. აქ გადამწყვეტი სიტყვა მიაკუთვნა მამას, ან ძმას, ქალი კი უნდა დამორჩილებოდა ოჯახის გადაწყვეტილებას („ჩადრი“). მაგრამ ეს შერჩევა მოკლებული უნდა ყოფილიყო ანგარებიან მიზნებს. ამასთანავე მწერალმა კატეგორიულად გაილაშქრა ოჯახის დანგრევის, ცოლ-ქმრის გაყრის წინააღმდეგ (ესე „ერთგულება“). ამ მხრივ მან გარკვეული პასუხისმგებლობა ქალსაც დააკისრა: „პატოსანმა ქალმა არ უნდა მიატოვოს გზას აცდენილი ქმარი“ („ცრემლები“).

ალ-მანფალუტიმ გაილაშქრა სიყვარულის წინააღმდეგ, როცა უარყო სიყვარული ცოლ-ქმრული ცხოვრების, ოჯახის საფუძვლად. ოჯახი სიყვარულზე კი არ უნდა აიგოს, არამედ ცოლ-ქმარს შორის ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემაზე. ამ მხრივ საინტერესოა ესე „სიყვარული და ცოლ-ქმრობა“. აქ მწერალი გამოვიდა ჯებრანის ნოველაში „ვარდა ალ-ჰანი“ გამოთქმული შეხედულებების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, მოთხრობა „დამსხვრეული ფრთების“ გამოსვლის (1912წ.), განსაკუთრებით კი ნოველა „ვარდა ალ-ჰანის“ შემდეგ გარკვეული წრეები ადანაშაულებდნენ ჯებრანს ურწმუნოებაში, რომ ის გამოდიოდა კანონიერი ქორწინების წინააღმდეგ და ამით ძირს

უთხრიდა ოჯახსა და ადამიანთა საზოგადოებას, რაც არ იყო, მართებული ბრალდება. ჯებრანი გამოდიოდა მხოლოდ იმ კანონების და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, რომელიც ყველაფერში ადანაშაულებდა ქალს, აგრეთვე ისეთი ქორწინების და ოჯახის წინააღმდეგ, რომლის საფუძველს შეადგენს ანგარება, სადაც ცოლ-ქმარი ერთმანეთის მიმართ ზიზღს გრძნობენ და მხოლოდ კანონებით არიან იძულებულნი ერთად იცხოვრონ. „ვარდა ალ-ჰანში“ ჯებრანმა გაამართლა ნაწარმოების გმირის საქციელი, რომელმაც მიატოვა ქმარი, რომელზეც მშობლებმა გაათხოვეს სიყვარულის გარეშე, და დაუბრუნდა შეყვარებულს, რადგან ქალი მოიქცა ბუნების კანონების შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ მაღლა დგას რელიგიურ კანონებზე. ალ-მანფალუტის აზრით, ოჯახური კავშირი იქმნება ღმერთის ნებით და მისი დარღვევის უფლება ადამიანს არ აქვს.

უნდა ითქვას, რომ ალ-მანფალუტის შეხედულებები ქალთა ემანსიპაციის პრობლემასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ჩაითვალოს წინგადადგმულ ნაბიჯად აღნიშნული საკითხის მოგვარების გზაზე.

მოვალეობისა და სიყვარულის თავისუფლად გამოხატვის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა მუჰამად ჰაიქალის დამოკიდებულება.

მისი ნაწარმოების “ზეინაბი” მთავარი მამოძრავებელი ძალა არის სიყვარული, მაგრამ ქალს არა აქვს მისი თავისუფლად გამოხატვის საშუალება. საზოგადოებისთვის ხელშეუხებელია მოვალეობის ცნება, რაც ბევრად განაპირობებს ნაწარმოების გმირების პასიურობას ცხოვრებისეული სიძნელეების წინაშე. სიყვარული, გრძნობა და ყოველივე ამასთან დაკავშირებული ამ მოვალეობისადმი არის დამორჩილებული. ზეინაბი მოვლენების მხოლოდ პასიური მჭერტეელია. იგი უსიტყვოდ ნებდება ბედს, რაც მისი ცხოვრების ტრაგიკული ფინალის მიზეზი ხდება. ზეინაბის სახის შექმნით და მისი ტრაგედიის ჩვენებით მწერალმა გამოხატა პროტესტი არაბულ

საზოგადოებაში გაბატონებული ტრადიციის წინააღმდეგ, რომლის თანახმად ოჯახის შექმნისას სრულიად იგნორირებულია ქალის აზრი. პაიქალი ამტკიცებს, რომ აუცილებელია საზოგადოებაში ქალს იგივე უფლებები ქონდეს რაც მამაკაცს აქვს მინიჭებული და რომ ქორწინება უსიყვარულოდ დანაშაულის ტოლფასია.

ხალილ მუტრანის დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი მის პოეტურ შემოქმედებაშია წარმოდგენილი. მან კარგად იცოდა, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად ხანგრძლივი ბრძოლა იყო საჭირო.

ხალილ მუტრანმა კასიდებში „ვარდი და ზამბახი“, „ერთგულება“, „მსხვერპლი ემბრიონი“, „ორი ბავშვი“ და სხვ. გაილაშქრა საზოგადოებაში ქალის სრული უფლებობის, ფულისა და ქონებისადმი გრძნობათა დამორჩილების წინააღმდეგ. პოეტმა დაგმოდრომოჭმული ადათ-წესები, რომლის მიხედვით ათხოვებენ ქალს მისი ინტერესების გაუთვალისწინებლად. ასევე ქონება ხდება შეყვარებული წყვილის ბედნიერების დამანგრეველი ძალა კასიდაში „ვარდი და ზამბახი“. კასიდაში „მსხვერპლი ემბრიონი“ ნაჩვენებია საზოგადოების უსულგულო დამოკიდებულება ღარიბი სოფლელი გოგონას ბედისადმი. დასახელებული კასიდები ტრაგედიით მთავრდება: თავს იკლავს ყველასაგან მიტოვებული გოგონა („მსხვერპლი ემბრიონი“), დარდისა და სასოწარკვეთილებისაგან იღუპებიან სხვაკასიდების გმირებიც.

ბ. მუტრანს მიაჩნდა, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ქალისადმი უნდა შეიცვალოს, მაგრამ ამის მისაღწევად, მისი აზრით, ბრძოლაა საჭირო. იგი იმედოვნებდა, რომ მოვა დრო და ქალი თავის სიტყვას იტყვის საზოგადოების განვითარების, ერის მომავლის საქმეში.

არაბი რომანტიკოსების შემოქმედებაში ქალთა საკითხს, როგორც ვხედავთ, გამორჩეული ადგილი უჭირავს. ჯებრანის მსგავსად აბუ შადიც ქალს საზოგადოების არსებობისათვის გადააწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ქალს ღვთაებრიობის სიმბოლოდ

2. 2. “ახალი ქალი” და თანამედროვე არაბული ლიტერატურა

დიდი ადგილი დაუთმეს არაბი ქალის პრობლემათა ასახვას თავიანთ შემოქმედებაში მომდევნო თაობის წარმომადგენლებმა. ქალთა უფლებების დაცვის საკითხი თავდაპირველად არაბმა განმანათლებლებმა წამოჭრეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მასში აქტიურად ჩაერთვნენ ჯერ რომანტიკოსები, შემდეგ კი რეალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლები.

ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ ამ საკითხის განვითარებას თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში და ვნახოთ, თუ როგორ შეიცვალა არაბულ სამყაროში აღნიშნული საკითხისადმი მიდგომა და ამასთან ერთად არაბი ქალის ფსიქოლოგია.

XX საუკუნის 20-იან წლებში ახალგაზრდა მუჰამად და მაჰმუდ თეიმურები, ტაჰერ ლაშინი, იაჰია ჰაკი და სხვები ქმნიან ნოველისტთა ასოციაციას სახელწოდებით “ახალი სკოლა”. უნდა ითქვას, რომ საერთოდ, ამ პერიოდის არაბულ ლიტერატურაში ხდება დასაველეთევროპული ესთეტიკური პრინციპების სინთეზირება, რომლის ფონზეც ახალი შეხედულებები ყალიბდება. ყოველივე ეს იწვევდა ტრადიციული შეხედულებების გადასინჯვას. ეს შეეხო ქალთა საკითხსაც. ქალის თემა ახალ არაბულ ლიტერატურაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. მწერლები ცდილობენ თანამედროვე ცხოვრების პირუთენელი სურათი მოგვცენ თავიანთ ნაწარმოებებში, რომლებშიც ასახავენ სოციალური და კულტურული ყოფის სხვადასხვა მხარეებს და ქალთა საკითხსაც. არაბულ საზოგადოებაში ქალის როლი იზრდებოდა ამ ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე, როცა არაბულ ქვეყნებში აღინიშნება არაბი ქალის განსაკუთრებული აქტივობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი მონაწილეობას იღებს ქვეყნის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. სწორედ

რელისტური მიმდინარეობის წარმომადგენელთა შემოქმედებაში ჩნდება პირველად “ახალი ქალის” სახე, რომლის შესახებაც წერდა კასიმ ამინი.

“ახალი ქალი” დაგვიხატა ჰაიქალმა თავის ნაწარმოებში “ასე შეიქმნა”. აქ მწერალი რადიკალურად განსხვავებულ ვითარებას ასახავს ვიდრე “ზეინაბში”. აქ ქალს უკვე მოპოვებული აქვს თავისუფლება და თანასწორობა მამაკაცთან, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში. ამ ორ ნაწარმოებში ორი უკიდურესობაა ნაჩვენები: ერთში ქალი სრულიად უუფლებოა, მეორეში კი სრულიად თავისუფალი. მწერლის აზრით, ორივე საზიანოა როგორც საზოგადოებისათვის, ასევე პიროვნებისათვის. აბსოლუტური თავისუფლებისათვის ეგვიპტელი, და საერთოდ არაბი ქალი, მოუმზადებელია. მწერალი გვანუგვებს, რომ ორივე უკიდურესობა ერთნაირად უარყოფით შედეგს იძლევა. ორივე შემთხვევაში ოჯახი ინგრევა. თუ პირველ შემთხვევაში ამის მიზეზი მოძველებული ტრადიციებია, მეორე შემთხვევაში პირიქით, ასეთი ტრადიციების სრული უარყოფა. ჰაიქალი მართალია მომხრეა არაბულ სამყაროში ქალს ჰქონდეს სიყვარულში დამოუკიდებელი არჩევანის უფლება, მაგრამ ეს უნდა მოთავსდეს “ზნეობრიობის ფარგლებში”.

დიდი ადგილი დაუთმო არაბი ქალის პრობლემათა ასახვას ისა უბედმა თავის შემოქმედებაში; კერძოდ კი, ქალის, რომელსაც ქმრის ნებართვის გარეშე უფლება არ აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიიღოს მონაწილეობა. მისი ნოველის “სოფლური ტრაგედიის” გმირი ქალი ფატიმა არ ემორჩილება ახლობლების ნებას, ცოლად არ მიჰყვება საკუთარ ბიძაშვილს, რის გამოც მამა, ძმა და საქმრო კლავენ მას.

როგორც აღვნიშნეთ, არაბულ საზოგადოებაში ქალის როლი იზრდებოდა ამ ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ფონზე. ისა უბედი პირველია, რომელმაც თავისი მოთხოვნის გმირი

ქალი (“ჰიქმეთ ხანუმის დღიური”) გვაჩვენა დემონსტრაციაზე. ჰიქმეთი მონაწილეობას იღებს 1919 წლის ეგვიპტის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში და პატრიოტიზმის და სოლიდარობის გრძნობითაა გამსჭვალული. სწორედ ეს ხდება იმის მიზეზი, რომ იგი დაფიქრდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაბი ქალის როლზე და გამოთქვამს თავის უარყოფით დამოკიდებულებას არაბი ქალის უუფლებობის გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ მის მიერ გამოთქმული ეს პროტესტი მხოლოდ სიტყვებად რჩება, სინამდვილეში კი იგი ითრგუნება ტრადიციული ადამ-წესებით და მოთხრობის ბოლოს ჩანს, რომ ჰიქმეთი იძულებულია ანგარიში გაუწიოს საყვარელი დედის მოსაზრებებს და ადრე გამოთქმული პროტესტის მიუხედავად, ცოლად გაჰყვეს ოჯახის მიერ არჩეულ მდიდარ და მოხუც სასიძოს.

ისა უბედის ნოველების გმირი ქალები ორ ჯგუფად შეიძლება დავეყოთ: დედები, რომლებიც მიჩვეულნი არიან თავიანთ უუფლებობას და ქალები, რომელთა ფსიქოლოლოგიაც მკვეთრად განსხვავდება მათი დედების ფსიქოლოგიისაგან. ისინი არ ურიგდებიან ბედს და ისწრაფიან თავისუფლებისაკენ.

სოციალურ პრობლემათა სიმწვავეთ გამოირჩევა ტაჰა ჰუსეინის რომანი “გერიტის ძახილი”. ამ მოთხრობის გმირი ქალი არ არის საზოგადოების ერთი რომელიმე წრის ინტერესების გამომხატველი. აქ ავტორისაგან არანაირი მინიშნება არ ჩანს, თუ როდის ხდება მოქმედება. მთავარი მოქმედი ქალი თანდათანობით, ცხოვრების გაველენით, იწყებს საკუთარი მეს შემეცნებას და პიროვნულად ჩამოყალიბებას, პროტესტის აქტიურად გამოხატვას. მისი და სასიყვარულო ისტორიის მსხვერპლი ხდება. დედა და ბიძა კლავენ მას. ამინა შეძრულია ახლობლების საქციელით. იგი სახლიდან იპარება, მიდის ქალაქში და იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. იგი კარგად უღებს ალღოს ახალ ცხოვრებას – ცოლად მიჰყვება შეძლებულ და კულტურულ ადამიანს, იცვლის საზოგადოებრივ

მდგომარეობას და ბოლოს სახელსაც, რადგან თელის, რომ მის ახლანდელ მდგომარეობას ახალი სახელი – სუადი უფრო შეეფერება. ნაწარმოებში ყოფითი პრობლემების ფონზე ხდება მოქმედი გმირი ქალის ხასიათის ჩამოყალიბება. მიუხედავად ეგოისტური, პირადი, მერკანტილური ინტერესებისა, ქალი ნაჩვენებია პროტესტანტის როლში. იგი არ არის ბედს შერიგებული ადამიანი, ის უკვე პირადი ბედნიერებისათვის მებრძოლია [10, 78-90].

ეგვიპტელი მწერლები ცდილობენ თანამედროვე ცხოვრების პირუთვნელი სურათი მოგვცენ თავიანთ ნაწარმოებებში, რომლებშიც ასახავენ სოციალური და კულტურული ყოფის სხვადასხვა მხარეებს.

ტაჰერ ლაშინმა თავის ნოველებში აჩვენა რა შეიძლება მოუტანოს უუფლებობამ მუსლიმ ქალს. მისი ნოველის მთავარი გმირი ქალი ნაიმა ახალგაზრდა, ლამაზი და სულიერად მდიდარია. მის ამ თვისებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს ავტორი. თუმცა, ნაიმას ქმარი სულაც არ აფასებს მის ამ თვისებებს და მას მხოლოდ ცოლის ქონება ხიბლავს. ნაიმას მთელი ცხოვრება ერთი გაბმული ტანჯვაა, კანონი კი არ აძლევს გაყრის უფლებას. ნაიმა ტოვებს ქმარს, მაგრამ იგი იძულებულია ან დაბრუნდეს ოჯახში, ან ურჩობისათვის სასჯელი აირჩიოს. ქალი უკიდურეს ნაბიჯს დგამს: ჯერ დელატობს ქმარს და შემდეგ უბრუნდება. მწერალი ამით ხაზს უსვამს, რომ ქალის უუფლებობამ იგი შეიძლება უზნეობამდე მიიყვანოს.

განსაკუთრებით საინტერესოა მაჰმუდ ლაშინის რომანი “ევა ადამის გარეშე”. მწერალი თავის შემოქმედებაში დიდ ყურადღებას უთმობს ქალთა საკითხს და ასახავს იმ ცვლილებებს, რომელიც არაბი ქალის ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში ხდება XX ს.-ის პირველ ნახევარში. ლაშინის რომანში ყველაზე საინტერესოა მთავარი გმირი ქალის სახე, რადგან იგი ბევრად უფრო ახალი და თავისუფალია ვიდრე მის წინამორბედ ნაწარმოებებში. უნდა აღინიშნოს, რომ “განმანახლებელთა” შემოქმედებაში, კერძოდ პროზაში, ქალთა სახეები

არ იყო ნაჩვენები მთელი ცხოვრების განმავლობაში, არამედ ასახული იყო მათი ცხოვრების გარკვეული მომენტები და აქედან გამომდინარე, ქალთა ხასიათი არა სრულად, არამედ ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი. ამ რომანში კი პირიქითაა.

ღარიბ ოჯახში დაბადებული ევა ნიჭიერი და ენერგიული ქალია, რომელიც ასევე მოკლებული არაა გარკვეულ პატივმოყვარეობას. იგი სოციალური კიბის მაღალი საფეხურებისაკენ მიიწევს მიზანმიმართულად. მოქმედებს მხოლოდ საკუთარი ნიჭიერების წყალობით. ევა ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებისას აწყდება სოციალური უთანასწორობის მწარე შედეგებს, მაგრამ სწორედ ეს აძლევს სტიმულს და სულიერ სიმტკიცეს, რომ მომავალში შეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა. ევა მასწავლებელი ხდება. იგი აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მან კარგად იცის, რომ არაბი ქალისათვის განათლება აუცილებელია თუ უნდა, რომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიოს საზოგადოებაში. მისი სახით რომანში წარმოდგენილია არაბი ქალი, რომლის ცხოვრება არ არის შემოფარგლული მხოლოდ ოჯახით. თუმცა, გარკვეულ მომენტამდე ევას ცხოვრებაში ჩნდება მდიდარი და განათლებული მამაკაცი, რომლის სიყვარული მთლიანად ცვლის მის ცხოვრებას. მან კარგად უწყის, რომ თვითონ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ მისი სიყვარული, განათლება, ნიჭიერება გადააღახბინებს ამ ბარიერს. სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ევა იმედგაცრუებული, გულგატეხილი და შეურაცხყოფილი რჩება. მისი ყველა ღირსება იგნორირებულია, მისთვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა და მანაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც ვხედავთ, რომანის გმირი ქალის სახე წარმოადგენს ცოცხალ, ყოველმხრივ რეალური ადამიანის ხასიათს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. აქ არაბი ქალის სრულიად ახალი განსხვავებული სახეა წარმოდგენილი. ევას გზა რომანში, ეს არის

გზა უბრალო არაბი ქალისა, რომელიც ახერხებს გარკვეულად გასცდეს ოჯახის ფარგლებს, გამოვიდეს საზოგადოებაში. ის გარკვეულწილად არის “ახალი ქალი”, რომლის შესახებაც წერდა კასიმ ამინი (1865-1908) თავის წიგნში “ახალი ქალი”. [7, 96]. ევა არ გაეს იმ ქალებს, რომლებიც პროტესტის გარეშე, უსიტყვოდ ურიგდებიან ბედს (მაგ. მაჰმუდ თეიმურის “ნაჯია”, “ქალბატონი თავადუდი”, ჰიქალის”ზეინაბი” და სხვ.), იგი ასევე განსხვავდება უბეიდის გმირის, ჰიქმეთისაგან, რომელიც ბოლომდე ვერ აცნობიერებს და ვერ უმკლავდება დრომოჭმულ ტრადიციებს. ევა ასევე განსხვავდება ტაჰა ჰუსეინის მოთხრობის გმირის სუადისაგან, რომელიც აქტიურად იბრძვის მხოლოდ საკუთარი ბედნიერებისათვის. ევას სახე საინტერესოა იმიტომაც რომ, მისი სახით ავტორმა ერთ-ერთმა პირველმა გვაჩვენა სახე არაბი ქალისა, რომელიც ძლიერი პიროვნებაა. მართალია, მან ვერ შეძლო განეგო თავისი ბედი, თავისი მიზანსწრაფულობით მიეღწია სასურველი შედეგისათვის, მაგრამ ევამ მაინც შეძლო ის, რომ თავად მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება. მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე (აღსანიშნავია, რომ აქამდე გმირი ქალები იღუპებოდნენ ავადმყოფობით, ან მამისა და ძმის ხელთ, რომლებიც ურჩობისათვის სჯიდნენ მათ).

რაც შეეხება რომანის სათაურს “ევა ადამის გარეშე”, აქ ხაზგასმულია, რომ ქალების სრული დამოუკიდებლობა მითია, მისი მამაკაცის გარეშე არსებობა შეუძლებელია.

ასევე საინტერესოა მაჰმუდ თეიმურის მოთხრობის “ნაჯიას” გმირი ქალის ისტორია. იგი ოჯახიდან გამოაგდეს უზნეობისათვის. მუსლიმური სამართლის მიხედვით ქალი ასეთი საქციელისათვის მკაცრად ისჯება. რა თქმა უნდა, მისი საქციელით აღშფოთებულია ოჯახი. ათი წლის შემდეგ მძიმედ დაავადებული ნაჯია მამასთან ბრუნდება. მამა მტანჯველი განსჯის შემდეგ აპატიებს შვილს, თუმცა, ეს უკვე გვიანი სინანულია. მამა მხოლოდ შვილის სიკვდილის შემდეგ

გაიაზრებს, რომ მისი ოჯახი ბრმა რწმენის და მორჩილების მსხვერპლია.

არაბული საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი წლებთან ერთად იცვლებოდა. აღწვრილობა და დიდაქტიკა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო 20-30-იანი წლებისათვის, მოგვიანებით სოციალურ ფსიქოლოგიზმამდე მივიდა. განახლება ეგვიპტური პროზის ძირითად პრინციპად რჩებოდა და ახალგაზრდა მწერლები, რომელთაც სურდათ ხაზი გაესვათ თავიანთი განსხვავებულობისათვის, “ახალი სკოლის”, რეალიზმის, სენტიმენტალიზმისა და აღწვრილობისათვის, 50-იან წლებში თავიანთ თავს “ახალ რეალისტებს” უწოდებენ. 60-იან წლებში კი ისევ განახლების ლოზუნგით ეგვიპტურ პროზაში “ახალი ტალღა” ჩნდება. საზოგადოებრივ განწყობილებათა ცვლა აისახა 50-იანი წლების ლიტერატურაში. საინტერესოა დამოკიდებულება ქალთა საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, სულაიმან ფაიადი აგრძელებდა რა “ახალი რეალისტების” ტრადიციებს, წერდა უბრალო ხალხის ბედზე. მაგ: მოთხრობაში “იუდა” მან შექმნა არაბულ ლიტერატურაში იშვიათი სახე ქალისა, რომელიც არა თუ არ ურიგდება საკუთარ ბედს, არამედ მამაკაცური სიმტკიცით ცდილობს დაიცვას საკუთარი უფლებები. ახალგაზრდა გლეხის ქალი, ნაბავია წინ აღუდგება სოფელში ყველაზე მდიდარი და გავლენიანი კაცის - ჰაჯი მუჰამედის ნებას, თუმცა აღმოჩნდება, რომ ნაბავია განწირულია, რადგან ჰაჯი მუჰამადის მიერ მოსყიდულმა საკუთარმა შეყვარებულმა, რაშიდმა გაყიდა. ნაბავია იღუპება, მაგრამ ბოლომდე ინარჩუნებს სულიერ სიმტკიცეს.

ასევე საინტერესოა ამავე პერიოდის მწერლის საბრი მუსას მოთხრობა “აეტოზუსში დაწყებული ისტორია”. აქ გადმოცემულია თანამედროვედ მოაზროვნე ქალისა და მამაკაცის სიყვარულის ისტორია. უნივერსიტეტდამთავრებული, ევროპული ტრადიციების მოტრფიალე კაცი ოცნებობს ნამდვილ სიყვარულზე, რომელიც

შეიძლება ერთადერთ ქალთან იყოს დაკავშირებული. მამაკაცი ხედება ასეთ ქალს, მაგრამ ქალი არ ეკუთვნის იმ წრესა და საზოგადოებას, რომელზეც ის ოცნებობდა. მიუხედავად მამაკაცის თანამედროვეობისა, იგი მაინც ვერ დგამს გადამწყვეტ ნაბიჯს; იგი მხოლოდ გარეგნულად აღმოჩნდა “ცივილიზებული”, სინამდვილეში კი მისი ყოფა რეგლამენტირებულია ტრადიციებით. მამაკაცი იმ ფენის წარმომადგენელია, რომელშიც მიმდინარეობს ბრძოლა ახალსა და ძველს, ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის. მოთხრობის გმირებს არა აქვთ სახელები, მწერალი ამით მიანიშნებს, რომ ისინი ამ საზოგადოებაში გამოწვევის სხვა არ წარმოადგენენ, არამედ საერთოდ გამოხატავენ იმ საზოგადოების ნიშნებს, რომელიც მხოლოდ გარეგნულადაა შენიღბული თანამედროვეობის ნიღბით.

ქალთა საინტერესო სახეებია წარმოდგენილი ნაჯიბ მაჰფუზის რომანებში. მისი ნაწარმოებების გმირი ქალები შეიძლება ორ ჯგუფად დავეყოთ: ერთნი, რომლებიც ურიგდებიან საკუთარ ბედს და არ არიან პროტესტანტები. მეორენი კი სხვა პოზიციას ირჩევენ. საკუთარი გრძნობების შესაბამისად მოქმედებენ და თავისუფალ არჩევანს აკეთებენ. ასეთია მაგალითად, ერთ-ერთი მისი გმირი ქალი – რაბაბი, რომელიც ღალატობს ქმარს, იმიტომ რომ არ უყვარს. საბოლოოდ რაბაბი იღუპება. ავტორი თითქოს გამოხატავს პოზიციას ქალის გადამეტებული თავისუფალი ქცევის გამო. იგი თვლის, რომ მუსლიმური საზოგადოებისათვის მიუღებელია ქალი, რომელიც არის თავდაჯერებული და თავისუფალი, რომელიც თავისი გავლენის ქვეშ აქცევს მამაკაცს.

ნაჯიბ მაჰფუზის რომანი “სასტუმრო მირამარი” 60-იანი წლების ეგვიპტის საზოგადოებრივ ყოფას წარმოადგენს. ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირია უბრალო სოფლელი გოგონა ზუჰრა, რომელიც გამოირჩევა თავისი მტკიცე ხასიათით და არაჩვეულებრივი სილამაზით. იგი მოძველებულ, ტრადიციულ შეხედულებებს წინ

აღუდგა, როდესაც არ დაემორჩილა ოჯახის ნებას და უარი განაცხადა ცოლად გაპყლოდა ბევრად უფროს მამაკაცს. იგი ქალაქში გარბის და იქ იწყებს დამკვიდრებას. იგი არ მიეკუთვნება იმ ქალთა კატეგორიას, რომლებიც ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ წინსვლას. ზუპრა ცდილობს მიიღოს განათლება და ამ მიზნის განსახორციელებლად თავისი ხელფასის დიდ ნაწილს ხარჯავს კერძო გაკვეთილებზე. ის უბრალო ხალხის წრიდანაა და თანდათან თავისი პატიოსნებისა და შრომის წყალობით იმკვიდრებს თავს საზოგადოებაში. მისი სახით მწერალმა, გარკვეულწილად, იმ ქალის სახე წარმოადგინა, რომელიც შემდგომში ეგვიპტის მომავალს წარმოადგენს.

ნაჯიბ მაჰფუზის ნაწარმოებებში ქალი ყოველთვის რჩება ქალად, ღარიბი თუ მდიდარი, განათლებული თუ გაუნათლებელი. მისი ნაწარმოებების გმირი ქალები ხშირად იღუპებიან და მწერალი თვლის, რომ მათი დაცემის და დაღუპვის მიზეზი უმეტესწილად ის სოციალური გარემოა, რომელშიც მათ უწევთ ყოფნა. ამას ემატება მუსლიმური საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი.

უნდა აღინიშნოს რომ, არაბი მწერალი მამაკაცების უმრავლესობა სკეპტიკურადაა განწყობილი თავდაჯერებული, შეუზღუდავი და დამოუკიდებელი ქალებისადმი. მათი მოთხოვნებისა და ნოველების უმეტესობა ასახავს მამაკაცის კონსერვატიულ ტიპს, რომელიც შეპყრობილია შიშით, როდესაც აწყდება განათლებულ, დამოუკიდებელ ქალს. ამავე დროს მის მოწონებას იმსახურებს ქალი, რომელიც დამჯერე, მორჩილი და დაბალი წრიდან არის. მათთან დედა სიმბოლოა დიდი და კეთილშობილური სიყვარულის. იმ დროს, როდესაც თავისუფლად მოაზროვნე ქალი, რომელიც არ ემორჩილება ტრადიციებს, კანონებსა და აქტიურია, ძირითადად დამცირებული სიყვარულის სიმბოლოდაა მიჩნეული.

არაბი ქალი აქტიურად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში და ტოვებს ოჯახს. ამ მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე არაბულმა ლიტერატურამ დაიწყო იმ პრობლემების განხილვა, რომელიც თითქმის ტიპიურია არაბული ყოფისათვის. მიუხედავად იმისა, რომ არაბი მამაკაცი თანახმაა ქალებმა გაიკეთონ თავიანთი კარიერა, ისინი ფიქრობენ, რომ ქალისათვის ის უნდა იყოს მხოლოდ მეორადი ფუნქცია. ყველა ქალისთვის უპირველესი უნდა იყოს ოჯახი. იდეალური ქალი არაბ მწერალთა შემოქმედებაში არის მშვენიერი, ანგელოზივით მშვიდი და მორჩილი ქალი, რომელიც არ იჩენს რაიმე ამბიციებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა თანამედროვე ეგვიპტელი მწერალი ქალი ნავალ ას-სა'დავის მოსაზრება როცა ამბობს: "არაბ ავტორებსა და მამაკაცებს, იქნება ეს წარსულსა თუ აწმყოში, არ შესწევდათ უნარი ღრმად ჩასწვდომოდნენ არაბი ქალის მორალურ ტრაგედიასა და მაშასადამე, არ შეუძლიათ გამოხატონ ნამდვილად ღირებული ქალთა საკითხთან დაკავშირებით." სულ სხვა სახითაა წარმოდგენილი არაბი ქალი მწერალ ქალთა შემოქმედებაში (ბინთ აშ-შატი, ამინი საიდი, ლატიფა აზ-ზაიათი და სხვ.). მათ ნაწარმოებებში წარმოდგენილია ახალი ქალის სახე, რომელიც არის განათლებული, მაღაზნეობრივი, თავდადებული, სიყვარულისა და თვითდამკვიდრებისათვის მებრძოლი, რომელთა პიროვნული ბედნიერება თუ ტრაგედია ხშირად, სწორედ მამაკაცთა დამოკიდებულებით არის განპირობებული.

დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა საკითხი არაბულ სამყაროში დღესაც აქტუალურია და მისი გადაწყვეტა ძნელად მიმდინარეობს. მართალია, შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ რთულია იმ ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა ისლამურ სამყაროში. სწორედ ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია ასახული თანამედროვე არაბულ პროზაში.

თავი III - ქალის სახე სუად აღ-საბაჰის შემოქმედებაში

3. 1. სუად აღ-საბაჰის ცხოვრება და მოღვაწეობა

სუად აღ-საბაჰი თავის სამშობლოში - ქუვეითში, და საერთოდ არაბულ სამყაროში, შეიძლება დავახასიათოდ როგორც ქალი-მოღვაწე. იგი მაღალ, არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნის. მამა მუჰამად საბაჰ აღ-საბაჰი თავისი დიდი წინაპრის შვიხ მუჰამად აღ-საბაჰის სახელს ატარებდა, რომელიც 1892-1896 წლებში ქუვეითს მართავდა.

სუად აღ-საბაჰი დაიბადა 1942 წელს. თავდაპირველად ქუვეითში სწავლობდა, ხოლო უმაღლესი განათლების მისაღებად ეგვიპტეში გაემგზავრა და 1973 წელს დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. პირველი ქუვეითელი ქალია, რომელსაც ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა ინგლისის სარის უნივერსიტეტში 1981 წელს. სადოქტორო დისერტაციის თემა შეეხებოდა ქუვეითის ეკონომიკის დაგეგმვისა და განვითარების საკითხებს და მასში ქალის როლს. როგორც ცნობილია, ქუვეითის ეკონომიკის სწრაფი ზრდა და განვითარება ნავთობმა განაპირობა. შესაბამისად საჭირო გახდა, რომ ქუვეითელი ქალიც ჩაბმულიყო საზოგადოებრივ შრომაში. აღსანიშნავია, რომ არაბულ სამყაროში ქალთა პრობლემის კვლევა მისი შემოქმედების მთავარ საკითხად იქცა.

1960 წელს იგი დაქორწინდა შვიხ აბდ აღ-ლაჰ მუბარაჰ აღ-საბაჰზე, რომელიც ქუვეითის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო.

სუად აღ-საბაჰი რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციისა და საზოგადოების წევრია. ესენია: ლონდონში დაარსებული არაბული კულტურის ინსტიტუტი, ქუვეითელ ემიგრანტ ქალთა და ჟურნალისტთა ასოციაცია, არაბულ სამყაროში ადამიანის უფლებათა დაცვის

ორგანიზაცია, ქუვეითში განათლების გამაერცვლებელი ორგანიზაცია, მუსლიმ ქალთა მსოფლიო ორგანიზაცია, იარმუქის უნივერსიტეტში ებრაული კვლევის ცენტრი, ამანში არაბული ინტელექტუალური აზროვნების ცენტრი, არაბულ სამყაროში ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია, ოჯახის დაგეგმვისა და განვითარების საერთაშორისო გაერთიანება, ამერიკა-ქუვეითის მეგობრობის ასოციაცია და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი, ამავ დროს, იკვლევს ახლო აღმოსავლეთში ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებს, დიდ ყურადღებას უთმობს არაბულ სამყაროში ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხს.

ლექსების წერა დაიწყო ადრეულ ასაკში და 1961 წელს პირველი კრებული გამოსცა. 1971 წელს კი გამოვიდა მისი პოეტური კრებული “ნატვრა”, რომელშიც უკვე ხმამაღლა განაცხადა, რომ არაბულ სამყაროს მოველინა ნიჭიერი პოეტი ქალი, რომელმაც თავიდანვე აუწყა საზოგადოებას, რომ ის არის ქალი, “რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს წარსულის პირობითობას და რომელიც, თავისუფლების გემით ცურავს, ვიდრე არ ჩაიძირება”.

1972 წელს გამოვიდა მისი მომდევნო კრებული “შენთვის, ჩემო შვილო”, რომელიც ეძღვნებოდა შვილის ხსოვნას ოცდაათი წლის ასაკში რომ დაკარგა და მასზე მწუხარებით იყო გამსჭვალული. მისი ყველაზე ცნობილი და შემოქმედებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კრებულება 1976 წელს გამოსული “ქალის ნამცეცები”. მასში ლექსები დაწერილია პროზად, მათ გვერდით კი გვხვდება გართმული კასიდებიც. ამ კრებულში, პირველად მის შემოქმედებაში; მოცემულია ჯანჯი იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც მამაკაცმა შექმნა ქალის გარშემო და ცნობილია “ახალი ქალის” სახელით, შემდგომში პოეტი ქალი კიდევ მრავალგზის უბრუნდება ამ საკითხს. მას უძღვნის კრებულს “პირველად იყო ქალი”, რომელმაც მას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

გამოქვეყნებული აქვს პოეტური კრებულები და წიგნები: “ადამიანის უფლებები თანამედროვე სამყაროში” (حقوق الإنسان في العالم في المعاصر), “წამები ჩემი ცხოვრებიდან” (لحظات من عمري 1964), “ნატურა” (1971, أمنية), “შენთვის, ჩემო შვილო” (1972, اليك يا ولدي), “ქალის ნამცეცები” (1986, فتايات امرأة), “პირველად იყო ქალი” (1988, في البدء كانت الانثى), “ვარდისა და თოფის დიალოგი” (1990, حوار الورد والبنافق), “უკანასკნელი მახვილი” (1992, اخر السيوف), “სიყვარულის ლექსები” (1992, قصائد حب), “ქალი ნაპირების გარეშე” (1994, امرأة بلا سواحل), “ელვა-დეპეშები სამშობლოს” (1994, برقيات هل تسمحون لي), “ნებას მომცემთ მიყვარდეს სამშობლო?” (1994, عاجلة الى وطني), “წამიყვანე მზისკენ” (1997, خذني الى حدود الشمس), “ქალი ლექსია და ლექსია ქალი” (1999, القصيدة انصى والانثى قصيدة), “რჩეული კრებული” (2003, مختبرات مقترحة).

ორმოცწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში მისი ლექსები ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, სპარსულ, ქართულ და სხვა ენებზე.

ქართულ ენაზე ითარგმნა მისი პოეტური კრებული “პირველად იყო ქალი”, რომელიც 1987 წელს გამოვიდა. მთარგმნელები არიან: ლადა ჯავიში და მარინა თხინვალელი. ასე გაეცნო ქართველი მკითხველი სუად ალ-საბაჰის შემოქმედებას. პოეტმა ბესიკ ხარანაულმა მისი თარგმანის წინასიტყვაობაში ასეთი შეფასება მისცა მას: “სუად ალ-საბაჰი არის ქალი – პოეტად გამეტებული.”

მრავალი სტატია და გამოკვლევა იბეჭდება მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ. სუად ალ-საბაჰის ლექსების თარგმანი პირველად ინგლისურ ენაზე შესრულდა და იგი თარგმნა ნუჰად სალიჰათმა, რომელიც კაიროს ხელოვნების აკადემიის უმაღლესი ინსტიტუტის დეკანია. ამის შემდეგ, 1990 წელს ინგლისურ ენაზე ითარგმნა მისი კრებული “ქალის ნამცეცები”, რომელსაც წინასიტყვაობა დაურთო სამირ სარჰანმა. 1992 წელს ბეირუთში გამოდის ფადილ ხალაფის წიგნი, რომელიც პირველ გამოკვლევას

წარმოადგენს სუად ალ-საბაჰის შემოქმედების შესახებ. 1992 წელს პარიზში ლუიზა მალიქის, ასმაჰან ბადირ საიდავის გამოკვლევები იბეჭდება, ხოლო ამის შემდეგ გამოდის მუჰამად ათ-თუნჯის, ბაიარ რიშას, ნაბილ რაბიღის, საიდ ფარჰანის, ბილალ ხაირ ბექის, ფადლ ამინის, მაჰმუდ ჰაიდარის, აბდ ალ-ლატიფ ალ-არნაუტის, ბურჰან ბუხარის, ისმაილ მერვის, მუფიდ ფავზის და მუჰამად ანანის გამოკვლევები. მისი შემოქმედების შესახებ სისტემატურად იბეჭდება სტატიები. მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ის არის მწერალი და მოღვაწე, რომლის შემოქმედების მთავარი თემა არის ადამიანთა, და კერძოდ, ქალთა უფლებები არაბულ სამყაროში. მისი ყურადღება სწორედ ქალთა პრობლემებისადმი მიპყრობილი, რომელიც აქტუალური იყო და არის არაბული საზოგადოებისათვის. მის შემოქმედებაში ქალთა საკითხი განიხილება საერთო ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან მიმართებაში.

სუად ალ-საბაჰის პოეზია პოპულარულია თანამედროვე არაბულ სამყაროში. ეს ინტერესი მის მიმართ გამოწვეულია, მისი, როგორც პოეტი ქალის შემოქმედებით, ასევე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და იმ წვლილის გამო, რომელიც მას შეაქვს თანამედროვე არაბულ სამყაროში ქალთა უფლებების და არაბ ქალთა ლიტერატურის განვითარების საქმეში.

სუად ალ-საბაჰმა დაარსა “სუად ალ-საბაჰის გამომცემლობის სახლი” და საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ახალგაზრდა შემოქმედთათვის ყოველწლიურად აწესებს პრემიებს. 1988 წლიდან 8 განსხვავებული ტიპის პრემია იქნა დაწესებული ხელოვნების სხვადასხვა დარგში. მათ შორის, სუად ალ-საბაჰის სახელობის პრემია ლიტერატურისა და ფილოსოფიის დარგში. აღნიშნული ღონისძიება მიმართულია საერთოდ, არაბული კულტურის აღორძინებისა და განვითარებისათვის. რაც მთავარია, იგი დაუღალავად იბრძვის არაბულ სამყაროში ადამიანთა და კერძოდ, ქალთა უფლებებისათვის.

სუად ალ-საბაჰი XX ს.-ის იმ მწერალ ქალთა წარმომადგენელია, რომელთა პოეზიაში მკაფიოდ ვლინდება ის ტენდენციები, რაც დამახასიათებელია ამ პერიოდის არაბული სამყაროსათვის ქალთა საკითხთან დაკავშირებით.

ქალთა მწერლობის დასაწყისი არაბულ სამყაროში უშუალოდ უკავშირდება ქალთა განათლებას და მის გავრცელებას, ასევე, პრესის განვითარებას. ეს ეხება სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყნებსაც და მათ შორის ქუვეითსაც. ქალთა მწერლობის განვითარება აქ იწყება XX ს.-ის მეორე ნახევრიდან. ქუვეითში პოეზიის განვითარება უშუალოდ სუად ალ-საბაჰის სახელთანაა დაკავშირებული.

თავის დროზე ვირჯინია ეულფი ცნობილ ესეში “საკუთარი ოთახი” აღნიშნავდა: “კარგი წიგნების წერას ჭირდება თავისუფალი დრო, ხოლო წარსულში მცხოვრებ არც ერთ ქალს არ ჰქონია საკუთარი ცხოვრება, არც თავისუფლება და შესაძლებლობა, ეკეთებინა ის, რაც ყველაზე უკეთ შეეძლო”. იგივე შეიძლება ვთქვათ, როცა სუად ალ-საბაჰის პოეზიაზე ვსაუბრობთ. საბედნიეროდ, მას აქვს თავისუფალი დრო, საკუთარი ცხოვრება, თავისუფლება და შესაძლებლობა აკეთოს ის, რაც ყველაზე უკეთ შეუძლია. ეს კი მისი პოეტური შემოქმედებაა.

3. 2. ქალის სახე სუად ალ-საბაჰის შემოქმედებაში

სუად ალ-საბაჰი XX ს.-ის 70-იან წლებში გამოდის შემოქმედებით ასპარეზზე. ეს პერიოდი არაბ მწერალ ქალთა შემოქმედებაში გარდამტეხი მომენტია. ფაქტიურად ეს არის გარდამავალი პერიოდი, როცა არაბულ საზოგადოებაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლით გამოწვეული ეიფორია გავლილია. არაბულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ხდება კონსერვატიული რადიკალიზმის ტენდენციების აღორძინება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში შარიათი ბატონობს.

არაბული აზროვნება კონსერვატიზმის ნიშნით ვითარდებოდა და ქალთა საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც XX ს.-ის 20-30-იან წლებში განიხილებოდა XX ს.-ის მეორე ნახევარში უფრო მკვეთრად და რადიკალურად დაისვა; შეიმჩნეოდა უკვე მოპოვებული პოზიციების დათმობა. ცნობილი ეგვიპტელი ფილოსოფოსი ზაჰი ნაჯიბ მაჰმუდი ამის შესახებ წერდა: „ჰუდა შა'რაჰის დროინდელი ქალები უფრო პროგრესულად აზროვნებდნენ, ვიდრე დღეს მათი შვილები და შვილიშვილები. ახლა ახალგაზრდა ქალები სახეს იფარავენ და მკაცრად იცავენ ტრადიციებს“. ეს კი ნიშნავს, რომ ჰუდა შა'რაჰის პერიოდის ქალები უფრო განათლებულნი და უფრო ემანსიპირებული იყვნენ.

ამ წლებში არაბულ საზოგადოებაში ღრმადება კრიზისი, რომელიც მოგვიანებით პიროვნებასა და საზოგადოებას შორის იჩენს თავს. ახალ თაობაში ხდება ძველი ღირებულებების გადაფასება, ყალიბდება თვისობრივად ახალი ურთიერთობები საზოგადოებასა და პიროვნებას შორის. საზოგადოება განიცდის ძველი იდეალების დამარცხებას. იზრდება რეალობასა და წარმოსახვას შორის დიდი ზღვარის შეგრობება. ეს კი არაბულ სამყაროში გულგატეხილობისა და ნიჰილიზმის მიზეზი ხდება. ახალ დროში აუცილებელია ახალი

ზნეობრივი ორიენტირების პოვნა, რომელიც საზოგადოების შემობრუნებას უზრუნველყოფს.

ღირებულებათა გადაფასება შეეხო ქალთა საკითხსაც. ამ პერიოდის ლიტერატურაში ყალიბდება ინტელექტუალური გმირის სახე, რომელიც გამოხატავს პირად „მეს“. იგი როგორც წესი, მიმართულია საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ტრადიციული ფორმების წინააღმდეგ, რომლებიც პირად თავისუფლებას ზღუდავს. თუმცა, ეს უქმყოფილება არ გადადის ჯანყში. იმიტომ კი არა, რომ წინააღმდეგობა არის ძლიერი, არამედ ბრძოლის უუნარობის გამო. მათი ბუნტი მხოლოდ „უარყოფის ბუნტი“, რომელიც რეალურად უშედეგოა.

ამ პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოსული არაბი მწერალი ქალები ცდილობენ თავიანთ შემოქმედებაში ქალთა საკითხები დააყენონ წინა პლანზე და დროისა და ვითარების შესაბამისად, კიდევ ერთხელ, შეახსენონ არაბულ სამყაროს, რომ თანამედროვე ქალი არაბული საზოგადოების აქტიური და სრულუფლებიანი წევრია, თუმცა იგი ჯერ კიდევ არაა გათავისუფლებული ტრადიციული წესჩვეულებებისა და დოგმათა ტყვეობიდან.

სუად ალ-საბაჰის შემოქმედებითი მოღვაწეობა ქალთა საკითხითაა შთაგონებული. პოეტი თავად არის „ახალი ქალი“, რომელიც ცხოვრობს, იღწვის, იბრძვის ქალთა უფლებებისათვის და თავისი მოღვაწეობით ორიენტირს წარმოადგენს სხვათათვის.

მის შემოქმედებაში ქალთა საკითხი განიხილება ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ფონზე. სუად ალ-საბაჰის პოეტური კრებულების სათაურშივეა გამოტანილი ის პრობლემა, რომელზეც საუბრობს პოეტი: „ქალის ნამცეცები“, „ქალი ნაპირების გარეშე“, „პირველად იყო ქალი“, „ქალი ლექსია და ლექსია ქალი“. ქალი სუად ალ-საბაჰის პოეზიაში არის ათელის წერტილი, საწყისი. ის მამაკაცისათვის შესაძლებლობების გამოვლენის ასპარეზია.

პოეტი ქალი პოეზიაში თავიდანვე განსაზღვრავს ქალის მთავარ მახასიათებელს. ქალი გამორჩეული უნდა იყოს ინდივიუალიზმის ნიშნით, რაც XX საუკუნის ახალი არაბული ლიტერატურის მთავარ მსოფლგაგებას შეესაბამება.

ჯერ კიდევ XIX ს.-ის ბოლოს და XX ს.-ის დასაწყისში არაბულ სამყაროში ჩნდება მისთვის სრულიად უცნობი ღირებულება ადამიანის პიროვნული თავისუფლებისა. როგორი უნდა იყოს პიროვნების როლი და ადგილი საზოგადოებაში, როგორ გამოავლენს პიროვნება თავისუფალ ნებას, როგორია პიროვნული თავისუფლების მიღწევის გზები; რა როლს შეასრულებს ქალი არაბულ საზოგადოებაში, შეძლებს თუ არა იგი ჩამოყალიბდეს პიროვნებად და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად? ეს საკითხები აქტიურად განიხილება XIX ს.-ის დამდეგიდან. არაბულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ყალიბდება აზრი, რომ ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პირობებში უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ქალი, ახალი მსოფლგაგებითა და ახალი ცხოვრების წესით, მაგრამ მხოლოდ საზოგადოების მიერ მიღებული ზნეობრივი ნორმების ფარგლებში. მართალია, ქალის განთავისუფლება წარსულის პირობითობისაგან აუცილებელია, მაგრამ ამავე დროს იგი რეგლამენტირებულია ისლამით.

სუად ალ-საბაჰის პოეზიის გმირი თანამედროვე, ინტელექტუალური ქალია, რომელსაც თან სდევს საკუთარი თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლის წარსულიდან მომდინარე გამოცდილება და მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ.

სუად ალ-საბაჰი პოეზიაში ქმნის ლირიკული გმირის - ქალის ზოგად სახეს, რომელიც გარკვეულწილად პოეტს - ავტორს გავს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ავტორის პერსონაჟთან იდენტიფიკაციის შემთხვევასთან. ამიტომ, მისი პოეზიის გმირი ქალი სწორედ პოეტის მიწრაფებების, მისი მსოფლმხედველობის გამომხატველია. ამრიგად,

ქალის სახეში ავტორის მიერ ხდება საკუთარი თავის იდენტიფიკაცია. ქალის სახე იქმნება პოეტის თხრობით. ქალი გვიამბობს ქალზე. ქალი მონოლოგის ფორმით გვიამბობს მამაკაცზე. ქალი წარმოდგენილია ოცნებაში წარმოსახული სატრფოს - მამაკაცის ფონზე. რეალური სურათი სუად, ალ-საბაჰის პოეზიაში იქმნება ქალის სუბიექტური შეგრძნებებით. აქ უნდა გავიხსენოთ როგორ აღნიშნავდა ლიბიბა პაშიმი განსხვავებას მწერალ ქალსა და მამაკაცს შორის რეალობის ასახვასთან დაკავშირებით: „მამაკაცი წერს რასაც ხედავს და იცის, ქალი წერს, რასაც გრძნობს.“

ქალის სახის შესაქმნელად სუად ალ-საბაჰი საკუთარ ხერხს იყენებს. ქალი მონოლოგით საუბრობს მამაკაცზე, მამაკაცთან მისი ურთიერთობის ფონზე კი ყალიბდება ქალის სახე. პოეტი ქალი არასოდეს მიმართავს ქალის დახასიათებას. მისი სახის ჩამოყალიბება ხდება მკითხველის ცნობიერებაში. სუად ალ-საბაჰის პოეზიაში ქალის და მამაკაცის სახე იქმნება ქალის თხრობით. გმირი ქალის სახის შექმნის და წარმოდგენის ხერხი გარკვეულწილად ორიგინალური და არატრადიციულია.

ახალ არაბულ პოეზიაში ნიზარ კაბანი იყო პირველი, რომელმაც წარმოაჩინა თანამედროვე არაბი ქალის სახე თავისი ყოველდღიური და სისხლსავე ცხოვრებით. ეს იყო თავდაჯერებული, თავისუფალი და ინტელექტუალური ქალი, რომელიც თავისუფლად გამოხატავდა გრძნობებს. სუად ალ-საბაჰის პოეზიაში გმირი ქალი გარკვეულწილად განსხვავებულია. რადგან ნიზარ კაბანის პოეზიაში ეს არის ქალი, რომლის შესახებ საუბრობს ავტორი, სუად ალ-საბაჰის პოეზიაში კი ქალი თავად არის რელობის აღმქმელი; პიროვნება, რომელიც თავად წარმოგვიდგენს მამაკაცის სახეს.

სუად ალ-საბაჰის პოეზიის ქალი უკვე არის ინდივიდი. ინდივიდუალიზმი სუად ალ-საბაჰისათვის ქალის მთავარი ღირსებაა, რომლის შესახებაც ავტორი აღნიშნავს: „ადამიანი არ შეიძლება იყოს

მხოლოდ გვარი და სახელი, ან მხოლოდ სოციალურ არსება. ადამიანი არის პიროვნება, რომელიც მუდმივად მიისწრაფვის, რათა თავი დააღწიოს მიწიერ სამეფოს". მისთვის უმთავრესია იყოს თავისუფალი და თვითრეალიზაცია მოახდინოს სიყვარულის საშუალებით.

XX ს.-ის არაბული საზოგადოებისათვის მიუღებელია ქალის სწრაფვა თავისუფლებისაკენ და ასევე მისი განხორციელების გზები. ქალი სუად ალ-საბაჰის პოეზიაში არაბი ქალის განზოგადებული სახეა, რომელიც, როგორც ინდივიდი, ცდილობს არ დაემორჩილოს საზოგადოების მიერ პიროვნებისათვის მიუღებელ დადგენილ ნორმებს. ქალი ცდილობს გამოხატოს პროტესტი და ეს პროტესტი აღქმულ იქნას მოწინააღმდეგე მხარის მიერ. ქალი გამოხატავს პროტესტს საზოგადოების წინააღმდეგ, მაგრამ კონკრეტულად მამაკაცს არ უპირისპირდება, რადგან თვლის, რომ მამაკაცმა და ქალმა ერთად უნდა იზრუნონ ქალისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაზე.

“შენ და მე, უნდა გაუწინოთ კანონიერება სიყვარულს - ესაა სუად ალ-საბაჰის გმირი ქალის უპირველესი საზრუნავი”.

ქალი აცხადებს პროტესტს იდეის, აზრის, სიტყვის დონეზე. იგი ცდილობს ქალის შესახებ არაბულ საზოგადოებაში შექმნას გარკვეული აზრი და შემდეგ დაიწყოს იდეის პრაქტიკული განხორციელება.

სუად ალ-საბაჰის პოეზიაში ქალი არ უპირისპირდება მამაკაცს, არამედ მის გვერდითაა, როგორც მისი თანასწორი, მიუხედავად იმისა, რომ არაბი ქალი მამაკაცის მიერ არ არის აღიარებული თანასწორად და თანაბარუფლებიანად. ქალმა იცის რეალურად არსებული მდგომარეობა მუსლიმურ სამყაროში, მაგრამ მისი პროვოკაციული საქციელი განპირობებულია იმით, რომ ცდილობს დააფიქსიროს საკუთარი თვალთახედვა და აიძულოს საზოგადოება კიდევ ერთხელ

მიუბრუნდეს ქალთა საკითხს და საბოლოოდ მოხდეს მისი მოგვარება. ეს არის უუფლებობით გამოწვეული პროტესტი და ქალის სიტყვით, იდეით, აზრით ახდენს ზეწოლას საზოგადოებაზე. სუად ალ-საბაჰი ამბობს: “პოეზია არის ასახვა და ამავდროულად ჯანყი არსებულის მიმართ. მხოლოდ ასე შეიცნობს ადამიანი საკუთარ თავს.” ამრიგად, ქალი ეწინააღმდეგება საზოგადოების მიერ დაწესებულ დოგმებს და გამოთქვამს პროტესტს. ასე ისახება ქალური ჯანყი, რომელიც სიტყვითაა გაცხადებული. თავის დროზე, როდესაც სუად ალ-საბაჰის ლექსების კრებული “ქალის ნამცეცები” გამოვიდა, იგი არაბულ საზოგადოებაში მიჩნეულ იქნა “ქალური რევოლუციის კონსტიტუციად”. აქ უთუოდ იგულისხმება სუად ალ-საბაჰის პოეზიის დიდი გავლენა, რომელსაც ის ახდენს არაბულ საზოგადოებაზე.

“ავირჩიე საპირისპირო სიტყვები” – უცხადებს ქალი იმ პატრიარქალურ საზოგადოებას, რომელიც ქალის ყოველგვარ წარმატებას ეჭვით შეჰყურებს. ქალი გამოთქვამს პროტესტს და უნდა, რომ ეს პროტესტი აღქმულ იქნას მოწინააღმდეგის მიერ. ქალი სიყვარულს ირჩევს თავისუფლების მიღწევის საშუალებად. როცა შეიძლება თავისუფლად გამოხატოს გრძნობები, მხოლოდ მაშინ იქნება თავისუფალი.

ქალი თავად სვამს შეკითხვას: “თუ ვერ შევძელით მისწრაფებების განხორციელება რა იქნება შემდეგ? ალბათ იქნება უსურვილობა.” უსურვილობა კი გულისხმობს უსიყვარულობას და შესაბამისად თავისუფლებისაკენ სწრაფვის უარყოფას. შეიძლება ითქვას, რომ ქალი სუად ალ-საბაჰის პოეზიაში მართალია ითხოვს “არატრადიციულ წაკითხვას”, არაბული სამყაროსათვის არატრადიციულია მისი მისწრაფებები, გამოხატავს პროტესტს, მაგრამ არ გადადის ჯანყში; ეწინააღმდეგება საზოგადოებას, მაგრამ ეს არ არის შეურიგებელი წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება რევოლუციაში გადაიზარდოს. აქ აშკარად ჩანს დაპირისპირება

საზოგადოებასა და პიროვნებას შორის, მაგრამ ქალი ვერ ახერხებს ამ წინააღმდეგობის დაძლევას. შეძლებს კი არაბი ქალი უახლეს მომავალში დაძლიოს ეს სირთულეები, შეცვალოს არასასურველი სინამდვილე? რაც მთავარია, მისი სწრაფვა თავისუფლებისკენ როგორ იქნება აღქმული საზოგადოების მხრიდან? ამ კითხვებზე თავად პოეტი ქალი პასუხობს: „ღრმა მწუხარებით მინდა განვაცხადო, რომ ამას ჩვენ, არაბი ქალები ვერ შევძლებთ, რადგან ვინც აღმართა ჩვენს წინააღმდეგ ბარიერები, შესაძლებლობა აქვს კიდევ უფრო გააძლიეროს იგი, რადგან წინააღმდეგობის მატარებელმა (ქალმა) უკან დაიხია, ბარიერები კი უფრო ძლიერი აღიმართა. მათი დაძლევის პერსპექტივა ახლა უფრო ნაკლებია. დრომ თან წაიყოლა ჩვენი ოცნებები იმის შესახებ, რომ შეგვეძლო გამარჯვების მოპოვება. პირველმა სწორედ ქალმა დათმო პოზიცია. ქალი კი ის ხილია, რომელზეც მოწინააღმდეგე თავის გზას აგებს. გასულ წლებში თეორიული გამარჯვებების მომსწრე არაბი ქალი კი დღეს სულაც არ არის საუკეთესო მდგომარეობაში. არსებობს ისეთი პროცესები, რომლებიც რევოლუციურ ცეცხლს ანთებენ, თუმცა, ამავე დროს, ისეთი დინებებიც არსებობს ამ ცეცხლის ჩაქრობა რომ შეუძლიათ. არაბ ქალს არ ევალება ბრძოლა სხვას გამოუცხადოს; მან უპირველესად უნდა მოახერხოს თავად დააღწიოს თავი იმ „ნაზსურნელებით სავსე“ საკანს, რომელშიც დაიტყვევა თავი. მან ჯერ საკუთარ თავზე უნდა შეძლოს გამარჯვება და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი საერთო გამარჯვების მოპოვება. თუ არაბი ქალი ვერ შეძლებს საკუთარ თავში კომპლექსის დაძლევას, ყველა სხვა გამარჯვება იქნება მხოლოდ და მხოლოდ ეფემერული.“ პოეტი ქალის ეს მწარე აღსარება ასახავს იმ რეალობას, რომელიც ქალთა საკითხთან დაკავშირებით არსებობს არაბულ სამყაროში. თუმცა სუად ალ-საბაჰის ლირიკური გმირი ქალი ღიად აცხადებს:

إنهم يحاولون أن يغيثوا القصائد

ويحرقوا غابات الحب الخضراء

ويستأصلوا رجولة الرجال

ولتوثئة النساء

ولكننا . . .

منتحدا هم بكل جحافل البرابرة

ونوقف هجمة عصور الاتحطاط . .

ისინი ცდილობენ პოეზიის ჩაკელას,

სიყვარულის მწვანედ მოშრიალე ტყეების

გადაწვას,

მათ საჭურისებად აქციეს მამაკაცები,

მაგრამ ჩვენ. . .

წინ აღვუდგებით ძალმომრეობას,

ჩვენი სიყვარულის მთელი ენერგიით,

რადგან სიყვარულია ის ერთადერთი ძალა,

რომელიც წინ აღუდგება ბარბაროსებს

და მოიგერიებს დეკადენტური ეპოქების თავდასხმას." (13, 158).

ამ შემთხვევაში, ალბათ, XXI ს.-ის არაბი ქალი მოიაზრება.

ქალი სუად ალ-საბაჰის პოეზიაში არის სატრფო არატრადიციული გაგებით, რადგან არჩევს იყოს მამაკაცის ტრფობის ობიექტი, ოღონდ პირობებს თავად კარნახობს მას.

თავად ქალის ყოველგვარი საქციელი განაპირობებულია იმით, რომ მამაკაცმა აღიაროს მისი ქალური ბუნება. იგი მამაკაცს სთავაზობს, წარმოუდგენს საკუთარ თავს, მინიშნებას აკეთებს მისდამი თავის სიყვარულზე, მაგალითად:

الى تقدمي في العصور الوسطى

لو كنت تعرف كم أحبك . .

لم تعاملني كثر عون . .

ولم تفرض شروطك مثل كل الفاتحين . .

لو كنت تعرف كم أحبك . .

لم تكرسني كأرض للفلاحين . .

شان كل المالكين..

ჩემი სვლა შუა საუკუნეებში

რომ იცოდე როგორ მიყვარხარ..

არ მომექცეოდი, როგორც ფარაონი..

არ წამომიყენებდი პირობებს როგორც ყველა დამპყრობი..

რომ იცოდე როგორ მიყვარხარ..

არ მომიძღვნიდი, როგორც ყველა მეპატრონე

გლეხს უძღვნის მიწას..

იგი მამაკაცს, სატრფოს თავაზობს სიყვარულს და რეალურად მას იმორჩილებს. ქალი აგრძნობინებს მამაკაცს, რომ იგი საკუთარ თავზე მეტადაც შეიძლება უყვარდეს და ითხოვს ავტონომიას:

ولكني أريد أن تمنحني

_ ولو على سبيل التجربة _

نوعاً من أنواع الحكم الذاتي!!

მაგრამ გთხოვ, რომ ბატონობა

შემიმსუბუქო

და...რომ მომცე ავტონომია.

ხოლო როცა ქალი შეყვარებულია და მამაკაციც იზიარებს მის გრძნობას, ქალი იქცევა „მსოფლიოს უგრძეს მდინარედ“.

ამრიგად, ქალი სატრფო – ეს არის ქალი, რომელიც მამაკაცს სიყვარულს თავაზობს და მისგანაც ითხოვს საპასუხო გრძნობას. მან იცის, რომ მამაკაცი არც სიყვარულში იგუებს ქალს თანასწორად, მაგრამ ქალი ცდილობს მამაკაცი შეაჩვიოს ამ აზრს და ისწრაფვის, რომ სიყვარულში იყოს ჰეგემონი. შეიძლება ითქვას, რომ ის ამ თვალსაზრისითაც არატრადიციული ქალია.

სუად ალ-საბაჰის პოეზიაში წარმოდგენილია ქალი, როგორც დედა. დედობა ერთადერთი მოვალეობაა, რომელიც ქალისთვის ბედნიერებაა და არა ბორკილი. პოეტი თვლის, რომ ქალი შინაგანად ყოველთვის გულისხმობს დედის ინსტიქტს და ამიტომ სუად ალ-

საბაჰის პოეზიაში ზოგჯერ ის საკუთარი სატრფოს დედადაც წარმოიდგენს თავს. აქ ქალის მუდმივი ინსტიქტია წამოწეული, რომელიც ქალს გულისხმობს სიცოცხლის ამოსავალ წერტილად. ლექსი “დედობა” სუად ალ-საბაჰის მსოფლმხედველობის გასაღებია:

فرحي بلقائك

كالضربة الأولى من سيمفونية الخامسة

فيا أيها الرجل الطالع من تشققات فكري.

حيثما تكرون على خريطة هذا العالم

تذكر أمومتى...

“შენთან შეხვედრით გამოწეული ჩემი

სიხარული

იმ დაუვიწყარი ელდის მსგავსია,

ჩანასახი რომ შეარყევს დედის მუცელს

პირველი დარტყმით,

მსგავსი არის ბეთჰოვენის მეხუთე

სიმფონიის პირველი თემის...

ო, მოწეულო მამაკაცო,

ჩემი ნატანჯი ფიქრებიდან დაბადებულო,

სადაც არ უნდა იყო ხოლმე ამ ქვეყანაზე,

გაიხსენე ჩემი დედობა.” (13, 92).

აქ სიცოცხლის პირველი ინსტიქტი შედარებულია ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიასთან, რომელიც ჰეროიკულ-ტრაგიკულია. აქ ადამიანი ეჯახება ბედისწერას; ბედისწერა კი სხვა არაფერია თუ არა საზოგადოებრივი აუცილებლობა. ადამიანი იმარჯვებს ბედისწერაზე. დაბადება კი შექმნაა და არსებობის, ბრძოლისა და ბედნიერების დასაწყისია.

სუად ალ-საბაჰის პოეზიაში გმირი ამავე დროს არის ქვეყნის, ერის პრობლემებზე დაფიქრებული ქალი. ამ მხრივ საინტერესოა ლექსების ციკლი, რომელიც ქუვეით-ერაყის ომს შეეხება. მისთვის ომი

ყველაზე დიდი უბედურება და ყველაზე უფრო დამთრგუნველია, რადგან ომი მხოლოდ ფიზიკური ძალადობა არაა, არამედ, უპირველესად სულიერი ღირებულებების შერყენა და განადგურებაა:

"القصيدۃ السوداء"

كم غيرتني الحرب .. يا صديقي

كم غيرت طبيعتي.

وغيرت أنوثتي.

وبعثرت في داخلي الأشياء.

فلا الحوار ممكن.

فلا الصراخ ممكن.

ولا الجنون ممكن.

فنحن محبوسان في قارورة البكاء ...

“შაფი კასიდა”

რაოდენ შემცვალა ომმა ჩემო მეგობარო

რაოდენ შემიცვალა ბუნება.

როგორ შეცვალა ჩემი ქალურობა.

და ჩემს შიგნით გაიფანტა რაღაცეები.

არც დიალოგი,

აღარც ყვირილი

და არც სიგიჟე არ შეგვიძლია.

ჩვენ, ორნი ქალურ მოთქმაში დაგვატუსადეს (99, 77).

განსაკუთრებით ძნელია აღიქვა, რომ მოძმე გებრძვის. აქ ელინდება ქალის არაორდინალური მიდგომა დაპირისპირებული მხარისადმი. აქ ქალი მტრის მიმართ დამოკიდებულებაში არ არის შურისმაძიებელი, არამედ უფრო მიმტევებელი და დაფიქრებულია საერთო პრობლემებზე.

“ნებას დამრთავთ მიყვარდეს სამშობლო?” – ქალის ეს შეკითხვა პოეტური კრებულის სათაურად იქცა.

ასეთია ზოგადად ქალის სახე სუად ალ-საბაჰის შემოქმედებაში. რით არის გამორჩეული სუად ალ-საბაჰის პოეზიის ქალი, რატომ შეიძლება მას ვუწოდოთ არატრადიციული ქალი და რა მახასიათებლები ქმნიან მის არატრადიციულობას?

სუად ალ-საბაჰის პოეზიაში ორი საპირისპირო მხარეა წარმოდგენილი: ტრადიცია (ტრადიციული თემის, გვარის, ტომის სახით არის წარმოდგენილი) და სიახლე. მათ შორის ბრძოლა დაპირისპირებისა და ერთიანობის კანონის საფუძველზე ხორციელდება.

ქალი სუად ალ-საბაჰის პოეზიაში მუდმივად მემამბოხე, მიზანსწრაფული და ინდივიდუალურია, ამიტომ მიუღებელია არაბული საზოგადოებისათვის თავისი არატრადიციული შეხედულებებითა და ყოფით. იგი არ არის მორჩილი; გამოხატავს პროტესტს და მუდმივად იბრძვის თვითდამკვიდრებისა და თვითგამოხატვისათვის. ეს არის ქალი, რომლისთვისაც პიროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვა უმაღლეს მიზნადაა აღიარებული. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამბოხებული ქალია, არასოდეს არ გადადის ჯანყში, რადგან თავად არაა განთავისუფლებული საკუთარი არასრულყოფილების შეგრძნებისაგან; ჯერ კიდევ არ დაუძლევია საკუთარ თავში ფსიქოლოგიური ბარიერი. ის არატრადიციული სატრფოა, რადგან თავად ირჩევს ტრფობის ობიექტს და ისწრაფვის სიყვარულის ჰეგემონიზაციისაკენ, რაც არაბულ სამყაროში დამკვიდრებულ საზოგადოებრივ აზრს ძირეულად ეწინააღმდეგება. მიხედავად ამისა, ის XX საუკუნის დასასრულის ტიპური ინტელექტუალური გმირია, რომელიც არატრადიციულია არაბულ სამყაროსთან მიმართებაში. ეს არის XX ს.-ის არაბი ქალი, რომელმაც ვერ შეძლო ის, რაც XXI ს.-ის ქალმა უნდა განახორციელოს.

3. 3. სიყვარული და თავისუფლება სუად ალ-საბაჰის პოეზიაში

სუად ალ-საბაჰი XX ს.-ის 70-იანელთა წარმომადგენელია და მის პოეზიაში მკაფიოდ ვლინდება ის ტენდენციები ქალთა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც დამახასიათებელია ამ პერიოდის არაბული სამყაროსათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, XX ს.-ის დასასრულის არაბი ქალი “ახალი ქალი” არის, რომელსაც მოპოვებული აქვს პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, საზოგადოებრივი მდგომარეობა. მაგრამ არსებობს უაღრესად მნიშვნელოვანი, ქალის პიროვნული თავისუფლების პრობლემა. სწორედ ეს საკითხია მის პოეზიაში წინა პლანზე.

თავისუფლებისადმი მისწრაფება მარადიულია, რომლისკენაც ისწრაფის სუად ალ-საბაჰის ლირიკული გმირი. სუად ალ-საბაჰი თვლის, რომ ქალთა პიროვნული თავისუფლების პრობლემა, აქტუალურია XX საუკუნის მიწურულს. ლექსში “XX საუკუნის ქალი” ვკითხვლობთ:

قد كان بوسعي،

مئل جميع نساء الأرض-

.. مغزلة المرأة.

لكني خنت قوانين الأنثى

واخترت مواجهة الكلمات.

“მე შემეძლო

ამ დედამიწაზე ყველა ქალივით

მეკეკლუცა სარკის წინაშე. . .

მაგრამ ვუღალატე ჩვეულებრივი მდედრის

კანონებს

და ავირჩიე საპირისპირო სიტყვები...” (11, 44).

პოზიცია გამჟღავნებულია - ქალის სწრაფვა თავისუფლებისაკენ. სუად ალ-საბაჰი ხვდება, რომ არაბი ქალისათვის თავისუფალი ნების გამოვლენის მთავარი პირობა ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევაა, რომელიც არაბულ, მუსლიმურ სამყაროშია დამკვიდრებული ქალთან დაკავშირებით: ქალი ითხოვს თავისუფლებას გრძნობათა გამოხატვის თვალსაზრისით და პროტესტს აცხადებს - ირჩევს საპირისპირო სიტყვებს, ე. ი. უპირისპირდება საზოგადოებრივ აზრს ქალის შესახებ:

وأنا متعبة من ذلك العصر الذي

يعتبر المرأة تمثال رخام.

أنا محتاجة جدا امناء مسلم

“ისე დაედღილვარ ჩემი დროით,

ჩემი ეპოქით,

რომელიც ქალს მარმარილოს ქანდაკებად

უფრო იგუებს. . .”

იმისათვის, რომ თანამედროვე არაბმა ქალმა გამოავლინოს თავისუფალი ნება მუსლიმურ სამყაროში ფსიქოლოგიური ბარიერის დასაძლევად ძალიან რთულია, რადგან ასეთი საზოგადოება “ქალს მარმარილოს ქანდაკებად უფრო იგუებს”. ლექსი “ტოლობა” სუად ალ-საბაჰის შემოქმედების ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ გამჟღავნებულია თავისუფლების და მისი მიღწევის საშუალება:

فمحة + فمحة = سنبله

عصفور + جناحان = حرية

انت + أنا = قشعريرة شعرية تحت جلد الكرة الأرضية. . .

“ხორბლის მარცვალი + ხორბლის მარცვალი = თავთავს.

ბელურა + ორი ფრთა = თავისუფლებას. .

შენ და მე = პოეტურ ჟრუანტელს დედამიწის კანქვეშ.” (11, 12)

თავისუფლება “პოეტური ჟრუანტელია დედამიწის კანქვეშ” და “პოეტური ჟრუანტელი სიყვარულია” - ამბობს სუად ალ-საბაჰი.

მაშასადამე, პოეტისათვის თავისუფლების გამოვლენის საუკეთესო საშუალება არის სიყვარული. ეს არის მისი ცხოვრების პრინციპი, მამოძრავებელი ძალა ადამიანური აღმაფრენისა. მაგრამ როგორია მისი დამოკიდებულება სიყვარულის ტრადიციული გაგებისადმი.

რადგანაც ქალისათვის, გზა თავისუფლებისაკენ, თავისუფალი ნების გამოხატვის ასპარეზი სიყვარულია, აქვე დგება საკითხი იმის შესახებ მისაღებია თუ არა მისთვის ტრადიციული გაგება სიყვარულისა არაბულ სამყაროში.

‘تعبت من الكلام التقليدي‘

عن الحب

تعبت من غزل الموتى ..

وأزهار الموتى

و الجلوس على طاولة العشاء

كل ليلة

مع قيس بن الملوح

وجميل بثينة

وبقية الأعضاء الدائمين

في نادي الحب العذري

حاول أن تخرج عن النص قليلا ..

.. حاول أن تختار عني ..

დავიღალე სიყვარულზე ტრადიციული ლაპარაკისაგან,

დავიღალე წინაპართა ღაზალებისაგან,

ყოველ საღამოს, ვახშობისას,

მაგიდასთან ჯდომა-საუბრით,

კაისთან და ლეილასან,

ჯამილთან და ბუსაინასთან

და უზრიული სიყვარულის კლუბის სხვა

მუღმივი

წევრებისაგან.

სცადე, ჩემს გამო, ცოტათი მაინც რომ

გამოსცდეს ამ გაცვეთილ

ტექსტებს,

სცადე, რამე გამოიგონო.” (11, 130) - მიმართავს იგი სატრფოს, მამაკაცს. ქალმა უნდა შეძლოს, მიიყვანოს საზოგადოება საკუთარი უფლებების აღიარებამდე, უნდა შეაცვლეწინოს აზრი, შეხედულება ქალზე; ამისათვის კი მეკავშირედ ირჩევს მამაკაცს, რომელმაც თავის დროზე მისი უუფლებობა დააკანონა.

პოეტმა კარგად იცის, რომ აღმოსავლეთში საზოგადოებისათვის ძნელია შეეგუოს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციების რღვევას. იმას, რომ ქალმა შეიძლება შეცვალოს სიყვარულის გაგების დამკვიდრებული გაგება, თავისუფლად გამოსხატოს გრძნობები. უაღრესად საინტერესოა ლექსი “დემოკრატია”, რომელშიც სწორედ ამის შესახებ ამბობს პოეტი:

ليست الديمقراطية

أن يقول الرجل رايه في السياسة

دون أن يعترضه أحد

الديمقراطية أن تقول المرأة

رايها في الحب . . .

دون أن يقتلها أحد!!

"მამაკაცისაგან

პოლიტიკაში გამოთქმული სხვადასხვა

აზრი

სულ არ არის დემოკრატია,

დემოკრატია იქნებოდა

სიყვარულში ქალის მიერ აზრის გამოთქმა.

აქ გარკვევით ჩანს რა სურს პოეტს, რომ აღიარებული იქნას ქალის უფლება თავისუფლად გამოსხატოს გრძნობები და შეცვალოს სიყვარულის გაგების ტრადიციული გაგება არაბულ სამყაროში. თავის დროზე ნიზარ კაბანი ამის შესახებ წერდა: “იმისათვის, რომ არაბ ერს

ჰქონდეს მომავალი, ორიენტირად უნდა აირჩიოს აზროვნების დემოკრატია, რომლის გარეშეც არ არსებობს ჭეშმარიტება და რა თქმა უნდა შემოქმედება.” სწორედ ამას გულისხმობს ლექსში “დემოკრატია” სუად ალ-საბაჰი. “დემოკრატია იქნებოდა სიყვარულში ქალის მიერ აზრის გამოთქმა, ოღონდ ისე რომ არ ჩაქოლონ.” პოეტი ქალისათვის “პოლიტიკური ჩაგვრა და სიყვარულში ჩაგვრა” ორივე ერთია. მისთვის მიუღებელია ის საზოგადოება, რომელიც ცდილობს საკუთარ კანონებს დაუმორჩილოს ინდივიდის ნება. სუად ალ-საბაჰთან თავისუფლება, რომელიც სიყვარულის საშუალებით შეიძლება იყოს რეალიზებული, არის ის რაც “აწონასწორებს დედამიწას.” წონასწორობა – თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის, გრძნობათა გამოსატვის თვალსაზრისით, ბუნებრივი და აუცილებელი პირობაა სიყვარულისთვის და თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის.

სიყვარულის შინაგანი სამყარო მის პოეზიაში წარმოსახვითია და ბევრად უფრო გრძნობადია, ვიდრე არსებული. სუად ალ-საბაჰის პოეზიაში მნიშვნელოვანი მინიშნებაა, რომ როდესაც შედგება წონასწორობა წარმოსახულსა და რეალურს შორის, ამის შემდეგ განხორციელდება სიყვარული, სიყვარულით კი მიიღწევა თავისუფლება. მაგ. ლექსში “პატარა ოცნება”:

تركني نائمة خمس دقائق

على كتفك

حتى تتوازن الكرة الأرضية.

“დამტოვე მძინარე ხუთიოდ წუთი

შენს მხრებზე,

რათა გაწონასწორდეს დედამიწა.”

მაშასადამე პოეტმა სიყვარული უნდა განახორციელოს რეალურ სამყაროში, ანუ აბსურდი აქციოს შესაძლებლად, მაგ.:

حين أكون بحالة عشق

اشعر بانتي صرت بوزن الريشة

اني امشي فوق الغنيم..

واسرق ضوء الشمس..

“როდესაც გული სიყვარულით მევსება ხოლმე,

ბუმბულივით მსუბუქი ვხდები,

დავაბიჯებ ღრუბლის ქულებზე,

მზეს სხივებს ვპარავ.”

როდესაც აბსურდი განხორციელდება სიყვარული იქცევა ნეტარებად.

ზოგიერთი მკვლევარი, მაგ. მ. ჰეიდარი ამ ლექსში სუფიურ პოეზიასთან კავშირს ხედავს და თვლის, რომ სუად ალ-საბაჰი აქ სიყვარულს გაიაზრებს, როგორც საშუალებას ღმერთთან შერწყმისა და იმოწმებს შემდეგ სტრიქონებს:

حين اكون بحالة عشق

اشعر ان العالم اضحى وطني

وبامكاني ان اجتاز البحر

وأعبر الاف الاثهار

..وبامكاني..

لن أنتقل دون جواز

كالكلمات.. وكالأفكار..

“როდესაც სიყვარულით გული მევსება

ხოლმე,

ვგრძნობ, რომ ჩემი სამშობლოა მთელი

მსოფლიო,

შემიძლია ზღვები გადავცურო,

გავტოპო ათასობით უცხო მდინარე

შემიძლია მოვიარო დედამიწის ყველა

ქვეყანა,

უპასპორტოდ,

როგორც სიტყვამ, როგორც ფიქრებმა...” (13, 66-67).

პოეტისათვის იდეალის, შეუძლებლის მიღწევა შესაძლებელია სიტყვით, აზრით. რამდენად გასაზიარებელია მკვლევარის შეხედულება, სუფიურ პოეზიასთან სუად ალ-საბაჰის აღნიშნული ლექსის კავშირი შესახებ? საერთოდ, ცალკეული არაბი მწერლისა და პოეტის შემოქმედების მკვლევარ არაბ მეცნიერებს უყვართ ხოლმე ამა თუ იმ მწერლის თუ პოეტის ნააზრევის დაკავშირება სუფიზმთან.

სუფიზმი იშვა არაბულ სახალიფოში და ფართო გავრცელება პოვა მთელ ისლამურ სამყაროში. სუფიზმის დედააზრს სიყვარული წარმოადგენს. იგია კოსმიური ძალა, კოსმოსის შექმნის პირველი მიზეზი და ყოველგვარი მოძრაობის იმპულსი. სუფიზმის გაგებით ადამიანმა უნდა სრულყოს თავისი თავი, თანდათან უნდა ამაღლდეს და დაუბრუნდეს თავის პირველ და უმაღლესს ყოფიერებას – აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. მათი რწმენით, არაფერია ჭეშმარიტი გარდა ღმერთისა და იგია ყველაფერი. მიწიერი სიყვარული არის ხიდი, რომელიც უნდა გამოიაროს მან, ვინც ღვთიურ სიყვარულში ნეტარებას ეძებს (105-111).

სუფიზმის არსს შეადგენს ღმერთი, რომელიც ადამიანის სიყვარულის, სწრაფვის საგანია, რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება არის მოსამზადებელი ეტაპი, გზა სადაც იგი თავისი თავის განწმენდისა და საკუთარი სიცოცხლის გაქრობის საშუალებით აღწევს უმაღლეს მიზანს – შერწყმას ღმერთს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ შერწყმის შედეგად ადამიანს შეუძლია შეიძინოს ღმერთის განმასახიერებელი თვისებები და იქცეს მის ერთ-ერთ ნაწილად. ღმერთი მთელია. ყოველი ნაწილი მთელისაგან მომდინარეობს, ამიტომ ისინი შემდეგ მთელს უნდა დაუბრუნდნენ, რადგან ყოველივე უბრუნდება თავის ძირს.

სუფიური ელემენტები სუად ალ-საბაჰთან ისე ფრაგმენტულადაა წარმოდგენილი, რომ მასზე სერიოზული, დამაჯარებელი და ღრმა მსჯელობა ჭირს. ისიც, ჩვენი ვარაუდით, რაც აღნიშნული მკვლევარის

მიერ სუფიზმთან არის დაკავშირებული, საეჭვოა. მკვლევარი მხოლოდ პარალელების გავლებით იფარგლება.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, ის რომ სუფიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა ჩამოყალიბდა და განვითარდა გარკვეულ ისტორიულ პირობებში, გარკვეული საზოგადოებრივი წყობის დროს. ხოლო XX ს.-ის II ნახევარი სულ სხვა ეპოქაა. ცხოვრების სხვა პირობები, მოთხოვნები და პრობლემები დგას, სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობებია. თუმცა აღმოსავლურ სამყაროში ჯერ კიდევ არიან სუფიზმის მიმდევარი პოეტები.

გასათვალისწინებელია, რომ სუად ალ-საბაჰის ერთ-ერთი პოეტური კრებულის სათაურია “პირველად იყო ქალი”, რომელიც პერიფრაზია “პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი”. თუ მკვლევარს დავეთანხმებით, სქემა ასეთ სახეს იძენს: ღმერთი – სიტყვა, სიტყვა – ქალი, ქალი – სიყვარული, სიყვარული – თავისუფლება. ე. ი. სიყვარული გზა და საშუალებაა თავისუფლების მისაღწევად. ეს მოსაზრება გარკვეულწილად სადაოა, თუმცა საყურადღებო. მის დასამტკიცებლად სუად ალ-საბაჰის შემოქმედების უფრო ღრმა კვლევა იქნება საჭირო. მტკიცება იმისა, რომ სუად ალ-საბაჰი სუფი პოეტი არ არის, ვფიქრობ ზედმეტია. მაგრამ, სუფიური ელემენტები მის პოეზიაში არ შეიძლება გამოვრიცხოთ. ერთია, იყო სუფიზმის მიმდევარი და სუფი და სხვა, საქმეა კარგად იცნობდნენ სუფიზმს, მის სისტემას და იყენებდნენ მის ელემენტებს. მიუხედავად იმისა, რომ თავად პოეტი არასოდეს არ გამოთქვამს მოსაზრებებს ამ ლირიკული სისტემის შესახებ, შესაძლებელია ნებით თუ უნებლიეთ, მის შემოქმედებაში იყოს სუფიზმის ელემენტები. თუმცა, ამ საკითხის გარკვევას კვლევა სჭირდება. ერთი კი ცხადია, სუად ალ-საბაჰის პოეზია არ არის მხოლოდ გონისმიერი. მის პოეზიაში გრძნობისმიერი და გონისმიერი მუდმივად ურთიერთკავშირშია.

როგორც აღნიშნეთ, სუად ალ-საბაჰთან ქალი ისწრაფვის რა თავისუფლებისაკენ, და ამის საშუალებად სიყვარული წარმოუდგენია, ამიტომ ცდილობს გამოეყოს კოლექტივს და როგორც ინდივიდი დაემკვიდროს საზოგადოებაში. არაბული საზოგადოებისათვის ქალის ეს მისწრაფება მიუღებელია. ამგვარად, პიროვნებსა და საზოგადოებას შორის წინააღმდეგობა იკვეთება. ქალი, რომელიც ცდილობს შეცვალოს სიყვარულის ტრადიციული გაგება, ისწრაფვის თავისუფლებისაკენ, აცხადებს პრეტენზიას, რომ საზოგადოებაში დამკვიდრდეს, როგორც მამაკაცის თანაბარუფლებიანი წევრი. არაბული სამყაროსათვის ეს მისწრაფება მიუღებელია. სუად ალ-საბაჰი ლექსში ამბობს:

عندما تسافر امرأة عربية
الى باريس. . . او لندن. . . او روما.

تأخذ على الفور شكل حمامة
. . . وفي طريق العودة.

يتبدد الحلم.

تجف موسيقى النوافير

يتناثر ريش البط الأبيض

وتنخل معى بقية الدجاجات.

الى قنّها. . .

“როდესაც არაბი ქალი მიემგზავრება პარიზში,

ლონდონში ან რომში,

მაშინვე იღებს მტრედის ფორმას...

უკანა გზაზე . . . ქრება ოცნება,

შადრევნების მუსიკა შრება,

თეთრი იხვის ბუმბული იფანტება

და დანარჩენ ქათმებთან ერთად შედის საქათმეში.” (11, 24).

როგორც ლექსიდან ჩანს პოეტისათვის დასავლეთი ასოცირდება თავისუფლებასთან და არა აღმოსავლეთი. დასავლეთში ქალი

მტრედია, რომელსაც ფრენა შეუძლია ე. ი. თავისუფლება მიღწეულია. აღმისაველეთში არსებობს ფრენის სურვილი, მაგრამ შეუძლებელია. თავის დროზე დასაველეთისა და აღმოსაველეთის ურთიერთმიმართების თაობაზე აქტუალური დისკუსიები იმართებოდა არაბულ სამყაროში. ჯერ კიდევ განმანათლებლები ისწრაფვოდნენ აღმოსაველეთისა და დასაველეთის სინთეზისაკენ და თვლიდნენ, რომ არაბული სამყარო ქალთა საკითხთან დაკავშირებით ორიენტირებული უნდა ყოფილიყო დასაველურ ღირებულებებზე, ოცნებობდნენ არაბი ქალის ყოფა ევროპელი ქალის მსგავსი გამხდარიყო. ამასთანავე შენარჩუნებულიყო ის დადებითი, რაც აღმოსაველეთს გააჩნდა ამ საკითხთან მიმართებაში. ანალოგიურ მისაზრებას გამოთქვამს სუად ალ-საბაჰი, თუმცა შიშით აღნიშნავს, რომ თუ აღმოსაველეთი არ წაეკოპრომისის გზით და არ შეიცვლება რადიკალური დამოკიდებულება ქალთა თავისუფლების მიმართ, შესაძლოა უარესი შედეგები მივიღოთ. რადგან მოხდება ევროპული კულტურის გადმონერგვა უკრიტიკოდ და გაუაზრებლად, რაც საშიშროებას შეუქმნის ჩვენ სულიერ მემკვიდრეობას. აღმოსაველეთს კი ბევრი აქვს ისეთი, რაც დასაველეთისთვისაც მისაღებია. ეს ქალთა საკითხსაც შეეხება:

الحب .. على نار الفحم

الفرق بين العاشقة الأوربية

والعاشقة العربية

أن الأولى تتناول الواجبات السريعة

والأطعمة المتلجة ..

والحب المتلج ..

في حين أن العاشقة العربية ..

تشوى ..

على نار الفحم

განსხვავება შეყვარებულ ევროპელ ქალსა

და შეყვარებულ არაბ ქალს შორის არის ასეთი:

ევროპელი იკვებება ბუტერბროდებით,
კონსერვებით და გაყინული სიყვარულით. . .

ხოლო შეყვარებული არაბი ქალი

იღაგება ცეცხლის ნაკვერჩხლებზე.” (11, 88).

ლექსიდან კარგად ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი ქალი თავისუფალია გრძნობათა გამოხატვის თვალსაზრისით, იგი კარგავს ფუნქციას იყოს სატრფო, მამაკაცის ტრფობის ობიექტი.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სუად ალ-საბაჰის პოეზიაში სიყვარულისა და თავისუფლების პრობლემა ერთ-ერთი მთავარი საკითხია. სიყვარული პოეტს წარმოუდგენია საშუალებად, რომლითაც ქალმა უნდა შეძლოს საკუთარი ნების გამოხატვა და შემდგომში თვითდამკვიდრება არაბულ სამყაროში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ქალი არაბულ საზოგადოებაში თავისუფალი, თანაბარუფლებიანი და თანასწორი; ასე აღსდგება “წონასწორობა”.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ სუად ალ-საბაჰის პოეზიაში ქალთა საკითხისადმი ახალი მიდგომა ჩანს, რომელიც თავისთავად გულისხმობს სიყვარულისა და თავისუფლებისადმი მიმართებას. პოეტმა იცის, რომ არაბულ სამყაროში საზოგადოებისთვის ძნელია შეეგუოს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციების რღვევას, რომ ქალმა შეიძლება შეცვალოს სიყვარულის დამკვიდრებული გაგება და თავისუფლად გამოხატოს გრძნობები. მიუხედავად ამისა, თანამედროვე არაბი ქალი მუდმივად მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ. სუად ალ-საბაჰის ლირიკული გმირი – ქალი პიროვნებაა, ინდივიდია, რომელიც თავისუფლებისაკენ წინააღმდეგობის დაძლევის გზით ისწრაფვის. იგი, როგორც ინდივიდი, ცდილობს, გამოეყოს საზოგადოებას, გამოხატოს პროტესტი და თავად უკარნახოს საკუთარი პირობები. ქალი გამოხატავს უკმაყოფილებას, მაგრამ შეურიგებელ წინააღმდეგობას არ აცხადებს, არამედ ცდილობს ეს

წინააღმდეგობა გონიერი შემეცნებითა და შესაბამისი გრძნობებით დაძლიოს.

XX ს.-ის არაბი ქალი იბრძვის არა პოლიტიკური და სოციალური უფლებებისათვის, არამედ პირადი გრძნობების, სიყვარულის თავისუფლად გამოხატვისათვის. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ს. ჰაფეზი XX ს.-ის II ნახევრის მწერალ ქალთა ლიტერატურას ახასიათებდა, მის წარმოდგენლებს სწორედ “წმინდა ქალური პრობლემებით” დაინტერესებულ თაობას უწოდებდა. სუად ალ-საბაჰიც შეიძლება ამ თაობას მივაკუთნოთ, მაგრამ პოეტი ქალის პოზიცია მაინც განსხვავებულია, რადგან მის შემოქმედებაში სიყვარული თავისუფლების მოპოვების გზად და საშუალებადაა წარმოდგენილი.

3. 4. ტრადიცია და ნოვაცია სუად ალ-საბაჰის პოეზიაში

სუად ალ-საბაჰის შემოქმედების შეფასება საკმაოდ რთულია, რადგან მისი პოეზია მუდმივი ძიებისა და სიახლის კავშირია ტრადიციულთან. მასში ერთადაა წარმოდგენილი პოეტური და პროზაული, რაც მისი ლექსის ორიგინალობას განაპირობებს. სუად ალ-საბაჰის პოეტური შემოქმედება XX ს.-ის არაბული ლიტერატურის, კერძოდ პოეზიისათვის ყველა დამახასიათებელი ნიშნის მატარებელია. მასში ფორმისა და შინაარსის განუწყვეტელი ნოვაციაა, რომელიც ამავე დროს ტრადიციულსაც მოიცავს. შეიძლება ითქვას, რომ, მის პოეზიაში სრულად აისახა XX ს.-ის დასაწყისიდან დღემდე არაბული პოეზიის განვლილი გზა. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო. თავად სუად ალ-საბაჰი განსაკუთრებით აღნიშნავს რომანტიკოსი პოეტების გავლენას მის შემოქმედებაზე და წერს: "ჩემი შემოქმედების დასასწყისში, სწორედ, არაბულ პოეზიაში "აპოლოს" გამოცდილებას ვეყრდნობოდი", რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა. არაბული ლიტერატურის განვითარებაში ორმა ლიტერატურულმა ორგანიზაციამ - „დივანმა“ და „აპოლომ“ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი.

„დივანის“ წარმომადგენლებმა აბდ ალ-კადირ ალ-მაზინიმ (1880-1949) და აბას მაჰმუდ ალ-აკადმა (1889-1964) 1921 წელს გამოსცეს კრიტიკული სტატიების ორი ტომი სათაურით „დივანი“. შემდეგ ეს სახელი მიიღო მთელმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა, აგერთვე, კრიტიკოსი და პოეტი აბდ არ-რაჰმან შუქრი (1886-1958). ამ სამეულის დამსახურება ეგვიპტის პოეზიის განვითარებაში ძალიან დიდია. „დივანმა“ ინგლისური რომანტიკული ლიტერატურის გავლენა განიცადა. მისი წევრები ფაქტობრივად ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის - რომანტიზმის თეორეტიკოსები იყვნენ.

30-იანი წლების ეგვიპტელი პოეტების საზოგადოებას "აპოლოს" დიდი დამსახურება მიუძღვის არაბული ლიტერატურის განვითარებაში. 1932 წელს გამოვიდა ჟურნალი "აპოლო", რომლის ირგვლივ შემოკრებილი პოეტების ჯგუფმა ამ ჟურნალის სახელწოდება მიიღო. მასში გაერთიანდნენ: ხალილ მუტრანი, აჰმად ზაჰი, აბუ შაადი, იბრაჰიმ ნააჯი და სხვ. საზოგადოება დააარსა აბუ შაადიმ. ამ სკოლამ ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდა პოეტები და მწერლები, რომლებიც ტრადიციული პოეზიის მიმდევრების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. "აპოლოს" ახალმა მოწოდებებმა და ლიტერატურულმა იდეებმა დიდი როლი შეასრულა არაბული ლიტერატურის, კერძოდ პოეზიის, ფორმალურ-შინაარსობრივი ცვლილების საქმესა და კლასიკური პოეტიკის უარყოფაში".

„აპოლოს“ წევრთა უმრავლესობა, განსაკუთრებით ხ. მუტრანი და ი. ნააჯი, ფრანგი პოეტების გავლენას განიცდიდნენ.

დასახელებული ლიტერატურული ორგანიზაციების უდიდეს ღვაწლს ხაზს უსვამს პროფესორი ა. სილაგაძე. იგი აღნიშნავს ამავე პერიოდში ჩამოყალიბებული ე. წ. ემიგრაციის, იგივე სირიულ-ამერიკული სკოლის მნიშვნელობას ლიტერატურის მოდერნიზაციის პროცესში. სირიულ-ამერიკული სკოლის თეორეტიკოსთა შორის პირველობა მიხაილ ნუაიმეს ეკუთვნის. 1923 წელს მან თეორიული და კრიტიკული ნაშრომების კრებული „ცხავი“ გამოსცა, რომელიც ახალი არაბული კრიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი იყო.

არაბი რომანტიკოსები ემხრობოდნენ ფორმისა და შინაარსის ერთიანობას; მიაჩნდათ, რომ ნამდვილ ხელოვნებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ნაწარმოებში გარეგანი გამომსახველობა შერწყმულია ღრმა შინაარსთან. ჯებრანი ხელოვნებად არ თვლიდა კასიდის ვერბალურ ნაწილსა და მუსიკალობას, არც სურათის ფერადოვნებას და შტრიხებს. მისთვის ეს მხოლოდ გარეგანი ფორმა იყო; ხელოვნებისთვის გადამწყვეტად მიაჩნდა ის აზრი და იდეა, რომელსაც

კასიდა გადმოსცემს. საერთოდ, არაბმა რომანტიკოსებმა ბრძოლა გამოუცხადეს კლასიკური არაბული ლექსის ფორმასა და შინაარსს და დასავლეთის ლიტერატურაზე დაყრდნობით არაბულის განახლებას ცდილობდნენ. მათ ეს უპირველეს მიზნად მიაჩნდათ და მასში ხედავდნენ ძველი არაბული ლიტერატურის განახლების ერთადერთ გზას; თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ძველი არაბული ლიტერატურის დიდ მნიშვნელობას.

არაბი რომანტიკოსები, აგრეთვე მ. ნუაიმე და სხვები, დასავლეთის ლიტერატურის გაცნობამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭიროდ ჩათვალეს კლასიკური ლიტერატურის კანონები საფუძვლიანად გადაესინჯათ. მ. ნუაიმე ამბობდა: „დასავლეთის შემწეობით მივხვდით, რომ ლექსის შედგენა შეიძლება დაზაღის, ნასიბის, მადჰის, ჰიჯას, ვასფის, რისაას, ფახრის გარეშეც“.

ბ. მუტრანი წერდა: „სრულებითაც არ არის აუცილებელი ლექსის თხზვის ჩვენი ხერხი ისეთივე იყოს, როგორც ადრე ჰქონდათ არაბებს. მათი ხასიათი, მოთხოვნილებები და ცოდნა ისეთივე არ არის, როგორც ჩვენი. ამიტომ, ჩვენმა პოეზიამ ჩვენი აზროვნება და გრძნობა უნდა ასახოს“.

არაბი რომანტიკოსების დამოკიდებულება თემის, რითმის და სალექსო სტრიქონის - ბეითის მიმართ სიახლეს წარმოადგენდა. მათ მიუხედავად ლექსის სიდიდისა, მისი დაწერა ერთ თემაზე მოითხოვეს. პარალელურად უარყვეს ერთი რითმის აუცილებლობა. ასევე, აუცილებელად მიაჩნდათ მჭიდრო აზრობრივი კავშირი ბეითებს ძორის.

არაბმა რომანტიკოსებმა ხელოვნების საგნად სინამდვილესთან ადამიანის ესთეტიკური დამოკიდებულების ჩვენება მიიჩნიეს, რომლის ფუნქცია რეალური სამყაროს ასახვაში მდგომარეობდა, მაგრამ დაუშვებლად მიაჩნდათ სინამდვილის მხოლოდ პირდაპირი ასახვა. მათი მტკიცებით, სინამდვილიდან აღებული იდეა აღიქმება სუბიექტი

შემოქმედის მიერ და შეუქდება მისი გრძნობებით. აქედან გამომდინარე, მათ მიერ აღიარებულია თემის (იდეის, აზრის) და გრძნობის პრიმატი ხელოვნებისათვის.

ბ. მუტრანმა ახალი დებულება წამოაყენა, რომლითაც ტრადიციული პოეზიის მიმდევრებს დაუპირისპირდა. ის პოეზიის სუბიექტური ხასიათის შესახებ წერდა: “ამ მიმართულების პოეზია არის მომავლის პოეზია, რადგან ცხოვრების პოეზიაა.”

რომანტიკოსებმა თავიანთი ლირიკული განწყობილების გადმოსაცემად დასავლეთის ლიტერატურიდან არაბულ ლიტერატურისათვის სავსებით უცნობი ჟანრი – პროზად დაწერილი ლექსი გადმოიღეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არაბული რომანტიზმის უდიდესმა წარმომადგენლებმა ჯებრანმა და აბუ მაადიმ დიდი გავლენა მოახდინეს იმ დროისა და მომდევნო თაობის მწერლებზე.

ისინი მკვეთრად გამოვიდნენ შინაარსთან შედარებით ფორმისათვის უპირატესობის მიცემის წინააღმდეგ. მათ ლექსებში ბევრად მეტი ადგილი დაიკავა ცოცხალმა ადამიანმა თავისი აზრებითა და განცდებით, ვიდრე ნეოკლასიციისტურ პოეზიაში. მათ მთლიანად უარყვეს ბეითის ავტონომიურობის პრინციპი და დაიწყეს თავიანთი ლექსების აგება, როგორც ერთი მთლიანისა.

ამ ფონზე საჭირო გახდა ახალი მოდიფიცირებული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ახალი შინაარსის გამოხატვას შეძლებდა. ასეთი სისტემა “ში‘რ პურრის” სახელწოდებით შეიქმნა კიდევ 40-იანი წლების ბოლოს (ნაზიქ ალ-შალაიქა, ბადრ შაქირ ას-საიაბი).

50-იან წლებში არაბული პოეზიის განვითარებაში ჩნდება ახალი ტალღა, რომელიც ეროვნულ-გამათავისუფლებელი და სოციალური გარდაქმნების ფონზე ყალიბდება. მკვიდრდება “ახალი პოეზიის” სახელწოდებით ცნობილი მიმდინარეობა, რომელიც გულისხმობს, როგორც პოეტური ხედვისა და აზროვნების, ისე ლექსის შინაარსის

განახლების, მისი სისტემისა და ადრე მიღებული მხატვრული ნორმების ცვლილებას.

“ახალი პოეზიის” წარმომადგენლები იყვნენ: აბდ ალ-ვაჰაბ ალ-ბაიათი, ადონისი, ხალილ ხავი და სხვ. “ახალი პოეზიის” ლექსწყობასა და შინაარსთან დაკავშირებული წანამძღვრები 20-30-იანი წლების არაბულ პოეზიაში დევს. მის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა ლ. არაგონის, ფ. გარსია ლორკას, ა. ბრეტონის, პ. ელუარისა და თ. ელიოტის პოეზიამ.

თანამედროვეობის სურათის გადმოცემა სწორედ ახალი პოეზიის საშუალებით გახდა შესაძლებელი. “ახალი პოეზიის” დიდ გავლენაზე საუბრობს სუად ალ-საბაჰი საკუთარი პოეზიის შეფასებისას. აღსანიშნავია, რომ მკვლევრები მის პოეზიაზე ნიზარ კაბანის გავლენის შესახებ მიუთითებენ. თავად სუად ალ-საბაჰი აღნიშნავს კაბანის პოეზიის დადებით გავლენას, თუმცა თვლის, რომ მასზე საუბარი გადამეტებულია.

1971 წელს გამოვიდა სუად ალ-საბაჰის დივანი “ნატურა”. მასში წარმოდგენილი ლექსები მისი ინდივიდუალური პოეტური ნიჭის დასტურია.

ამ პერიოდში არაბულ პოეზიაში “ახალი ლექსი” გადამწყვეტ ეტაპზე იმყოფებოდა, როდესაც დაწყებული იყო ტრადიციული ლექსწყობის პრინციპების უარყოფა და არაბული პოეზიისათვის უცხო ფორმების ძიება. აპ. სილაგაძე რითმისა და მეტრის, შინაარსისა და თემის, ვერსიფიკაციული სისტემის ცვლილებას არაბული პოეზიის აღმავლობის მთავარ ფაქტორად თვლის. ეს პროცესი არაბულ პოეზიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ათიან წლებში დაიწყო, როდესაც რომანტიკოსებმა წინ წამოსწიეს საკუთარი „მე“ და თავიანთი ნაწარმოებები ემოციით გაამდიდრეს.

აღნიშნული ტენდენცია 60-იან წლებში “შირ კურრის” სახელწოდებით გაგრძელდა. ამ მიმართულების გაველენა ახალი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელმა განიცადა.

სუად ალ-საბაჰი გაბედულად მიმართავს ექსპერიმენტს და იყენებს როგორც სინთეზურ, ისე წმინდა არაბულ საზომებს. მაგ.: რამალს, რაჯაზს (ეს ის ფორმაა, რომელიც ყველაზე მეტად უახლოვდება პროზას), ქამილს, მუთაკარიბს, სარსა და ხაფიფს. პირველივე კრებულში ფორმის თვალსაზრისით აშკარად გამოავლინა პოეტური ძიებები, რომელიც შემდგომში განავითარა.

მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ კრებულში იგრძნობა რომანტიზმის დიდი გავლენა. პოეტი ქალის რომანტიული კასიდები საუკეთესოდ გამოხატავს პიროვნულ მეს. რომანტიკოსები აღიარებდნენ, რომ ხელოვნების ძეგლმა საზრდო სინამდვილიდან უნდა აიღოს და გადმოსცეს შემოქმედის შინაგანი სამყარო, მისი გრძნობები. აქედან გამომდინარეობს ხელოვნების ნაწარმოების იდეისა და გრძნობის პირველადობა. არაბ რომანტიკოსთა ნააზრვეს ვერდნობა სუად ალ-საბაჰი როცა წერს: “ჩემი სიტყვები ჩემი წარმოდგენებიდან მომდინარეობს, ჩემი გულისცემაა, რომელიც სრულყოფილებისაკენ მიისწრაფის, აიდეალებს სიყვარულს და უყვარს მშვენიერება. ჩემმა ზოგიერთმა ემოციამ გავლენა იქონია შენზე, ეს ჩემი სასურველი ოცნებაა. ამ გავლენით შეიმეცნებ და გაიგებ იმას, რაც აბსურდი გგონია. ღექსი ჩემს სულში უმაღლესი ღოცვაა. მე ვიღებ იმას, რაც მიუწვდომელია”. შეიძლება ითქვას რომ, ეს პოეტი ქალის რომანტიული მანიფესტია, რომლის დიდი გავლენა იგრძნობა კრებულში “ნატერა”.

1972 წელს გამოდის სუად ალ-საბაჰის მომდევნო კრებული სათაურით “შენთვის ჩემო შვილო”, რომელიც შვილის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებითაა აღსავსე. ამით იწყება პირველ ეტაპზე თემის აქტუალობით ნაკარნახევი შემოქმედებითი ძიებების რთული პროცესი.

1976 წელს მან გამოსცა საყოველთაოდ გახმაურებული დივანი "ქალის ნამცეცები". მკვლევრები ერთხმად აღიარებენ, რომ აქ პოეტმა ყველა გაბედული ექსპერიმენტი განახორციელა ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით. ამ კრებულის შესახებ სუად ალ-საბაჰი აღნიშნავს: "ქალის' ნამცეცები" გაბედული ექსპერიმენტია, რომელიც თავად ჩემმა ცხოვრებამ განაპირობა. ჩემზე უდიდესი გავლენა იმ პოეტებმა მოახდინეს, რომელთა ღვაწლითაც თანამედროვე არაბული პოეზია განვითარდა. ვგულისხმობ ერაყის, პალესტინის, შამის თვითმყოფად "ახალ პოეზიას". "ახალი პოეზიის" და ახალი პოეტის დაბადებას ვგულისხმობს "ქალის ნამცეცები", რომელიც სრულიად ახალი ხმაა ჩემს ცხოვრებაში. მე შევეცადე წარმომედგინა არაბი ქალის სახე, რომელიც წუხს ქალის თავისუფლების მოსაპოვებლად აუცილებლად გადასატარებელ პრობლემებზე." უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ქალი საკუთარ შემოქმედებაზე ევროპული პოეზიის გავლენაში ვგულისხმობს გარსია ლორკას, ლუის არაგონის, პოლ ელუარისა და სხვების პოეზიას. ნიშანდობლივია, რომ მის კრებულს "ქალის ნამცეცები" სწორედ ლუის არაგონის სიტყვები აქვს წამმდგარებული ეპიგრაფად. რაც შეეხება თავად კრებულს, აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება ლექსი პროზად და გართიმული კასიდა. შეიძლება ითქვას, რომ სუად ალ-საბაჰი ლექსს პროზად იყენებს იმისთვის რომ, ძირეულად შეცვალოს ლექსის ტრადიციული სტრუქტურა და ამით ცდილობს ეპოქის ახალი შინაარსი ახალი ფორმით გადმოსცეს, რაც პოეზიაში მუდმივად მიმდინარე წინააღმდეგობისა და განვითარების კანონზომიერ ასახვას ნიშნავს. ამრიგად, პოეტის დივერსიფიკაციული ტალღა არაბულ სამყაროში "ახალი ქალის" მოძრაობას იდეურად დაუკავშირდა. მოგვიანებით ეს წინააღმდეგობები უმაღლეს დონეზე გამოვლინდა დივანში "ქალი ლექსია და ლექსია ქალი". არაბი ავტორები აღნიშნავენ, რომ სუად ალ-საბაჰის მიერ ვერსიფიკაციის უარყოფა საკუთარი შემოქმედებითი

თვითდამკვიდრებისათვის მებრძოლ ქალთა მოძრაობის გამოძახილს წარმოადგენდა. სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ სუად ალ-საბაჰის გაბედული ექსპერიმენტების სათავე. მაგალითად შეიძლება წარმოვადგინოთ სუად ალ-საბაჰის ლექსი “ფურცლები ხალიჯელი ქალის დღიურიდან”. იგი იწყება რაჯაზით, შემდეგ კი მონოტონურობის დასაძლევად განზრახულად შლის ლექსის სტრუქტურას:

”أنا الخليجية“

التي يمر من بين شفتيها خط الاستواء

وعلى خيطان شدائتها

تتجمع مراكب النواخذة

ولتألق للبحر...

“მე ხალიჯელი ვარ,

რომლის ბაგეთა შორის გადის ეკვატორის ხაზი

მისი დაშლაშას (კაბის) გვირისტებზე გროვდება

მეზღვაურთა გემები და ზღვის ყანჩები...”

შეიძლებოდა პოეტს ამ ლექსში წყობა ამგვარად შეენარჩუნებინა:

أنا الخليجية

أنا التي يمر من بين

شفتيها خط الاستواء

أو على خيطان شدائتها...

ამ შემთხვევაში სტრუქტურის შენარჩუნებით ნოვაცია მეორე პლანზე გადაინაცვლებდა, ხოლო სტრუქტურული და შინაარსობრივი სიახლე დაიკარგებოდა. სწორედ, ბეითების ასეთი დაშლა და გადაადგილება ქმნის მის უაღრესად ინდივიდუალურ სტილს.

სუად ალ-საბაჰის ლექსებში თანამედროვე სასაუბრო, მედიის, პოლიტიკური ტერმინოლოგიისა და ტრადიციული პოეტური ენის ურთიერთშერწყმა ხდება. ამის საშუალებას კი, როგორც თავად პოეტი თვლის, მხოლოდ და მხოლოდ ვერსიფიკაციის სისტემის რღვევა

იძლევა. მკვლევარი მ. ანანი მას “ქალური რევოლუციის” კონსტიტუციას უწოდებს.

აღნიშნული კრებულიდან ცალკე უნდა გამოვეყოთ ლექსი “ყელთან მიბჯენილი მახვილი”, რომელშიც სუად აღ-საბაჰი თავის დამოკიდებულებას გამოთქვამს პოეზიის ენის საკითხთან დაკავშირებით. ჯებრანის, ხ. მუტრანის, აგრეთვე, აღ-მანფალუტის აზრით, არაბულ ქვეყნებში შექმნილი თავისებური ენობრივი სიტუაციის გამო სალიტერატურო ენის დაღუპვისაგან ხსნა მხოლოდ ხელოვანის (პოეტის) მისიაა. პოეტი თავისი მოღვაწეობით ამდიდრებს, ხვეწავს და სრულყოფს ენას.

სუად აღ-საბაჰის ეს ლექსი იმის ნიმუშია, თუ როგორ ცდილობს ის სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად თავის კრებულში სიახლე შემოიტანოს ლექსის ენაში. შეიძლება ითქვას, რომ “ქალის ნამცეცები” რევოლუციური დივანია, რომლითაც ავტორი წინ აღუდგა ტრადიციულ, დოგმატურ და მიმართა თანამედროვე სასაუბრო ენას, რათა გამოეხატა XX ს.-ის “ახალი ქალის” აზრები, გრძნობები და მისწრაფებები. ეს არის ლექსი, რომელიც ებრძვის ანტილექსს.

ლექსში “ყელთან მიბჯენილი მახვილი” (وصل السيف الى الحلق) პოეტი მიმართავს ტრადიციული პოეზიის ენას, რომელიც თავის დროზე ყურანის შთაგონების წყარო იყო, მაგრამ დღეს შეუძლებელია ამ ენით თანამედროვეობის სურათი გადმოიცეს. პოეტი აღნიშნავს, იმის ნაცვლად, რომ ეს ენა დღეს იყოს მკვეთელი მახვილი, პირიქით, სრულებითაც ვერ გამოხატავს თანამედროვე პოეზიისათვის საჭირო ცნებებს. (აქ საინტერესოა მინიშნება: ყურანში (وصل السيف الى الحلق) ნიშნავს “საქმემ ცუდი გაგრძელება მიიღო”. الحلق კი ცვლილებებს ნიშნავს აიებში). პოეტი ამბობს, რომ პოეზიის ენა, რომელიც ვერ გამოხატავს თანამედროვე ცნებებს და ლექსის საზომი, რომლითაც ვერ შეიქმნება თანამედროვეობისათვის შესატყვისი პოეზია, არ

შეიძლება დარჩეს “მკვეთელ, ბასრ მახვილად”, ე. ი. ის უკვე რუტინად ქცეულა და განახლებას საჭიროებს:

وصل السيف الى الحلق..

وما زال لدينا شعراء يكتبون

وصل السيف الى العظم

وما زال لدينا شعراء يكتبون

ويقولون على الأرواق.. ما لا يفعلون...

ქალის ნამცეცები

ყელთან მიბჯენილი მახვილი

ყელთან ბიჯენილა მახვილი...

ჩვენთან ჯერ ისევ წერენ პოეტები

ძელები დასუსტდნენ

ჩვენთან ჯერ ისევ წერენ პოეტები

ფურცლებზე ამბობენ... რასაც არ აკეთებენ...

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ელგეების კრებული, რომელიც მის პირად ტრაგედიასთანაა დაკავშირებული. სუად ალ-საბაჰის ცხოვრებაში ორი დიდი ტრაგედია მოხდა პირველი უკავშირდება 1971 წელს ვაჟის დაკარგვას, რომლის ხსონანს მიუძღვნა დივანი “შენთვის, ჩემო შეილო”. მეორე – ქმრის შეიხ აბდ ალ-ლაჰ მუბარაჟ ალ-საბაჰის გარდაცვალებას. სწორედ მას მიუძღვნა მარსია, რომელიც შეიძლება თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში ცოლის მიერ ქმრის დატირების იშვიათ ნიმუშად მივიჩნიოთ. თანამედროვე არაბულ პოეზიაში პოეტის ქალი მიერ ქმრისადმი მიძღვნილი მარსიის ნიმუში არ მოიპოვება, განსხვავებით კლასიკური გლოვის ჟანრისაგან (9, 78).

სუად ალ-საბაჰის მომდევნო კრებული “პირველად იყო ქალი” არის ლექსები პროზად, რომელშიც შინაარსობრივი მხარე გარკვეულწილად ფორმის ზეწოლას განიცდის. არაბი მკვლევრები აღნიშნავენ, რომ აქ ლექსი სტრუქტურულად სონეტს უახლოვდება,

ზოგჯერ კი საზომის აბსოლუტური უარყოფა და ნამდვილ პროზაზე გადასვლა ხდება, მაგ.:

اتركني نائمة خمس دقائق

على كتفك

حتى تتوازن الكرة الأرضية.

“დამტოვე მიძინარე ხუთიოდ წუთი

შენს მხრებზე

რათა გაწონასწორდეს დედამიწა” (13, 20).

საინტერესოა, რომ სუად ალ-საბაჰის მომდევნო, პოეტური სიმღერის ხანაში შექმნილ კრებულში “ქალი ნაპირების გარეშე”. პირიქით, ტრადიციულ სალექსო ფორმებისაკენ მიბრუნება ხდება. თუმცა, პოეტური ექსპერიმენტები აქაც გრძელდება. ამ მხრიმ საინტერესოა ლექსი “შავი კასიდა”:

"القصيدۃ السوداء"

كم غيرتني الحرب . . يا صديقي

كم غيرت طبيعتي.

وغيرت أنوثتي.

ويعترت في داخلي الأشياء.

فلا الحوار ممكن.

فلا الصراخ ممكن.

ولا الجنون ممكن.

فنحن محبوسان في قارورة البكاء . . .

“რაოდენ შემცვალა ომმა ჩემო მეგობარო

რაოდენ შემიცვალა ბუნება.

როგორ შეცვალა ჩემი ქალურობა.

და ჩემს შიგნით გაიფანტა რაღაცეები.

არც დიალოგი,

აღარც ყვირილი

და არც სიგიჟე არ შეგვიძლია.

ჩვენ, ორნი ქალურ მოთქმაში დაგვატუსაღეს.

[ჩვენ, ორნი დაგვატუსადღეს ტირილის ბოთლში.]

პოეტმა მალევე დააღწია თავი “სატუსალოს” და გამოსცა დივანი “მიმიყვანე მზესთან”, რომელშიც ისევე ჩანს მისი ორიგინალური ხედვა.

1999 წელს გამოსულ კრებულში “ლექსი ქალია და ქალია ლექსი” სრულყოფილი სახითაა მოცემული ის ექსპერიმენტი და დივერსიფიკაციული მოძრაობა, რომელიც წარმოადგენდა “ახალი ქალის” სახელწოდებით ცნობილი ქალთა მოძრაობის გამოძახილს არაბულ სამყაროში და რომელმაც, კიდევ ერთხელ, დაამტკიცა მოსაზრება, რომ წინასწარ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ პოეტური განვითარების ხაზი სუად ალ-საბაჰის შემოქმედებაში.

შეიძლება ითქვას, რომ სუად ალ-საბაჰის ლექსის სტრუქტურის თავისებურებებს აპირობებს თვალთახედვა, რომლითაც იგი ქმნის პოეტურ სახეს.

სუად ალ-საბაჰი პოეტური იდეის ხორცშესასხმელად ქმნის საკუთარ პოეტურ სახეებსა და სიმბოლოებს. მაგალითად: ქალი – ღრუბელი, სამშობლო, ოცნებების გემი, დედამიწა და თავთავი... მამაკაცი – დედაქალაქი, მთვარე, ტომი, ნავთსაყუდელი... სიყვარული – ზვიგენები არტერიებში, სავსე მზე და ელვით დატენილი თვალები, უჩვეულო ხმაური სისხლში, პოეტური ჟრუნტელი კანქვეშ, ღამაზი ბელურები, ღვთის საიდუმლოს კითხვა, მზის სხივთა პარვა, თვალის გასადები, თევზი-ანკარა თვალეებში მოცურავე, რელიგია, თავად რომ ირჩევს მოციქულებს, მთვარის ხილი, თავთავი მკერდის მინდორზე და სხვ. თავისუფლება – დედამიწის წონასწორობა... სატრფო – ცხოვრების ობოლი მარგალიტი, ყველაზე მაღალი ხე... ოცნება – თეთრი გედი და ა. შ.

აქ ჩვენ ვხედავთ ჯერ კიდევ ისლამამდელ პერიოდში ჩამოყალიბებული არაბული პოეტიკის იმ თავისებურებებს, რომლითაც არაბი პოეტები ცდილობენ ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის ხატის შექმნას ისე, რომ არ ახსენონ თვით საგნის სახელი. პოეტი თითქოს

იძლევა გამოცანას, რომლის ახსნა მკითხველს ევალება. არაბული პოეტიკის ამ თავისებურებაზე მუალაკების კრებულის შესავალ სტატიაში მიუთითებს ნ. ფურცველაძე.

სუად ალ-საბაჰის პოეზია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მულმივი უარყოფისა და ექსპერიმენტის მცდელობა. პოეტური თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლაში პოეტი ქალი ყოველთვის მიმართავს ექსპერიმენტს; ხდება ნორმების, ძველი ფორმების, შინაარსის, ვერსიფიკაციის უარყოფა; მაგრამ, ამავე დროს, არ კმაყოფილდება მხოლოდ უარყოფის პროცესით; მისი პოეზია გამუდმებით კავშირშია ტრადიციულთან. ამიტომ, არა “სრული უარყოფით”, არამედ “გონიერული უარყოფით” ცდილობს საკუთარი სტილის დამკვიდრებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მის შემოქმედებაში ნოვაცია უსათუოდ გულისხმობს ტრადიციასაც. სუად ალ-საბაჰის პოეზიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენას. იგი პოეზიის ტრადიციული ენის გვერდით აქტიურად იყენებს მედიის, პოლიტიკური და სამეცნიერო ტერმინოლოგიის ენას. მისი ლექსი ფორმალური, შინაარსობრივი და ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით ზუსტად გადმოსცემს XX ს.-ის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ პოეტი ქალის შემოქმედებაში სრულყოფილი სახითაა მოცემული ის ექსპერიმენტი და დივერსიფიკაციული მოძრაობა, რომელიც ქალთა მოძრაობის გამოძახილს წარმოადგენდა არაბულ სამყაროში.

უნდა აღინიშნოს, რომ სუად ალ-საბაჰის სახით ქალმა არაბულ საზოგადოებაში მამაკაცის გვერდით დაიმკვიდრა ადგილი და შეძლო ლიტერატურული შესაძლებლობების გამოვლენაც.

დასკვნები

მუსლიმური რეფორმაცია, ანუ მოდერნიზმი, წარმოადგენდა რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელსაც სათავეში მუსლიმი სასულიერო პირები ჩაუდგნენ და მიზნად დაისახეს რელიგიის განახლება, მისი შეთავსება დღევანდელობის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ამოცანებთან. იგი გამოწვეული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებით.

ამ პერიოდში მწვავედ დადგა ევროპულ კულტურასთან ისლამური მემკვიდრეობის ურთიეთშეთავსების საკითხი. ერთი მხრივ, საჭირო იყო არაბული ენის, კულტურული ტრადიციის შენარჩუნება და ამავე დროს, ფეხი უნდა აეწყოთ დასავლური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის. ამასთანავე, მუსლიმურ სამყაროში მწვავედ დადგა ქალთა ემანსიპაციის საკითხი. არაბულ ქვეყნებში პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, საერთო დემოკრატიულმა ძვრებმა განაპირობა ქალთა საკითხის აქტუალობა. ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში საგრძნობლად შეიცვალა.

მთავარი პრობლემები, რომელთაც მუსლიმი მოდერნისტები განიხილავდნენ ქალთა მიმართებაში, ეხებოდა ქორწინებისა და განქორწინების, პიჯაბის ტარების, საოჯახო სამართლის და სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუსლიმი ქალის მონაწილეობის საკითხს.

მუსლიმი რეფორმისტების მოღვაწეობამ XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა ისლამის მოდერნიზაციის შემდგომ პროცესს და რაც მთავარია, ქალთა ემანსიპაციის საკითხთან დაკავშირებით, განსაზღვრა პოზიცია, რომლის საფუძველზეც

არაბულმა საზოგადოებამ ქალი აღიქვა, როგორც მისი სრულუფლებიანი წევრი, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული მომავალი თაობისა და ერის ბედი მომავალში.

არაბულ სამყაროში თანამედროვე ეტაპზე ქალთა ემანსიპაციის პრობლემების მოგვარება მიმდინარეობს საკანონმდებლო გზით. მიუხედავად ამისა, ქალთა საკითხი ჯერ კიდევ აქტუალურია. მართალია, შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ ძნელად მიმდინარეობს საზოგადოებრივ შეხედულებათა ცვლილებები.

არაბმა განმანათლებლებმა XIX ს.-ის II ნახევარში მწვავედ დააყენეს არაბული საზოგადოების წინაშე ქალთა ემანსიპაციის საკითხი. ატ-ტაჰტაუი, ჯამალ ად-დინ ალ-აფლანი, კასიმ ამინი, ვალი ად-დინ იეჰუნი და სხვა არაბი განმანათლებელი მოითხოვდა ქალთა უფლებების აღიარებას ოჯახში და ქორწინებაში. მათი ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში მომავლის საქმედ მიაჩნდათ. არაბი რომანტიკოსები კი მოითხოვდნენ ქალისა და მამაკაცის სრულ თანასწორუფლებიანობას ყველა სფეროში.

მუსლიმი იდეოლოგები ქალთა საკითხთან დაკავშირებით ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათის მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ერთი მხრივ, ცდილობდნენ ფეხი აეწყოთ საზოგადოებრივი განვითარების პროცესისათვის და ამასთანავე, შეენარჩუნებინათ ყურანისა და შარიათის ნორმები; ეჩვენებინათ, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ პროგრესსა და განვითარებას.

თუ XIX ს.-ის მეორე ნახევარსა და XX ს.-ის დასაწყისში ქალთა უფლებებისთვის მებრძოლები ძირითადად მამაკაცები იყვნენ, XX ს.-ში ამ მოძრაობაში უშუალოდ არაბი ქალები ჩაერთვნენ: ლაბიბა ჰაშიმი, მალექ ჰიფნი ნასეფი, ნაბაკია მუსა და სხვ.

როდესაც არაბულ სამყაროში ქალთა მწერლობის განვითარებაზე ვსაუბრობთ, უპირველესად საჭიროა გამოვავლინოთ განსხვავება და მსგავსება მამაკაც და ქალ მწერლებს შორის. მსგავსებას ქმნის

პრობლემა თვალსაზრისით, რომელიც განსაზღვრულია ეპოქით და იმ საზოგადოებით, რომელშიც ცხოვრობს მწერალი და განმასხვავებელი კი არის მიდგომა საკითხისადმი, ხოლო განსხვავება მიდგომარეობს საკითხის დასმის, პრობლემისადმი მიდგომისა და მისი გადაჭრის სპეციფიკაში.

XIX ს.-ის ბოლოს, როდესაც არაბი მწერალი ქალები სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ახალი არაბული ლიტერატურის სპეციფიკა, რომ აღარაფერი ეთქვათ ახალი ლიტერატურული ტრადიციის შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე არაბული ლიტერატურაში მიმდინარეობდა დიდი გარდაქმნები, რომლის საფუძველზეც ისახებოდა ახალი ლიტერატურის განვითარების კონტურები. ამდენად, მწერალ ქალებს უწევდათ ყოფილიყვნენ პირველები გზამკვლევა შორის, რომლებიც ითვალისწინებდნენ ლიტერატურული ტრადიციის სპეციფიკას, რაც თავის მხრივ ბუნებრივ და კანონზომიერ ბაზისს უქმნიდა ახალი ლიტერატურის განვითარებას.

XIX ს.-ის ბოლოსა და XX ს.-ის დასაწყისში ახალი არაბული ლიტერატურის აღმავლობას წინ უძღოდა მწერალ-პუბლიცისტთა მოღვაწეობა, რომლებმაც შეძლეს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ამ პერიოდში არაბული სამყაროს უმნიშვნელოვანესი პრობლემისადმი. ამგვარად, ვითარდება სირიასა და ეგვიპტეში ქალთა პრესა და ამ მიმართულების წარმომადგენლები ძირითადად ქალები არიან. XIX ს.-ის ბოლო და XX ს.-ის დასაწყისი არაბულ ლიტერატურაში ისეთ პერიოდად შეიძლება დავახასიათოთ, როდესაც სწრაფად ვითარდება პუბლიცისტიკა და ძირითადად მიმდინარეობს მთარგმნელობითი საქმიანობა. ფაქტიურად, მწერალი პუბლიცისტები უდიდეს გავლენას ახდენენ არაბული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. მათი შემოქმედების დიდი დამსახურებაა თანამედროვე ლიტერატურული ენა ჩამოყალიბება და მკითხველთა

ფართო წრის შექმნა. ამ პერიოდის მწერალთა შემოქმედება უფრო საინტერესოა არაბული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით. მათ ნაწარმოებებს მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულება ნაკლებად გააჩნიათ. ამ ეპოქას შეიძლება განმანათლებლობის ეპოქა ეწოდოს, ვიდრე ლიტერატურული შემოქმედების.

ქალთა განათლების საკითხში პროგრესი უდავოდ იყო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კაიროს უნივერსიტეტის ქალთა ფაკულტეტზე პროგრამა ითვალისწინებდა არა მკვლევართა და მეცნიერთა, არამედ ოჯახის სამაგალითო დიასახლისების მომზადებას. მიუხედავად ამისა, თავად ფაქტი, ქალთა სპეციალური ფაკულტეტის გახსნისა, პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა. ამ მხრივ ქალთა მოძრაობის პროგრესი თვალსაჩინოა და ამის დასტურია ის, რომ ქალისათვის განათლების მიღების აუცილებლობა საყოველთაოდ გაზიარებულ აზრად იქცა და ეს არაბულ სამყაროში თვით ყველაზე კონსერვატულ წრეებშიც კი ეჭვს აღარ იწვევდა.

ქალთა პრესის განვითარება სირიელ მწერლ ქალებს უკავშირდება. ტუმცა გამოცემა ძირითადად ეგვიპტეში ხდებოდა.

გამოჩნდა პირველი ეურნალები, რომლებიც აშუქებდნენ რა ქალთა ემანსიპაციის საკითხს, ამავე დროს აღვივებდა მისადმი საზოგადოების ინტერესს არაბულ ქვეყნებში.

ქალთა მოძრაობისა და მწერლობის განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ სამი ეტაპი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება არაბულ ქვეყნებში ეროვნული თვითშეგნების ზრდას. იგი შთაგონებული იყო დასავლეთის გაელენით, ევროპის კულტურასა და ლიტერატურის მიღწევათა ათვისებით.

აღსანიშნავია, ქალთა საკითხთან დაკავშირებით რომანტიკოსთა პოზიცია. თუ განმანათლებლები გამოსავალს ხედავდნენ განათლებაში და მათი ბრძოლა იფარგლებოდა ქალის უფლებების აღიარებით ოჯახში, რომანტიკოსებმა, განსაკუთრებით ჯებრანმა, აღიარა

განათლების მნიშვნელობა, მაგრამ ის მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებად ჩათვალა. რომანტიკოსებისათვის ძირითადია სიყვარული. ჯებრანმა გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნია ქალისა და მამაკაცის თანაბარი უფლებები ქორწინებაში, ცხოვრების თანამგზავრის თავისუფალი არჩევა, თავისუფლება სიყვარულში.

რომანტიკოსებთან ქალი უსიტყვოდ არ ემორჩილება ბედს, იგი გამოხატავს პროტესტს. შესაძლებელია ის დაიღუპოს და ვერ შეძლოს საკუთარი ნების ასრულება, მაგრამ მისთვის მოვალეობაზე მაღლა პირადი თავისუფლება დგას. ის უკვე პირადი ბედნიერებისათვის მებრძოლია.

რეალისტური მიმდინარეობის წარმომადგენელთა შემოქმედებაში ჩნდება “ახალი ქალის” სახე, რომლის შესახებაც კასიმ ამინი თავის წიგნში “ახალი ქალი” წერდა.

არაბული საზოგადოების დამოკიდებულება ქალთა საკითხისადმი წლებთან ერთად იცვლებოდა. საზოგადოებრივ განწყობილებათა ცვლა აისახა 50-იანი წლების შემდგომ ლიტერატურაში. მათთან უკვე მოვალეობა გადამწყვეტი აღარ არის.

ქალთა საკითხი არაბულ სამყაროში დღესაც აქტუალურია. მართალია, შეიცვალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ ძნელად მიმდინარეობს საზოგადოებრივ შეხედულებათა ცვლილებები. რთულია იმ ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ყალიბდებოდა ისლამურ სამყაროში. სწორედ ეს მრავალმხრივი და ხანგრძლივი პროცესია ასახული თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში.

სუად ალ-საბაჰის პოეზიაში ჩნდება არაბი ქალის არატრადიციული სახე, რომელიც მკვეთრად განსხვავდება არაბულ პოეზიაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული სახეისაგან. ეს არის “ანტი-ქალი”, რომელიც ითხოვს “არატრადიციულ წაკითხვას” და სამაგიეროდ იძლევა დაპირებას, რომ იქნება

შეყვარებული მამაკაცისათვის “სამშობლო”, რომელიც დაღლილია “სიყვარულზე ტრადიციული საუბრისაგან”; ითხოვს თავისუფლებას სიყვარულში და ნატრობს “წელი ექცეს თავთავად და თმა მსოფლიოს ყველაზე დიდ მდინარედ”.

შუა საუკუნეების არაბულ პოეზიაში ქალი არის მამაკაცის ტრფობის ობიექტი. სუად ალ-საბაჰის პოეზიაში კი ქალი თავად არის ამ გრძნობის მატარებელი. იგი უკვე დამკვიდრებულია არაბულ სოციალურ გარემოში და ცდილობს გრძნობათა გამოხატვის თვალსაზრისითაც ტოლი არ დაუდოს მამაკაცს.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე არაბულ პოეზიაში სუად ალ-საბაჰის ლირიკულ გმირს ჰყავდა წინამორბედი და ამის თვალსაჩინო მაგალითია ნიზარ კაბანის პოეზია.

შიქლა და ითქვას, რომ სუად ალ-საბაჰის პოეზიაში ახალი მიდგომა ჩანს ქალთა საკითხისადმი. პოეტმა მართალია იცის, რომ არაბულ სამყაროში საზოგადოებისათვის ძნელია შეეგუოს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციების რღვევას, რომ ქალმა შეიძლება შეცვალოს სიყვარულის დამკვიდრებული გაგება და თავისუფლად გამოხატოს გრძნობები. მიუხედავად ამისა, თანამედროვე არაბი ქალი მუდმივად მისწრაფის თავისუფლებისაკენ. სწორედ ასეთია სუად ალ-საბაჰის პოეზიის ლირიკული გმირი.

მისი ლექსების გმირი-ქალი არ არის მხოლოდ რეალობის აღმქმელი, არამედ თავისუფლებისათვის მებრძოლია. სუად ალ-საბაჰის ლირიკული გმირი XX ს.-ის არაბი ქალის საუკეთესო თვისებათა მატარებელია, რომლისთვისაც მთავარი ღირებულებაა პუმანიზმი და რომელიც ცდილობს გამორჩეული იყოს საზოგადოებისაგან ინდივიდუალიზმის ნიშნით.

სუად ალ-საბაჰის შემოქმედების კვლევა საკმაოდ რთულია, რადგან მისი პოეზია არის მუდმივი ძიებისა და სიახლის კავშირი ტრადიციულთან. მასში ერთადაა წარმოდგენილი პოეტური და

პროზაული. ეს რაც განაპირობებს მისი ლექსის სტრუქტურულ სირთულესა და ორიგინალობას.

არაბულ პოეზიაში თანამედროვე ეტაპზე ტრადიციული ლექსთწყობის პრინციპების უარყოფა ხდება და ისეთი ფორმების ძიება იწყება, რომელიც უცხოა არაბული პოეზიისათვის. სუად ალ-საბაჰი გაბედულად მიმართავს ექსპერიმენტს და იყენებს როგორც სინთეზურ, ასევე წმინდა არაბულ საზომებს.

მის პოეტურ კრებულებში სრულყოფილი სახითაა მოცემული ის ექსპერიმენტი და დივერსიფიკაციული მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს არაბულ სამყაროში “ახალი ქალის” სახელწოდებით ცნობილი ქალთა მოძრაობის გამოძახილს. შეიძლება ითქვას, რომ სუად ალ-საბაჰის პოეტური შემოქმედება ყველა იმ ნიშნის მატარებელია, რომელიც დამახასიათებელია XX ს.-ის ახალი არაბული პოეზიის განვითარებისათვის; ეს არის ფორმისა და შინაარსის განუწყვეტელი ნოვაცია, რომელიც, ამავე დროს, თავისთავში შეიცავს ტრადიციულსაც.

ლიტერატურა

1. ბუქური მ., ქალი თურქეთის რესპუბლიკაში, აღმოსავლეთი და კავკასია, 3, თსუ, 2005, გვ. 48-54.
2. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2003.
3. გელოვანი ნ., მუსლიმი ქალის სახე ბიოგრაფიულ კრებულებში, პერსპექტივა XXI, IV, თბილისი, 2002, გვ. 33-36.
4. გელოვანი ნ., ქალი ისლამში (VI-Xს.) თსუ, 2005.
5. გელოვანი ნ., ქალი და ხელისუფლება ადრეულ ისლამში, პერსპექტივა XXI, V, თბილისი, 2003, გვ. 25-31.
6. გელოვანი ნ., ქალი და ქორწინება ისლამში, აღმოსავლეთი და კავკასია, 3, თსუ 2005, გვ. 79-91.
7. გელოვანი ნ., პიჯაბი ყურანსა და ჰადისებში, ორიენტალისტი II, თბილისი 2003-2004, გვ. 71-90.
8. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 1999.
9. მახაური ლ., მარსია ახალ არაბულ პოეზიაში, პერსპექტივა XXI, V, თბილისი, 2003, გვ. 73-78.
10. მუალაკები, არაბულიდან თარგმნა წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო ნანა ფურცელაძემ, თბილისი, 1985.
11. სილაგაძე ა., ახალი არაბული ლიტერატურის განვითარების პროცესი და არაბული ლიტერატურათმცოდნეობა, წიგნში: ა. სილაგაძე, ჯ. იბრაჰიმი, თანამედროვე არაბული ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა, თსუ-ს გამომცემლობა თბილისი, 1988.
12. სილაგაძე ა., არაბული ლექსის სტრუქტურის საკითხები, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, 1, 1971, გვ. 89-104.
13. სუად აღ-საბაჰი, პირველად იყო ქალი, მთარგმნელები მარინა თხინვალელი, ლადა ჯაფიში, "მეგობრობის სახლი", ალექო, 1996.

14. ქველიძე ლ., ქალთა საკითხი თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში, ქსუს შრომები, ტ. IV (38), ისტორიისა და ფილოლოგიის სერია, 2004. გვ. 233-237.
15. ქველიძე ლ., მუსლიმური რეფორმაცია და ქალთა ემანსიპაციის პრობლემა, აღმოსავლეთმცოდნეთა III საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ქუთაისი, 2004. გვ. 195-202.
16. ქველიძე ლ., ქალთა ემანსიპაციის საკითხი თანამედროვე არაბულ სამყაროში, ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის II რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, 2004. გვ. 205-207.
17. ქველიძე ლ., ქალის სახე თანამედროვე ეგვიპტურ პროზაში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VII (II), 2005. გვ.234-250.
18. ქველიძე ლ., სიყვარული და თავისუფლება სუად ალ-საბაჰის პოეზიაში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VIII (II), 2006. გვ.280-288.
19. ქუთელია მ., მუჰამმად ჰუსეინ ჰაიქალის “ზეინაბი” და სენტიმენტალურ-რომანტიკული ტენდენციები არაბულ ლიტერატურაში, ტიპოლოგიური ძიებანი, IV, თბილისი, 2000.
20. ქუთელია მ., ქალთა ემანსიპაციის პრობლემები არაბ განმანათლებლებთან და რომანტიკოსებთან, სემიტოლოგიური ძიებანი, IV, თბილისი, 1988.
21. ქუთელია მ., საგანმანათლებლო მოძრაობა ეგვიპტესა და სირია-ლიბანში, აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული, ქუთაისი, 2003, გვ. 202-208.
22. ჯაველიძე ე., რუჰი ბაღდადი, თბილისი, 1968.
23. Абу Саад Ахмед, Современная арабская поэзия в Судане, сб. Современная арабская литература, Наука, Москва, 1960, гв. 118-143.

24. Аль-Наджар Фатен, Проблема женщины в арабской журналистике, Сб. Женщина в арабской журналистике, Штрихи к социальному портрету, СПб. 1998, ст. 19-21.
25. Андреев А., О некоторых новых тенденциях в исламском мире, В кн. Ближний и Средний Восток, Москва, 1967.
26. Ан-Наим А. А., На пути к исламской реформации, Перевод с английского О. Феединой, Москва, 1999.
27. Бартольд В. В., Первоначальный Ислам и женщина, Избр. Соч., Т.6, 1960, ст.648-663
28. Борисов В. М., Современная египетская проза, Изд. АН СССР, Москва, 1961.
29. Вагабов М. В., Ислам и Женщина, Москва, 1968.
30. Вагабов М. В., Ислам и семья. Москва, 1980.
31. Волосатов В., Вступительная статья к книге Джебран Халил Джебран, Сломанные крылья, Москва, 1962.
32. Гибб Х. А., Арабская литература, Изд. Вост. Лит., Москва, 1960.
33. Городецкая А., Предисловие к сб. Новая арабская поэзия, Москва, 1958, §§. 3-9.
34. Долинина А. А., Из предистории реализма в новой арабской литературе, сб. Проблемы становления реализма в литературах Востока, Изд. Вост. Лит., Москва, 1964, §§. 283-291.
35. Долинина А. А., Женский вопрос в исторических романах Джирджи Зеидана, сб. Теоретические проблемы восточных литературах, Москва, 1969, §§. 55-68.
36. Долинина А. А., О некоторых характерных чертах Просвещения на арабском Востоке, сб. Труды межвузовской научной конференции по истории литератур Зарубежного Востока, Москва, 1970.
37. Долинина А. А., Очерки истории арабской литературы нового времени (Египет и Сирия), Москва, 1973.
38. Долинина А. А., Предисловие к кн. Современная арабская проза, Москва, 1961.

39. Долинина А. А., Заметки о египетской литературе нового и новейшего в
ремени. Фольклор и литература народов африки, Отв. Ред. Д. А. Ольдерогге,
Москва, 1970. с.28-42.
40. Из афро-азиатской поэзии, Москва, 1981.
41. Имангулиева А. Н., Становление и основные тенденции арабского
эмигрантской литературы, сб. Советское востоковедение, Москва, 1988, № 69-
82.
42. Кирпиченко В. Н., Современная египетская проза 60-70-е гг., Наука,
Москва, 1986. ст.12-36.
43. Климович Л. Н., Ислам и женщина, Изд. Полит. Лит., Москва, 1958.
44. Кочубей Ю. Н., Возникновение поэзии "свободного стиха" в Ираке и ее
художественные особенности в свете традиции арабской поэзии., Автореферат
дис. канд. фил. наук., Москва – Баку, 1977.
45. Крачковский И. Ю., Избр. соч. т.Ш, Москва-Ленинград, 1956.
46. Крачковский И. Ю., Предисловие к книге "Касим Амин . Новая Женщина",
Избр. соч. т. III, Москва- Ленинград, 1956.
47. Кримский А. Е., История новой арабской литературы (XIX- начало XX
века)., Москва, 1971.
48. Куделин А. Б., О путях развития новой арабской поэзии, в кн. Взаимосвязи
африканских литератур мира, Москва, 1975.
49. Куделин А. Б., Арабская литература, поэтика, стилистика, типология,
взаимосвязи. Языки славянской культуры., Москва, 2003.
50. Левин З. Н., Развитие основных течений общественно-политической мысли
в Сирии и Египте, Наука, Москва, 1972.
51. Силагадзе А. А., Банд. Труды ТГУ. 180. серия востоковедение. 1976. ст.49-
60.
52. Усманов Н. К., Литература востока в новое время (Учебник для вузов), Изд.
Московского ун-та, 1975.

53. Усманов Н. К., К характеристике некоторых особенностей арабского просвещения, сб. Труды межвузовской конференции по истории литератур Зарубежного Востока, Москва, 1970.
54. Сафронов В. В., К зарождению романтического направления в египетской поэзии начала 20-го века. Вестник Московского университета. Серия 13 Востоковедение, Москва, 1987, №3. 32-39.
55. Соколова И. Н., Новое поколение писательниц в современной египетской прозе. Востоковедение: Фил. исслед. Отв. ред. Проф. А. А. Бальдирев, Вып.5, Ленинград, 1977, с.102-112.
56. Соколова И. Н., «Новая Женщина» в египетской литературе 30-х годов («Ева без Адама» Махмуда Тахира Лашина), Востоковедение: Фил. исслед. Отв. ред. Проф. В.Б. Касевич, С.-Петербургский университет, вып. 22, 2002, с. 194-202.
57. Тимофеев И. В., «Новая поэзия» в зеркале арабской критики 60-х годов, в кн. Литературы зарубежной Азии в современную эпоху, Изд. Вост. Лит., Москва, 1975, №3. 325-348.
58. Шаидулина Л. Н., Арабская женщина и современность, Наука, Москва, 1978.
59. Шаидулина Л. Н., Эволюция воззрений мусульманских идеологов арабских стран по женскому вопросу, Автореферат дис. канд. фил. наук, Москва, 1984.
60. Юдашев А., К., Эволюция арабской любовной лирики, Авт. дис. канд. фил. наук, Москва, 1987.
61. Abbot N., Women and the State in Early Islam-Journal of Near Eastern Studies, 1, 1942.
62. Badawi M. M. A., Critical Introduction to Modern Arabic Poetry, Cambridge University Press, 1975.
63. Badawi M. M. A., Short History of Modern Arabic Literature, Oxford, Clarendon Press, 1993.
64. Bakalla M., H., Arabic Culture, London, Boston, Melbourne and Henley, 1984.

65. Baron Beth, *The Women's Awakening in Egypt: Culture, Society and the Press*, New Haven and London, Yale University Press, 1994.
66. Boullata K., additor and translator. *Women of the Fertile Crescent: an Anthology of Modern Poetry by Arab Women*, Washington D. C.: Three Continents Press, 1978.
67. Cooke Miriam, *War's Other Voices: Women Writers on the Lebanese Civil War*, Cambridge University Press, 1988.
68. *Encyclopedia De L'Islam*, Leiden, ed. Brill, 1987, v.IV.
69. Engineer A. A., *The Rights of Women in Islam*, London, 1992.
70. Esposito John L., *Women in Muslim Family Law*. Syracuse, New York, Syracuse University Press, 1982.
71. Al-Hibri, Aziza, *A study of Islamic History or How did we ever get into this Mess? Women and Islam*, *Women's Studies International Forum Magazines*, 5, 1982, 33. 193-206.
72. Hourany Albert, *Arabic Thought in the Liberal Age 1798-1939*, Oxford, Oxford University Press, 1970.
73. *Islam. The Straight Path*, Expanded Edition John L. Esposito, New York, Oxford University Press, 1991.
74. Jawad H. A., *The Rights of Women in Islam. An Authentic Approach*. Palgrave, 1998.
75. Jayyusi Salma Khadra, editor. *Modern Arabic Poetry: An Anthology*. New York: Columbia University Press, 1987.
76. Jayyusi Salma Khadra, *Trends and Movement in Modern Arabic Poetry*, Leiden, 1977.
77. Kerr Malcolm H., *Islamic Reform: The Political and legal Theories of Muhammad Abduh and Rashid Rida*. Berkeley: University of California Press, 1966.
78. Ahmed L., *Women and Gender in Islam: Historical Roots of a Modern Debate*. New Haven and London, 1992.
79. Lewis B., *The Arabic history*, Oxford University Press, 1993.
80. Moreh S., *Studies in Modern Arabic Prose and Poetry* Leiden, 1988.

81. Minai N., Women in Islam, New York, Seaview Books, 1981.
82. Nawal El Saadawi., The Hidden Face of Eve-Women in the Arab World, London: Zed Books, 1980.
83. Hafez Sabri, Womens Narrative in Modern Arabic Literature, From Love and Sexuality in Modern Arabic Literature, Sagi Books, 1995.
84. Stowasser B.F., Women and Citizenship in the Qur'an- Women, the Family and Diverce laws in Islamic History. Ed. By Amira El-Azhary Sonbol. Syracuse University Press, 1996.
85. Jane I. Smith, Women, Religion and Social Change., Ed. By Y.Y. Haddad and E.B. Findlay, New York, 1985
86. أحمد محمد سالم، المرأة في الفكر العربي الحديث، الهيئة المصرية العامة للكتاب، القاهرة، 2003.
87. برهان بخاري، سعد الصباح - دراسة جديدة، شركة النور، بيروت، 1999.
88. جلال خليفة، الحركة النسائية الحديثة، القاهرة، المطبعة الحديثة، 1973.
89. رفاعة رافع الطهطاوي، تحرير امرأة مسلمية، كتاب المرشد الأمين في تربية البنات والبنين، تنقيح وتقديم وتعليق: يحيى الشيخ، دار البراق، بيروت، 2000.
90. روز غريب، نسمات وأعاصير في الشعر النسائي العربي المعاصر، المؤسسة العربية للدراسات والنشر، بيروت، 1980.
91. سعد الصباح، لحظات من عمري (شعر)، دار اليوم للنشر، بيروت، 1964.
92. سعد الصباح، أمنية (شعر)، مطابع دار المعارف، القاهرة، 1971.
93. سعد الصباح، اليك يا ولدي (شعر)، مطابع دار المعارف، القاهرة، 1982.
94. سعد الصباح، فتايت امرأة (شعر)، منشورات أسفار، بغداد، 1986.
95. سعد الصباح، في البدء كانت الأنثى (شعر)، رياض الريس للكتب والنشر، لندن، 1988.
96. سعد الصباح، حوار الورد و البنادق (شعر)، رياض الريس للكتب والنشر، لندن، 1990.
97. سعد الصباح، آخر السيوف (شعر)، دار سعد الصباح، الكويت، 1992.
98. سعد الصباح، قصائد الحب (شعر)، دار سعد الصباح، الكويت، 1992.
99. سعد الصباح، امرأة بلا سواحل (شعر)، دار سعد الصباح، الكويت، 1994.
100. سعد الصباح، هل تسمحون لي أن أحب وطني، مطابع دار صادر، بيروت، 1994.
101. سعد الصباح، حقوق الإنسان في العالم المعاصر، دار سعد الصباح للنشر والتوزيع، 1997.
102. سعد الصباح، خدني لى حدود الشمس (شعر)، دار سعد الصباح، الكويت، 1997.
103. سعد الصباح، القصيدة أنثى والأنثى قصيدة (رثاء)، دار سعد الصباح، الكويت، 1999.

104. سعاد الصباح، مخترعات مقترحة، تقديم د. محمد عناعي، الهيئة المصرية العامة للكتاب، القاهرة، 2003
105. سعاد المناع، ألب المرأة في الجزيرة والخليج، موسوعة الكاتبة العربية 1873-1999، الجزيرة والخليج واليمن والكتابات باللغات الأجنبية، المجلد الرابع، المجلس الأعلى للثقافة، مؤسسة المرأة العربية للأبحاث والنشر، 2004، 7-10، ج3
106. سعاد مفرح، الشاعرة سعاد الصباح: امرأة لا تعرف الحذر ولا السكون، العربي، العدد 555، فبراير، 2005، 68-75، ج3
107. سعيد خاطر الفارسي، سعاد الصباح بين الاستلاب والاعتراب، مكتبة الآداب، القاهرة، 2003.
108. صلاح فضل، الشعر العربي وتحولاته، العربي، العدد 493، ديسمبر 1999، 117-122، ج3
109. طه وادي، سورة المرأة في الرواية المعاصرة، دار المعارف، القاهرة، 1994.
110. عباس محمود العقاد، محمد عبده، الهيئة المصرية العامة للكتاب، القاهرة، 1969.
111. عبد الحلیم أبو شقة، تحرير المرأة في عصر الرسالة، دراسة جامعة نصوص القرآن صحيحي البخاري ومسلم الكويت، دار القلم، 1995.
112. فضل الأمين، سعاد الصباح شاعرة الانتماء الحميم، مطابع دار صادر، بيروت، 1994.
113. فاضل خلف، سعاد الصباح الشعر والشاعرة، منشورات شركة النور للطباعة والنشر، الطبعة الأولى، 1992.
114. قاسم أمين، الأعمال الكاملة، تقديم وتحقيق الدكتور محمد عمارة، دار المشرق، بيروت، 1979.
115. لیلی صالح، أدباء وأدبيات الكويت أعضاء الرابطة 1963-1996، الكويت، رابطة أدباء الكويت، 1996.
116. محمد التونجي، قراءة مسافر في شعر سعاد الصباح، الكويت، 1993.
117. محمد حسن عبد الله، الحركة الأدبية والفكرية في الكويت، رابطة أدباء الكويت، 1973.
118. محمد الرميحي، رفع حجاب الأوهام عن حال المرأة العربية، العربي، العدد 467، أكتوبر، 1997، ج3، 18-27
119. محمد عناعي، التماس من شعر سعاد الصباح، الهيئة المصرية العامة للكتاب، القاهرة، 2001.
120. محمود حيدر، لغة التماس، مطالعة في شعر سعاد الصباح، مؤسسة دار للكتاب الحديث، 1995.
121. مفيد فوزي، سعاد الصباح: مفاتيح قلب شاعرة، الهيئة المصرية العامة للكتاب، القاهرة، 2000.
122. موسوعة الكاتبة العربية 1873-1999، لبنان وسوريا، المجلد الأول، المجلس الأعلى للثقافة، مؤسسة المرأة العربية للأبحاث والنشر، 2004.
123. موسوعة الكاتبة العربية 1873-1999، مصر والسودان، المجلد الثاني، المجلس الأعلى للثقافة، مؤسسة المرأة العربية للأبحاث والنشر، 2004.

124. موسوعة الكتابة العربية 1873-1999، العراق وفلسطين و الأردن والمغرب العربي، المجلد الثالث، المجلس الأعلى للثقافة، مؤسسة المرأة العربية للأبحاث والنشر، 2004.
125. موسوعة الكتابة العربية 1873-1999، الجزيرة والخليج واليمن والكتابات باللغات الأجنبية، المجلد الرابع، المجلس الأعلى للثقافة، مؤسسة المرأة العربية للأبحاث والنشر، 2004.
126. ناهيل راغب، عزف على أوتار مشدودة، دراسة في شعر سعاد الصباح، الهيئة المصرية العامة للكتاب، القاهرة، 1993
127. نزار قباني، الحرية هي أكثر من قصيدة. სილადგადიე, ჯ. იბრძვიში, თანამედროვე და კრიტიკა, თბ., 1988, გვ. 404-408.
128. يوسف بكر، الترجمة الفارسية لأشعار سعاد الصباح، قراءة نقدية، الملتقى الدولي الثالث للترجمة، ملخصات الأبحاث، 11-14 فبراير، القاهرة، 2006، 227. გვ.
129. هدى للصدى، الكتابة الإبداعية للنساء في مصر، موسوعة الكتابة العربية 1873-1999، مصر والسودان والكتابات، المجلد الثاني، المجلس الأعلى للثقافة، مؤسسة المرأة العربية للأبحاث والنشر، 2004